

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი
სლავისტიკის დეპარტამენტი

თამარ დიასამიძე

ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია ეტიკეტურ

ფორმულებში

(ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი ნაშრომი

სპეციალობა: ენეომეცნიერება (თარგმანმცოდნეობა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი,
ასოც.პროფ. ფილ.მ.კ ქ. სვანიძე

ბათუმი - 2012

სარჩევი

შესაგალი	3
თავი I. კომუნიკაციის ლინგვოკულტუროლოგიური ბუნება	9
II. კომუნიკაციის კულტუროლოგიური არსი	9
III კომუნიკაციის გერბალური და არავერბალური ასპექტები	27
თავი II. არავერბალური კომუნიკაციის კულტურათშორისი ასპექტები	53
თავი III. სოციალური იერარქია ეტიკეტურ ფორმულებში კულტურათშორისი კომუნიკაციის პროცესში	92
დასკვნა	126
გამოყენებული ლიტერატურა	128

შესავალი

ეპოქალურმა სოციალურ-პოლიტიკურმა ძვრებმა, რაც პარადიგმის შეცვლით დაგირგვინდა, მნიშვნელოვნად გაზარდა პიროვნებისადმი ინტერესი. ეს ინტერესი დაემთხვა მეცნიერების განვითარების ახალი პარადიგმის, ანთროპოლოგიზმის ჩამოყალიბების ეპოქას, რომელმაც ჰუმანიტარულ მეცნიერებებს ავლევის ახლებური პერსპექტივები დაუსახა.

მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულში წარმოიშვა ახალი ენობრივი კონცეფციები, გამოიკვეთა ავლევის ახალი მიმართულებანი, რომელმაც ენათმეცნიერებაში ძირითად ამოცანად “ადამიანის ფაქტორის” გათვალისწინება დაისახა. შესაბამისად, ახლებურად დაისვა რიგი ლინგვისტურ-ფილოსოფიური საკითხები, რომელთაგან მნიშვნელოვანია აზროვნებისა და ენის ურთიერთკავშირის, ადამიანის ინდივიდუალური ინტელექტუალური, ემოციური, შინაგანი მდგომარეობის, პარალინგვისტური მახასიათებლების სწორი გაგება, ფსიქოლოგიური თვისებების ერთიანი ასახვა ახალ ენობრივ პარადიგმაში. ამასთან ერთად, გამოიკვეთა მეთოდოლოგიური ძვრებიც ანთროპოლოგიური ლინგვისტიკის თვალსაზრისით. სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიდა ახალი, ყოვლისმომცველი ცნებები: ენობრივი პიროვნება, კონცეპტუალური სტრუქტურა, კონცეპტი და ისეთი მრავალსპექტივიანი ფენომენი, როგორიცაა სამყაროს ენობრივი ხატი (Кузнецова 2007:44).

თანამედროვე მსოფლიოში შექმნილ ვითარებაში, როდესაც საყოველთაო საზოგადოება მიდის გლობალიზაციის გზით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კულტუროლოგიური ხასიათის ავლევები, რომლებიც აყალიბებენ ზოგადსაკაცობრიო კულტურის სახეს და, ამავე დროს, იძლევიან თვითმყოფადობის გამოვლენის საშუალებას.

უახლესი დროის მსოფლიო სოციალურმა, პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ძვრებმა გამოიწვია ხალხების აქამდე არნახული მიგრაცია და მათი კულტურული კონფლიქტიც. მართალია, გაიოლდა ერთა შორის ურთიერთობა, მაგრამ თავი იჩინა გაგების პრობლემამ. ეს პრობლემა ერთ-ერთი ცენტრალურია თანამედროვე ეპოქაში, რომელიც ცდილობს გადაჭრას იგი კულტურათშორისი დიალოგის, ურთიერთგაგების გზით.

ახალი დროის მეცნიერება ამა თუ იმ კულტურას შეისწავლის კომპლექსურად, მისი განვითარების ყველა ასპექტში (ცხოვრების წესი,

მსოფლიმხედველობა, ცნობიერება, მენტალიტეტი, ეროვნული ხასიათი, ადამიანის სულიერი საზოგადოებრივი და წარმოებითი მოღვაწეობის შედეგები).

თანამედროვე მეცნიერების ყურადღების ცენტრშია მოქცეული ენის, ცნობიერებისა და კულტურის რთული ურთიერთგავლენა, როდესაც ენაში აისახება ყოველი კონკრეტული ეთნოსის კულტურული ცნობიერების ფაქტები, ხოლო ენობრივი კატეგორიები თავის მხრივ გავლენას ახდენს ადამიანის ცნობიერებაზე, განსაზღვრავს მისი აზროვნების ტიპს, მსოფლადქმას, ლირებულებების სისტემასა და სოციალურ ქცევას. ამრიგად, ადამიანის მიერ სინამდვილის აღქმა განპირობებულია იმ ეთნოჯგუფის კულტურით, რომელსაც იგი მიეკუთვნება, რაც აისახება მის ენაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ენა წარმოადგენს გარკვეულ კოდს, რომელიც იჭრება რა აზროვნების ყველა პროცესში, აყალიბებს ადამიანის – ენის მატარებლის პიროვნებას, მასში კოდირებულ მსოფლიმხედველობას.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, ენათმეცნიერება ენას განიხილავს როგორც “სისტემას მოქმედებაში”. თანამედროვე ლინგვისტიკაში ადამიანი განიხილება ენათმეცნიერების “მთავარი ობიექტად” და რადგანაც ენის შემოქმედი ადამიანია, ბუნებრივია, რომ კომუნიკაციური ლინგვისტიკა ორიენტირებული იქნება ადამიანზე, როგორც მეტყველ სუბიექტზე.

თუმცა ამავდროულად, მეცნიერული კვლევა-ძიება ცხადყოფს, რომ კომუნიკაციის ეფექტურად წარმათვაში დიდ როლს ასრულებს როგორც ვერბალური, ისე არავერბალური ნიშნები-პროსოდიული და პარალინგვისტური ელემენტები. სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა, კვლევის ობიექტისადმი ამ კუთხით მიღგომა. ჩვენ ვიკვლევთ კომუნიკაციას, როგორც ენობრივ-კულტურული ფენომენის არავერბალურ განზომილებას ეტიკეტურ ფორმულებში.

აქედან გამოდინარე, სადოქტორო ნაშრომი მიზნად ისახავს კომუნიკაციის, როგორც ენობრივ-კულტურული ფენომენისა და მისი ვერბალური და არავერბალური განზომილებების თავისებურებების გამოკვლევას ეტიკეტურ ფორმულებში; არავერბალური კომუნიკაციის ცნების დაზუსტებას ანთროპოცენტრისტულ და ფსიქოლინგვისტურ კონტექსტებში; არავერბალური კომუნიკაციის ნორმების ზოგადი ეროვნული ან ეთნიკური ბუნების განსაზღვრას; ქართულ დისკურსში მიღებული ვერბალური და არავერბალური ხერხების კომპლექსურ კროსკულტურულ ანალიზს დასავლურ და აღმოსავლურ კულტურებში. კერძოდ, ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა არის მცდელობა,

განისაზღვროს ქართული კულტურის მიმართება დასავლურ და აღმოსავლურ კულტურებთან, მისი, როგორც ამ ორ ცივილიზაციათა მიჯნაზე არსებული კულტურის ადგილი და ბუნება.

სადოქტორო ნაშრომის მიზანი გულისხმობს ქართული არავერბალური ნიშნების შესწავლისა და მსოფლიო არავერბალურ სისტემაში მათი შესაბამისი “ადგილის მიჩნის” საფუძველზე ქართული კულტურის ადგილის, პოზიციის განსაზღვრას.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად ჩვენ დავისახეთ შემდეგი კონკრეტული ამოცანები: ენობრივი პროცესების და არავერბალური კომუნიკაციის ურთიერთდამოკიდებულების გამოვლენა და კომუნიკაციაში მათი როლის დიფერენციაცია; კულტურათშორის კონტექსტში ვერბალური, არავერბალური და კრეოლიზებული ტექსტების ნაირგვარობის დადგენა (მეტყველებაში კრეოლიზებური ტექსტი რთული ტექსტუალური წარმონაქმნია, რომელშიც ვერბალური და იკონიკური ელემენტები ქმნიან ერთიან ვიზუალურ, სტრუქტურულ, აზრობრივ და ფუნქციურ მთლიანობას, მიმართულს ადრესატის კომპლექსურ პრაგმატულ ზემოქმედებაზე). ჩვენს შემთხვევაში კრეოლიზებულად მოვიაზრებთ შერეული ფაქტურის (ვერბალური და არავერბალური განზომილების მქონე ტექსტებს); ქართული არავერბალური ნიშნების, მათი მიმართების გამოვლენა სხვა არავერბალურ ნიშნებთან; ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის ძირითადი ტიპების გამოვლენა და აღწერა.

წინამდებარე ნაშრომის **აქტუალობა** განპირობებულია შემდეგი გარემოებით: მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ენის მეშვეობით მოსაუბრეს ინფორმაციის 35% გადაეცემა, ენასთან ერთად არსებობს ურთიერთობის სხვა უამრავი საშუალება, რომლებიც ინფორმაციას გადმოგვცემენ. ურთიერთობის ასეთი ფორმა მეცნიერებმა გააერთიანეს “არავერბალური კომუნიკაციის” ცნებაში. ჟესტები, მიმიკები, პოზა, ტანსაცემელი, ვარცხნილობა, ჩვენი გარემომცველი საგნები, ჩვენი მოქმედების ჩვევები – ყველა ესენი ურთიერთობის განსაზღვრულ სახეობას წარმოადგენენ, რომლებმაც მიიღო არავერბალური ურთიერთობის სახელწოდება. ე.ი. ისეთები, რომლებიც უსიტყვოდ ხდება, მათი წილია ინფორმაციის დარჩენილი 65%, რომელიც კომუნიკაციის პროცესში გადმოიცემა.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ქართული არავერბალური ნიშნების კულტურულ-ეროვნული თავისებურებების შესწავლა, მათი ადგილისა და

ბუნების განსაზღვრა დასავლურ და აღმოსავლურ კულტურებთან მიმართებაში არ ასახულა ქართულ ლინგვისტიკაში, შეიძლება წინამდებარე გამოკვლევა აქტუალურად მივიჩნიოთ.

აღნიშნული პრობლემის აქტუალობა დაკავშირებულია, აგრეთვე არავერბალური ნიშნების სწორ ინტერპრეტაციასთან, რომლის გათვალისწინებაც აგვარიდებს გაუგებრობით გამოწვეულ ხშირ კონფლიქტებს.

სწორედ ამ თვალსაზრისით საკვლევი პრობლემა აქტუალურად მიგვაჩნია.

სადოქტორო ნაშრომის სამეცნიერო სიახლე შემდეგი ფაქტორებითაა განპირობებული: ნაშრომში ვიკვლევთ კომუნიკაციის ვერბალური და არავერბალური ნიშნების ფუნქციონირებას ეტიკეტურ ფორმულებში, ქართულ კულტურასა და სინამდილეში.

ნაშრომის სამეცნიერო სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ კვლევის ობიექტია მეტყველი სუბიექტის, როგორც კონკრეტული კულტურის წარმომადგენლის, არავერბალური მახასიათებლები.

შეუძლებელია ზუსტად ვიცოდეთ, თუ რა ხდება მეორე ადამიანში. შესაძლებელია მხოლოდ ვარაუდების აგება ადრესანტისაგან მომავალი ვერბალური და არავერბალური სიგნალების გაშიფვრის საფუძველზე და იმის გათვალისწინებით, თუ რომელი კულტურის წარმომადგენლები არიან ისინი.

მე-20 საუკუნის ბოლოდან მოყოლებული, სულ უფრო ნათლად იკვეთება არავერბალური კომუნიკაციის სფეროს სპეციალისტების საჭიროება. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, კომუნიკაციის არავერბალური ასპექტების სიღრმისეული და თანმიმდევრული შესწავლა მხოლოდ მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო.

ნაშრომის სიახლე და ორიგინალობა გამოიხატება იმ ფაქტშიც, რომ ეს მეცნიერება თავისთავად ახალია. საკითხის ახლებური კუთხის კვლევით და ქართული არავერბალური ნიშნების შესწავლით, მათთვის შესაბამისი “ადგილის მიჩნით” განისაზღვრება ქართული კულტურის შესაბამისი შრის ადგილი მსოფლიო არავერბალურ სისტემაში, რაზედაც თანამედროვე მეცნიერებაში დიდი მოთხოვნაა.

ნაშრომის თეორიული დირებულება. სპეციალური ლიტერატურის გამოყენებისა და ენობრივ-კულტუროლოგიური კვლევის საფუძველზე ჩვენ გამოვყოფთ ერთმანეთისაგან კომუნიკაციის პრაგმატიკის გერბალურ და

არავერბალურ განზომილებებს და განვსაზღვრავთ მათ როლს კომუნიკაციის პროცესში.

ჩვენ მიერ განხილულ ნაშრომებში ყურადღება გამახვილებულია კომუნიკაციის ან მხოლოდ ვერბალურ ან მის არავერბალურ მხარეზე. მოცემული ნაშრომის თეორიული ღირებულება მდგომარეობს კომუნიკაციის როგორც ვერბალური, ასევე არავერბალური თეორიული ბაზის შექმნაში, რაც გულისხმობს კომუნიკაციის აღნიშნული ასპექტების კომპლექსის შესწავლას.

კომუნიკაციის არაეფექტურობა განპირობებულია კომუნიკაციის იმ სტრატეგიათა გამოუყენებლობით თუ დარღვევით, რომლებიც უნდა ახასიათებდეს გამონათქვამს კომუნიკაციის ეფექტურად წარმართვისათვის.

კომუნიკაციის ეფექტურობა განისაზღვრება არამარტო გამონათქვამის მნიშვნელობის გაგების ხარისხით, არამედ მოსაუბრის ქცევის სწორი შეფასების უნარით. კერძოდ, კინესიკური პარალინგვიზმები სწორედ ის ელემენტებია, რომელთა მნიშვნელობითაც გრძნობებს მძიმე განცდებს და ემოციებს უფრო სრულყოფილად გამოვხატავთ, ვავლენთ თუ რა დამოკიდებულება გვაქს სინამდვილეში გამონათქვამსა და კომუნიკანტის მიმართ.

არავერბალურ ენას ერთი უნიკალური თვისება აქვს: მას შეუძლია “გასცეს” კომუნიკანტი იმდენად, რამდენადაც მისი საშუალებით ვლინდება კომუნიკანტის ჭეშმარიტი, შეუნიდბავი სახე. სწორედ კინესიკური მახასიათებლების “წაკითხვის” უნარი, გვეხმარება იმაში, რომ დავეჭვდეთ მოსაუბრის გამონათქვამში და დავინახოთ მისი რეალური სახე.

ერთი და ოგივე ჟესტი სხვადასხვაგვარად აღიქმება კულტურის განსხვავებულ ტიპებში. ჩვენი თვალსაზრისით, სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებთან ურთიერთობის პროცესში ვერბალური თუ არავერბალური ნიშნების გამოყენების დროს სიფრთხილე და დიდი ყურადღება გვმართებს. აქედან გამომდინარე, მართებულია მოცემულ კულტურაში მიღებული ჟესტების წინასწარ შესწავლა და თუ არა ვართ დარწმუნებული, თუ როგორ აღიქმება ჩვენ მიერ გამოყენებული ჟესტი სხვა კულტურაში, მაშინ უმჯობესია თავი ავარიდოთ მის დემონსტრირებას.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება. წარმოდგენილი ნაშრომი სინტერესო იქნება იმ მეცნიერებისათვის, ვინც დაიტერესებულია ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის თავისებურებების შესწავლით ეტიკეტურ ფორმულებში, ვინც იკვლევს ინგლისური და ქართული ეტიკეტური

ფორმულების განპირობებულობას შესაბამისი კულტურების კერბალური და არავერბალური მექანიზმებით. მისი დებულებები შეიძლება გახდეს სპეციურსებისა და სპეცსემინარების შინაარსის ნაწილი ისეთ დარგებში, როგორებიცაა კულტუროლოგია, ლინგვიკულტუროლოგია, კულტურათშორისი კომუნიკაციები, თარგმანთმცოდნეობა.

ნაშრომის სტრუქტურასა და მოცულობას განსაზღვრავს კვლევის მიზნები და ამოცანები. იგი მოიცავს 133 ნაბეჭდ გვერდს. სადოქტორო ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავისა და დასკვნისაგან; თან ერთვის გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურის სია.

თავი I. კომუნიკაციის ლინგვოკულტუროლოგიური ბუნება

II. კომუნიკაციის კულტუროლოგიური არსი

სიტყვა “კომუნიკაცია” ერთ-ერთია იმ მრავალ უცხო სიტყვათაგან, რომლებიც დღეისათვის ფართოდ გამოიყენება ენაში. იგი წარმოიშვა ლათინური სიტყვისაგან “Comunico”, რაც ნიშნავს “საერთოს ვხდი, ვაკავშირებ, გურთიერთობა”.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სხვადასხვა მეცნიერი განსხვავებულად განსაზღვრავს სიტყვა “კომუნიკაციას”.

ყველანაირი კომუნიკაცია წარმოადგენს ორ ასპექტს: შინაარსის და ფორმის ურთიერთობას, სადაც მეორე შეიცავს პირველს, კომუნიკაციის შინაარსს კი წარმოადგენს ინფორმაცია, მისი მიზანია შეტყობინების გადაცემა, იგი გამოიყენება როგორც სიტყვა “ურთიერთობის” სინონიმი (Макаров 2003: 13).

ე.ი. კომუნიკაცია არის ურთიერთობა, კავშირი. ადრე კომუნიკაციის ნაცვლად იყენებდნენ სიტყვა “ურთიერთობას”, რომელიც მოიცავდა ადამიანთა შორის არსებული უშუალო კონტაქტების ყველა ფორმას, დღეს კი კომუნიკაციამ თითქმის სრულად შეცვალა სიტყვა “ურთიერთობა”, დაიმკვიდრა მისი ადგილი და წარმოადგენს განსაკუთრებული შესწავლის საგანს სხვადასხვა მეცნიერებაში.

სიტყვა “კომუნიკაციის” მეორე მნიშვნელობაა შეტყობინების გზები, სატრანსპორტო კავშირები, მიწისქვეშა კომუნალური ქსელები. მაგალითად, მიწისქვეშა, საპაერო და სხვა კომუნიკაციები, საკომუნიკაციო სისტემა. ჩვენ გვაინტერესებს ტერმინ “კომუნიკაციის” თავდაპირველი მნიშვნელობა, რაღანაც ჩვენი შესწავლის ობიექტს სწორედ ადამიანთა შორის ურთიერთობა წარმოადგენს. ამ მნიშვნელობასთანაა დაკავშირებული ტერმინის ცნების მეცნიერული განსაზღვრაც. მოცემულ ლინგვისტურ ენციკლოპედიურ ლექსიკონში “კომუნიკაცია ადამიანთა ურთიერთქმედების სპეციალური ფორმაა მათი შემცნებით -შრომითი მოქმედების პროცესში” (Гойхман 2005:6).

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მწერები, ფრინველები, ცხოველები ინფორმაციის გაცვლის მდიდარ ბგერით და კინეტიკურ (მოძრავ) საშუალებებს ფლობენ, თუმცა მათ შორის ურთიერთქმედებას მეცნიერები უწოდებენ “ბიოლოგიურად მიზანმიმართულ ქცევას, მიმართულს ადაპტაციისაკენ და რეგულირებულს ნაწილობრივ სიგნალიზაციით” (Гойхман 2005:7).

ენობრივი კომუნიკაციის მთავარი მიზანია სხვადასხვა სახის ინფორმაციის გაცვლა. ცხადია, რომ ურთიერთობა ხორციელდება არამარტო ენის საშუალებით. უძველესი დროიდან ადამიანთა საზოგადოებაში გამოიყენებოდა ურთიერთობისა და ინფორმაციის გადაცემის დამატებითი საშუალებები, რომელთა უმრავლესობაც დღემდე არსებობს. მაგალითად, აფრიკის ძირეული მოსახლეობა იყენებს სტენის, სიგნალების, დაფდაფების, ზარების, გონგისა და სხვა ამის მსგავს ხმებში როგორც ურთიერთობის საშუალებებს. “ყვავილთა ენა” გავრცელებულია აღმოსავლეთში, აგრეთვე იმ ინფორმაციის გამოხატვის საშუალებას წარმოადგენს, რომელთა გადმოცემა ზოგ შემთხვევაში სიტყვებით შეუძლებელია. მაგალითად, ვარდი სიყვარულის სიმბოლოა, საპოვნელა – ხსოვნის და ა. შ. საგზაო ნიშნები, შუქნიშნის სიგნალები, სიგნალების გადაცემა ალმების მეშვეობით, და ა. შ. – ყველა მათგანი ინფორმაციის გადაცემის საშუალებაა, რომელიც ავსებს ადამიანთა ურთიერთობის ძირითად საშუალებას – ენას.

თანამედროვე კომუნიკაციური სივრცე საკმაოდ რთული სისტემაა, რომელშიც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანები ადგილი კომუნიკაციის სხვადასხვა ტიპს უჭირავს. ადამიანი ამა თუ იმ სიტუაციაში განსხვავებულად იქცევა და ადამიანებთან განსხვავებულ ურთიერთობას ამყარებს. გარდა ამისა, კომუნიკაციის ბუნებასა და თავისებურებებს განსაზღვრავენ ინფორმაციის გადაცემის საშუალებების მიხედვით, კომუნიკაციის სუბიექტებით და ა. შ. კომუნიკაციის სახეების რაოდენობა სხვადასხვა წყაროში საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან. ამავე დროს ამ საკითხთან ფუნქციური მიღომა საშუალებას იძლევა გამოვყოთ კომუნიკაციის შემდეგი სახეები: ინფორმაციული, ფუნქციონალურ-შემფასებლური, რეკრეაციული, დამაჯერებელი და სარიტუალო.

ინფორმაციული კომუნიკაცია წარმოადგენს ინფორმაციის გადაცემის პროცესს გარე სამყაროს შესახებ, რომელშიც ცხოვრობს კომუნიკატორი და რეციპიენტი. ინფორმაციული შეტყობინება არის შეხედულება განხილულ ფაქტორებზე, კომუნიკაციის ამ სახეობას განსაკუთრებული ადგილი ეთმობა, ვინაიდან ჩნდება ახალი ინფორმაციული წყაროები, რომელთა შორის ყველაზე გლობალურია ინტერნეტი. ინტერნეტის წყალობით ხელმისაწვდომი ხდება მსოფლიო სამუცნიერო ბიბლიოთეკა, ნებისმიერი გაზეთი, უკანასკნელი სიახლეები.

აფექტურ-შემფასებლური კომუნიკაცია ემყარება დადგებით ან უარყოფით გრძნობებს სხვა ადამიანებთან მიმართებაში. კომუნიკაციის ამ სახეობაში არ არის ფაქტები ობიექტურად ჩამოყალიბებული, აქ არის სუბიექტურობა. ყველა ეს ფორმა არის **აფექტურ-შემფასებლური კომუნიკაცია**. ეს კომუნიკაცია წარმოადგენს შესაძლებლობას გააძლიეროს ან შეასუსტოს შეფასება და გრძნობების გამოხატვა, რაც ინფორმაციული კომუნიკაციის შემთხვევაში შეუძლებელია. აფექტური კომუნიკაციის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ემპათია. ემპათია გამოიხატება ორ ფორმაში: პირველ რიგში, ის არის უნარი გრძნობების ვერბალური და არავერბალური გამოხატვისა; მეორედ, ის არის ემოციაზე პასუხის გაცემა იმგვარად, როგორც ეს საჭირო და შესაძლებელი იქნება მოსაუბრისათვის.

რეპრეაციული კომუნიკაცია ურთიერთობის სხვადასხვა ფორმას მოიცავს, რომელიც მოსაუბრეს განტვირთვისა და დასვენების საშუალებას აძლევს. ამგვარ კომუნიკაციას ადამიანები ქმნიან წარმოსახვით სიტუაციებში, როდესაც აწვდიან ერთმანეთს ინფორმაციას, ყველიან ამბებს, ანგებდოტებს და ა.შ. რეპრეაციული კომუნიკაციის მეტ-ნაკლებად გავრცელებული ფორმებია: სხვადასხვა სახის დისკუსია, კონკურსები, ოლიმპიადები და ა. შ.

დამაჯერებელი კომუნიკაცია წარმოადგენს კომუნიკაციის ისეთ სახეობას, რომელიც მიმართულია რომელიმე მოქმედების სტიმულირებისაკენ. ის გამოიხატება ბრძანებაში, თხოვნასა და რჩევაში. ამგვარ კომუნიკაციაში მონაწილეები ზემოქმედებენ ერთმანეთზე. კომუნიკაციის ამ ფორმათაგან ერთ-ერთი ცნობილი არის რეკლამა. მასში ყველაზე მნიშვნელოვანი მანიპულაციის ელემენტია სხვა ადამიანებთან ურთიერთობისას გადასვლა. მნიშვნელოვანია პულტურული დიალოგის ლექსიკაც. მაგალითად, საუბრისას ჩვენ ვიღიმებით ან ვამბობთ “გთხოვთ” ან “მადლობა”, არ ვაჩვენებთ მოსაუბრეს ჩვენს განწყობას. გარეგნული მხარეც ასევე დამაჯერებელ ფუნქციას ასრულებს. მოუწესრიგებელი, უსუფთაო შესახედაობით ჩვენ განზრახ უკუგაგდებთ სხვებს. მოწესრიგებულობით კი პირიქით, ვცდილობთ ჩვენ მიმართ კარგად განვაწყოთ ისინი, ვისზეც დამოკიდებულია ჩვენი წარმატება. ფერთა პალიტრა ასრულებს როგორც აფექტურ-შემფასებლურ, ასევე დამაჯერებელ როლებს, რადგანაც გვეხმარება ზეგავლენა მოვახდინოთ პარტნიორზე.

სარიტუალო კომუნიკაცია გამოიხატება სოციალურად დადგენილ ქცევათა შესრულებაში. მაგალითად, ავიღოთ მასწავლებლისა და მოსწავლის

ურთიერთობა. როცა მასწავლებელი შედის კლასში, ყველა ფეხზე დგება. ნაცნობები ერთმანეთს ესალმებიან ხელის ჩამორთმევით.

კომუნიკაციის კვლევისას გამოყოფენ მასობრივ, პიროვნებათშორის და შიდაპიროვნულ კომუნიკაციებს. ეს სახეები შეიძლება დავუკავშიროთ მხოლოდ პიროვნებათშორის და მასობრივ კომუნიკაციებს, რომლებიც წარმოადგენს ურთიერთობის ორ პოლუსს. პიროვნებათშორის კომუნიკაციურ სიტუაციაში უდიდეს როლს ასრულებს კომუნიკანტთა კულტურული წარმომავლობა. კულტურა ვერ იარსებებს ადამიანთა ურთიერთობის პროცესის გარეშე. ნებისმიერი კულტურის მატარებელი ყოველთვის ადამიანია. ყოველი ინდივიდის შედარება შეიძლება “კულტურულ აისბერგთან”, მისი ქცევა ხომ განისაზღვრება ინკულტურაციის პროცესში დირებულებით და კულტურული ნორმებით. ისინი განისაზღვრავენ ვერბალურ, არავერბარულ და პარავერბალურ კომუნიკაციურ საშუალებებს. ჩვენ მიერ გამოყენებულ ვერბალურ და არავერბალურ საშუალებებს ხშირად კომუნიკანტი ავტომატურად იგებს. წინააღმდეგ შემთხვევაში დაძაბულობა იქმნება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადამიანთა შორის ურთიერთობა განსხვავდება ცხოველთა ურთიერთობისაგან რადგან, პირველი განხვავებული წარმატებითა და ეფექტურობით მიმდინარეობს. კომუნიკაციის წარმატება განისაზღვრება რიგი მაჩვენებლებით, რომელთა შორის უმთავრესია პრაგმატიკული და სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტები.

სოციალურ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია
დაკმაყოფილება თვით ამ პროცესით, როდესაც არაა გრძელი პაუზები. კომუნიკაციის წარმატება ვლინდება ასევე პარტნიორთან კონტაქტის შენარჩუნებაში.

ამრიგად, კომუნიკაციის წარმატებულობას განაპირობებს ადამიანის კომუნიკაციური ქცევის ინტეგრალური ხასიათი. ამ კონტაქტში პიროვნებათშორისი კომუნიკაცია პროცესია, რომელიც რეგულირდება როგორც გარკვეული სოციალური კანონზომიერებით, ასევე კულტურულად დადგენილი წესებით. ეს პროცესი განისაზღვრება როგორც გარეგნული ზეგავლენით, ასევე ადამიანის შინაგანი მდგომარეობით.

1. კონტაქტურობა არის სპეციალური სოციალური ხარისხი, რომლის საფუძველიცაა ბუნებრივი ურთიერთობა. ეს არის ფსიქოლოგიური კონტაქტის წარმართვისა და ნდობის მოპოვების უნარი;

2. კომუნიკაციური შეთავსება წარმოიქმნება ურთიერთგაბების საფუძველზე და კომუნიკაციის ისეთი არასასურველი შედეგით ხასიათდება, როგორიც არის დაძაბულობა;

3. ადაპტაციურობა არ ნიშნავს პიროვნული თავისუფლების მაღალ დონეს ურთიერთობებში. იგი გამოიხატება თავდაჯერებულობასა და საკუთარი პრინციპების რწმენაში. ურთიერთობის პროცესზე ასევე თვითკონტროლი, თვითშეგნება, ურთიერთობის სტილი ზემოქმედებს. მიჩნეულია, რომ მაღალი თვითკონტროლის მქონე ადამიანები კარგად ექვემდებარებიან სწავლებასა და აქვთ უნარი სურვილისამებრ მოახდინონ ზემოქმედება ადამიანზე. ამერიკელმა მეცნიერმა ვ.გუდიკუნსტმა ჩაატარა გამოკვლევა, რომლის თანახმადაც თვითკონტროლის ხარისხი ამერიკელებში უფრო მაღალია, ვიდრე იაპონელებსა და კორეელებში (Gudykunst 1998: 213).

თვითშეგნება არის ინდივიდის თვისება, ყურადღება მიაქციოს საკუთარ მოქმედებებს. თვითშეგნებას აქვს პიროვნული და საზოგადო ასპექტები. ვ. გუდიკუნსტმა თავის კვლევაში ასევე აჩვენა, რომ იაპონელებსა და კორეელებში შიშის ფაქტორი უფრო მაღალია, ვიდრე ამერიკელებში. ეს მან იმით ახსნა, რომ იაპონელები გაურკვევლობას.

საზოგადო თვითშეგნება დამოკიდებულია ყურადღებასა და კონცენტრაციაზე, თუ რამდენად შეუძლია სხვაზე ზეგავლენა და სოციალური კონტექსტის იგნორირება, ამიტომაც ის უფრო ვითარდება ინდივიდუალურ კულტურაში.

ურთიერთობასა და კომუნიკაციაში გაგება აუცილებელია ყველასათვის. ეს ის შემთხვევაა, როდესაც პიროვნებას აქვს უნარი სხვადასხვა სიტუაციაში გაუგოს მოსაუბრეს. კომუნიკაციური გაგება მით მაღალია ადამიანისათვის, რაც უფრო მიდრეკილია მარტოობისკენ, სოციალურ იზოლაციაში ცხოვრობს იგი.

ამრიგად, თვითიზოლაციისაქენ მიდრეკილი ადამიანი უფრო სწორად აღიქვამს მოსაუბრეს, ვიდრე სოციალურად წარმატებული და თავდაჯერებული ინდივიდი.

კომუნიკაციის პროცესში ურთიერთობის სტილი ინფორმაციის გადაცემის საშუალებაა. განასხვავებენ კომუნიკაციური სტილის შემდეგ ძირითად სახეებს: **დომინანტური – მცდელობა ურთიერთობაში სხვისი როლის დაბინებისა;**

დრამატული -შეტყობინების ემოციური შეფერილობის მომატება;

სადაცო - აგრესიული ან მტკიცებითი;

შთამბეჭდავი – მოსაუბრები ზემოქმედების მოხდენა;

ზუსტი – ურთიერთობაში სიზუსტისა და აკურატულობისკენ მისწრაფება;

ურადღებიანი – მოსაუბრის მიმართ ინტერესის გამოვლენა;

აღმაფრთოვანებელი – ხშირად არავერბალური საშუალებების გამოყენება;

მეგობრული – უბიძგო მოსაუბრებს სხვა მოსაუბრისკენ; საკუთარი აზრის და ემოციების დია გამოხატვა. ამ სტილის არჩევა დამოკიდებულია კულტურულ დირებულებებზე, რომელშიც მიმდინარეობს კომუნიკაცია. უდიკუნსტს აზრით, ამერიკაში უფრო განვითარებული და გავრცელებულია სადაცო, დომინანტური და შთამბეჭდავი სტილი, იაპონიისათვის კი დამახასიათებელია დამამშვიდებელი და დია სტილი (Колшанский 1984:132)

გარესამყარო გავლენას ახდენს ჩვენს მეტყველებასა და მოქმედებაზე. ჩვენ სხვადასხვაგვარად ვიქცევით სამსახურში, სასწავლებელში, ტრანსპორტში, საქმიანი ან მეგობრული შეხვედრების დროს. კომუნიკაციის ადგილი მიგვითითებს თავისი ქცევის წესებზე. ამგვარად დადგენილი და დაუდგენელი წესები არსებობს ყველა კულტურაში. თვით ის ადამიანები განსაზღვრავენ კომუნიკაციის ხასიათს, რომლებთანაც ვურთიერთობთ.

ადამიანთა ურთიერთობა ისევე უსაზღვრო და მრავალფეროვანია, როგორც თვით ადამიანთა საზოგადოება. ეს მრავალფეროვნება აისახება კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმაში, ტიპსა და სახეში. თანამედროვე კომუნაკატივისტიკაში გამოიყოფა კომუნიკაციის შემდეგი ფორმები: პიროვნებათშორისი, მასობრივი და კულტურათშორისი.

პიროვნებათშორისი კომუნიკაცია ნიშნავს ინფორმაციის გაცვლას და მის ინტერპრეტაციას ორი ან მეტი ინდივიდის მიერ, რომლებიც კონტაქტში შედიან ერთმანეთთან. პიროვნებათშორისი კომუნიკაციის განმსაზღვრელ ფაქტორად მათი ურთიერთობები მიიჩნევა.

კომუნიკაციის ბუნებისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: დრო და მონაწილეობა რაოდენობა. პიროვნებათშორისი კომუნიკაციისათვის მნიშვნელოვანია კონტექსტის ცოდნა და საკუთარი პოზიციის აღქმა. ყოველი ადამიანი რამდენიმე სოციალურ ჯგუფს მიეკუთვნება. ასეთი ჯგუფები: ოჯახი, ეროვნება, სქესი, და ა.შ მათში გაერთიანება ადამიანს დამოუკიდებლობას მატებს; თავიდან აცილებს მას სოციალურ იზოლაციას. კომუნიკაციის ეს ფორმა მთავარ როლს თამაშობს ადამიანის სოციალიზაციაში.

კომუნიკაციის პიროვნებათშორისი ხასიათი ითვალისწინებს, რომ აქ საქმე გვაქვს ადამიანთა მცირე ჯგუფის უშუალო ურთიერთობასთან, რომ ისინი ტერიტორიულად ახლოს ცხოვრობენ და აქვთ საშუალება განახორციელონ უკუკავშირი. პიროვნებაშორისი კომუნიკაცია ყოველთვის პიროვნულადაა ორიენტირებული, რადგანაც დაფუძნებულია პარტნიორის უნიკალურობაზე, ითვალისწინებს პარტნიორის ემოციურ მდგომარეობას, პიროვნულ თვისებებს და თავის მხრივ ელოდება საპასუხო ყურადღებას.

როგორც კომუნიკაციის სხვა სახეები, ასევე პიროვნებათშორისი კომუნიკაცია შეიძლება იყოს ეფექტიანი ან უეფექტო. ბევრი მეცნიერი თვლის, რომ ეფექტიანობის ხარისხი დამოკიდებულია ურთიერთობის სიტუაციაზე. მაგალითად: ადამიანი შეიძლება იყოს წარმატებული კომუნიკატორი თანატოლებთან ან კოლეგებთან ურთიერთობისას, მაგრამ კრახი განიცადოს სხვა ასაკის ან სხვა სოციალური მდგომარეობის ადამიანებთან.

კომუნიკაციის ეფექტურობის პილევის საკითხმა მეცნიერები მიიყვანა (Smith, Samovar, Porter) დასკვნამდე, რომ ეფექტიანი პიროვნებათშორისი კომუნიკაცია წარმოადგენს კონკრეტული ქმედებების, უნარების, ჩვევების სისტემას, რომლებიც განეტიკური არ არის, ისინი უნდა ისწავლონ. პიროვნებათშორისი კომუნიკაციის ხელოვნება განისაზღვრება იმით, თუ რამდენად შეუძლია ადამიანს აღიქვას და განავითაროს ეს ქმედებები.

ჩვევები, უნარები, თვისებები, რომლებიც აუცილებელია ეფექტიანი კომუნიკაციისათვის, აისახება “კომუნიკაციური კომპეტენტურობის” ცნებაში. იგი შედგება შემდეგი ფსიქოლოგიური თვისებებისგან:

- ადამიანის უნარი, მოახდინოს კომუნიკაციური პროგნოზირება იმ სიტუაციისა, რომელშიც ურთიერთობა მოუხდება;
- კომუნიკაციური ხელოვნება, ე.ი. შესაძლებლობა იპოვო კომუნიკაციის თემის შესაბამისი ტაქტიკა და მოახდინო კომუნიკაციური ჩანაფიქრის რეალიზება;
- უნარი, გაერკვე საკუთარ თავში, საკუთარ და პარტნიორის ფსიქოლოგიურ პოტენციალში;
- თვითგანწყობის შექმნის უნარი, თვითრეგულირება ურთიერთობის პროცესში, ფსიქოლოგიური ბარიერის გადალახვის უნარი, ემოციური განწყობა სიტუაციის შესაბამისად.

მასობრივი კომუნიაცია წარმოადგენს სხადასხვა სოციალური სუბიექტის ურთიერთქმედებას, რომელიც ხორციელდება მასობრივი ინფორმაციის გაცვლით სპეციალური ტექნიკური საშუალებებით, მისი განმასხვავებელი ნიშნებია ტექნიკური საშუალებების არსებობა, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის რეგულირებას და ტირაჟირებას, ინფორმაციის დიდ სოციალურ მნიშვნელობას, მასობრიობას, ანონიმურობას და კომუნიკაციის მონაწილეთა გაფანტულობას, კომუნიკაციური საშუალებების მრავალარხიანობას.

მასობრივი კომუნიკაციის გაჩენა გამოიწვია ისეთმა ტექნიკურმა საშუალებებმა, როგორებიცაა: რადიო, ტელევიზორი, ტელეფონი, კაბელური და კომპიუტერული ქსელები. ამ გარემოებებმა განაპირობა კომუნიკაციის ამ ფორმების სპეციფიკურობა: შესაძლებლობა ერთდროულად რამოდენიმე სოციალური ჯგუფის ურთიერთობისა, უშუალო ურთიერთობის არარსებობა პარტიორებს შორის, ინფორმაციის ერთი მიმართულება და ფიქსირებული კომუნიკაციური როლები, მასობრიობა, სტიქიურობა, კომუნიკაციის ობიექტების ანონიმურობა. თავისი სპეციფიკური დანიშნულებისა და მნიშვნელობის გამო მასობრივი კომუნიკაცია ასრულებს სამ ფუნქციას: ინფორმაციულს, მარეგულირებელს და კულტუროლოგიურს.

ინფორმაციული ფუნქცია გამოიხატება აქტუალური ინფორმაციის გადაცემაში მრავალრიცხვან ობიექტებზე.

მარეგულირებელი ფუნქცია ახდენს ზეგავლენას საზოგადოებრივი შემეცნების, აზრის, სოციალური ნორმების ჩამოყალიბებაზე.

კულტუროლოგიური ფუნქცია მოიცავს კულტურული ღირებულებების შექმნასა და რეტრანსლაციას, სხვა ხალხების კულტურისა და ხელოვნების გაცნობას, საკუთარი კულტურისა და ტრადიციების შენახვა კულტუროლოგიური ფუნქციის რეალიზების შედეგი შესაბამისი პიროვნების ჩამოყალიბებაა.

ერთი კულტურის მიერ სხვა კულტურის აღიარება და მიღება-გაზიარება ან პირიქით, მისი უარყოფა, კაცობრიობის არსებობის განმავლობაში არსებობდა. ამგვარი განწყობა (მიღგომა) სხვა კულტურების მიმართ დღემდე შეინიშნება.

სპეციალისტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ კულტურათშორის კომუნიკაციაზე საუბარი მხოლოდ იმ შემთხვევაშია მართებული, თუკი ადამიანები განსხვავებული კულტურის წარმომადგენლები არიან და იმას, რაც მათ კულტურას არ მიეკუთვნება, სხვისად, მაგრამ არა მიუღებლად თვლიან.

ურთიერთობა კულტურათშორისია მაშინ, როცა მასში მონაწილეები ეცნობიან სხვათა ტრადიციას, ადათებს, ქცევის წესებს, ყოველდღიური ურთიერთობის ნორმებს. სწორედ ამგვარ ურთიერთობაში ვლინდება, როგორც ჩვეული, ნაცნობი, ასევე უჩვეულო, უცხო თვისებები.

თავისი არსით კულტურათშორისი კომუნიკაცია პიროვნებათშორისია, როცა მისი ერთ-ერთი მონაწილე მეორის კულტურაში რაიმეს განსხვავებულს, მისთვის უჩვეულოს აღმოაჩენს, ურთიერთობაში სირთულეს სწორედ ეს განსხვავება წარმოშობს (Samovar, Porter 1991:11), რადგანაც მოცემულ შეტყობინებას გაშიფრავენ კომუნიკანტები, რასაც ისინი გაუგებრობაში შეჲყავთ და დაძაბულობას, მუდმივ დისკომფორტს იწვევს. მაგალითად: ამერიკელისათვის ფეხის ფეხზე გადადება ჩვეულებრივი მოვლენაა, იმიტომ მისთვის ეს ძალზე მოსახერხებელია, თუმცა აღმოსავლური კულტურის წარმომადგენლისათვის მოსაუბრის ასე ჯდომა შეურაცხყოფაა და ყოვლად მიუღებელია. ამგვარად, წარმატებული კომუნიკაციისათვის სხვა კულტურის წარმომადგენელთან ურთიერთობისას უნდა მოიქცე ისე, როგორც ისინი იქცევიან.

არსებობს კულტურისადმი ორი მიდგომა. პირველი მიმართულება ლინგვისტიკის ისტორიაში უკავშირდება გაუმბოლდებისა და ა. პოტებნიას სახელებს. პუმბოლდები ენას მიიჩნევს მუდმივ ქმნადობად. ამ მიდგომის თანახმად კომუნიკაცია აღიქმება, როგორც კომუნიკანტების შემოქმედებითი ურთიერთობის პროცესი. პუმბოლდების სიტყვებით, “როცა ვსაუბრობ და მიგებენ, აზრები არ გადამაქვს ჩემი თავიდან მეორეში. იმისთვის, რომ იფიქრო, უნდა შექმნა საკუთარი აზრის შინაარსი, ამგვარად გაგებისას არ გადმოიცემა მოსაუბრის აზრი, მაგრამ მსმენელი გებულობს და ქმნის თავის აზრს” (Гумбოლ्डт 1984: 397).

მეორე მიდგომა ჩამოაყალიბა იაკობსონმა. ადრესანტი უგზავნის შეტყობინებას ადრესატს იმისთვის, რომ შეასრულოს თავისი ფუნქცია, აუცილებელია კონტექსტი, რომლის შესახებაცაა საუბარი. იგი უნდა იყოს ვერბალური, უნდა აღიქვას ადრესატმა. კოდი მთლიანად ან ნაწილობრივ მაინც საერთოა ადრესანტისა და ადრესატისათვის. ადრესატსა და ადრესატს შორის კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად საჭიროა ფიზიკური არხი და ფსიქოლოგიური კავშირი (Якобсон 1996: 217).

არსებობს კომუნიკაციისადმი სამი მიდგომა:

მონოლოგური – თითოეული კომუნიკანტი ცდილობს განაცხადოს თავისი პოზიცია ისე, რომ სრულიად არ ფიქრობს ზეგავლენა მოახდინოს მოსაუბრებელი.

დიალოგური - კომუნიკანტები ცდილობენ გაითვალისწინონ ერთმანეთის ინდივიდუალური თავისებურებანი და შესაბამისად, მოახდინონ საკუთარი ცნობიერების ტრანსფორმირება.

ავტოკომუნიკაცია წარმოებულია დიალოგური კომუნიკაციიდან. მე-მე (მე არის მე-ს პერმანენტული ევოლუციის სხვა მდგომარეობა. მოქმედებს დიალოგური კომუნიკაცია მე-ხევა. მე უბრალოდ იკავებს ხევა პოზიციას. ე.ი. ავტოკომუნიკაცია დიალოგური კომუნიკაციის რედუცირებული ვარიანტია).

ადამიანი შედის სამყაროში, როგორც განსაზღვრული კულტურის წარმომადგენელი. ის განსხვავდება სხვა კულტურათა წარმომადგენლებისაგან. საკუთარი კულტურის ათვისება მიმდინარეობს ქვეცნობიერად, განსაკუთრებით განვითარების ადრეულ ასაკში. ადამიანი თითქოს მოქცეულია თავისი კულტურის ჩარჩოებში, ამიტომ საკუთარი კულტურის ფენომენს და ბევრ ელემენტს ის აღიქვამს, როგორც ჩვეულებრივს. ზრდასთან ერთად ადამიანი თვითონ ცდილობს გაიაზროს, რა არის მისთვის ფასეული, შეითვისოს ქცვის ნორმები, რომლებიც მიღებულია საკუთარი კულტურისათვის და მიიღოს ან არ მიიღოს ის.

სოროკინის განმარტებით, კულტურა ეს არის ფასეულობებისა და ნორმების მნიშვნელობათა ერთობლიობა, რომელსაც ფლობენ ადამიანები; აგრეთვე ამ ფასეულობების მატარებელთა ერთობლიობა, რომლებიც ნათელს ჰყენენ ამ მნიშვნელობებს (Сорокин 1992: 218).

კულტურა არის ადამიანის მოღვაწეობის გამოვლენა ცხოვრების სხვადასხვა ისტორიულ, ინდივიდუალურ, საზოგადოებრივ, პრაქტიკულ, ესთეტიკურ, რელიგიურ, თეორიულ სფეროში. კულტურის ასეთი განმარტება მოიცავს ყველაფერს, რაც შექმნილია ადამიანის ფიზიკური და გონებრივი შრომის შედეგად. გარემო შეიძლება იყოს ბუნებრივი და ხელოვნური. პირველი არსებობდა ადამიანამდე, მეორე კი შექმნილია ადამიანის მიზანმიმართული მოღვაწეობის შედეგად.

კულტურის ცნება ძალიან ფართო და მრავალშრიანია. მას იკვლევენ, სოციალური და პუმანიტარული მეცნიერების წარმომადგენლები. თანამედროვე მკვლევრები შეთანხმდნენ, კულტურა განიხილონ როგორც მნიშვნელობის განმსაზღვრელი პროცესები. როგორც ლ. იონინი აღნიშნავს, ”კულტურის

სოციოლოგია ითვალისწინებს ინტერდისციპლინური მიდგომებისა და სოციოლოგიური საფუძვლების სინთეზს” და, აქედან გამომდინარე, იკვლევს მნიშვნელობის განმსაზღვრელ პროცესებს სამი მიმართულებით: მნიშვნელობის განსაზღვრა ყოველდღიურ ქმედებაში, მნიშვნელობის ინსტიტუციონალური წარმოება და საერთო მენტალური ჩარჩოები, რომელთა საშუალებითაც იქმნება მნიშვნელობა (Ионин 1996:93)

კულტურა ხშირად მოიაზრება ისეთ რამედ, რაც გვაკავშირებს ჩვენი ჯგუფის სხვა წევრებთან და ამ განსხვავების საფუძველზე ჩვენ სხვა ჯგუფების წევრებს ვემიჯნებით. თუ ჩვენ ვიზიარებთ გარკვეული ადამიანების მსოფლმხედველობას, დამოკიდებულებას ამა თუ იმ საკითხისადმი, ცხოვრების წესს, ქცევას, ჩვენს თავს მივაკუთვნებთ იმავე კულტურასა თუ სუბკულტურას. ასევე შეგვიძლია ვისაუბროთ “კულტურულ სხვაობაზე”, როდესაც ახალ სიტუაციაში აღმოვჩნდებით ან ახალ ჯგუფთან გვიწვეს ურთიერთობა და ვხედავთ, რომ ჩვენთვის მისაღები სამყაროს შემეცნების გზები და ქმედება განსხვავდება მათგან. ამ კუთხით დანახული კულტურა შეიძლება წარმოადგენდეს მთელ ჯგუფს ან საზოგადოებას და ამრიგად, ჩვენ განვასხვავებთ ერთმანეთისაგან სხვადასხვა ხალხის კულტურებს.

კულტურის ასეთი გაგება გამოიკვეთა მე-19 საუკუნის ევროპაში. ამ პერიოდში ევროპელების მიერ წამოწყებულმა კვლევითმა მოგზაურობებმა თუ დაპყრობებმა განაპირობა ევროპელების დაფიქრება კულტურული განსხვავებულობების შესახებ, რამაც თავის მხრივ ხელი შეუწყო შედარებითი აზრის განვითარებას განსხვავებულ საზოგადოებებთან მიმართებაში. შემდგომში ეს ტენდენცია თანამედროვე გპოქაში დამკვიდრდა და გადამწყვეტი როლი ითამაშა ანთროპოლოგიის, როგორც დისციპლინის ჩამოყალიბებაში. კულტურის ანთროპოლოგიური გაგებით, ადამიანების ცხოვრების წესი განისაზღვრება მათი კულტურის მიერ და მასში გამოიხატება. კულტურა კლინდება ყველაფერში, დაწყებული შრომის იარაღებიდან, დამთავრებული რელიგიით. მე-19 საუკუნის ევროპაში კულტურები განიხილებოდა სოციალური პროგრესის შესახებ ეგროპული წარმოდგენებზე დაყრდნობით და, შესაბამისად, ევროპული კულტურები მსოფლიო იერარქიის ყველაზე მაღალ საფეხურზე იყო განლაგებული.

მე-20 საუკუნეში ევროპული კულტურის უპირატესობის შესახებ განცხადებები შემცირდა. ეს განაპირობა კოლონიურმა და პოსტკოლონიურმა

სოციალურმა ურთიერთობებმა, დომინანტური და მათზე დაქვემდებარებული ჯგუფებს ურთიერთდამოკიდებულებამ. კულტურული იერარქიის ცნების უარყოფით კულტურა გაგებულ იქნა, როგორც პლურალური და შედარებითი ფენომენი, განსხვავებულ “კულტურებს” თანაბარი ღირებულება მიენიჭათ.

კულტურის განსხვავებული გაგებაც არსებობს. ამ შემთხვევაში ჩვენ კულტურულს ვუწოდებთ გარკვეულ დონისძიებებს ან მატერიალურ ნივთებს. მაგალითად: ოპერა, თეატრი, ხალხური ცეკვები, სიმღერები, ნოველები, ხელოვნება თუ არქიტექტურული სტილი. კულტურის ცნების ასეთი გაგების დროს კულტურისა და სოციალური ცხოვრების სხვა სფეროები ერთმანეთს ემიჯნება, მიუხედავად იმისა, ვადარებთ თუ არა ერთმანეთს განსხვავებულ საზოგადოებებს. განსაკუთრებული კულტურული პრაქტიკისა და საგნების საშუალებით გარკვეული ინფორმაცია გადაეცემათ სხვა ადამიანებს ჩვენს შესახებ, ანუ თუ რა წარმოადგენს ჩვენთვის ღირებულს და გამოხატავს ჩვენი, როგორც ჯგუფის იდენტობას. კულტურის ანთროპოლოგიური გაგება უკავშირდება დანარჩენ მსოფლიოში ევროპულ ექსპანსიას, კულტურის მეორე მნიშვნელობა კი მნიშვნელოვან ცვლილებებს შეეხება (Соколов 1994:56). კულტურას უწოდებდნენ კულტურული ინსტიტუტების მიერ წარმოებული ინდუსტრიული რევოლუციის დროს პროდუქტების გარკვეულ სფეროს ინგლისში, თანამედროვე სოციალურ ორგანიზაციაზე გადასვლამ სოციალური დიფერენციაცია და დაპირისპირება გამოიწვია. მოვლენების განვითარებამ მკვეთრად გამიჯნა ერთმანეთისგან ყოველდღიური, პრაგმატული, კონფლიქტებით აღსავსე ეკონომიკისა და პოლიტიკის (კაპიტალიზმის ახალი სამყარო, იდუსტრია, დემოკრატია, და რევოლუცია) და ხელოვნებისა და მორალის წმინდა იდეალისტური სფეროები (Femandez 1990:123). ხელოვნებისა და მორალის სფეროები გამოხატავდნენ უფრო მაღალ ადამიანურ შესაძლებლობებსა და ღირებულებებს იმისაგან განსხვავებით, რასაც თანამედროვე ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრება სთავაზობდა ადამიანებს. კულტურის ეს ცალკე სფეროები თანამედროვე საზოგადოების კრიტიკის საფუძველია; ისინი საზოგადოებისთვის დესტრუქციული და ზედაპირული ასპექტების გვერდიდან დანახვის და კრიტიკის საშუალებას იძლეოდნენ. სხვებისთვის კულტურა წარმოადგენდა ეპიფენომენს და პოლიტიკისა და ეკონომიკის მატერიალურად ხელშესახები სფეროებისგან განსხვავებით პქონდა უფრო ფემინისტური ხასიათი. ამგვარად, კულტურის პირველი გაგება ასოცირდებოდა

ანთროპოლოგიასთან, ხოლო მეორე გაგება, ჰუმანიტარული მეცნიერებების რამდენიმე სფეროსთან-ლიტერატურასთან, ხელოვნებასა და მუსიკასთან.

კულტურის ფართოდ გავრცელებული მნიშვნელობა კარგად ასახავს თავად ცნების ისტორიას. ერთის მხრივ, ყოველდღიურ ცხოვრებაში ტერმინი შეიძლება ეხებოდეს ადამიანების საქმიანობის იმ სფეროსა და სპეციალურ ნიმუშებს, რომლებიც განსხვავდება პრაქტიკული სოციალური ცხოვრების ყოველდღიური სამყაროსგან ან კიდევ ეხებოდეს ჯგუფის ან მთელი ხალხის ცხოვრების წესს. კულტურის ეს არსებული განსაზღვრებები ამ ცნებას მთელი მისი ისტორიის მანძილზე აბუნდოვნებდა.

როგორც სხვა დისციპლინები, კულტურის სოციოლოგია ჩამოყალიბდა ამ ტიპის განსხვავებების ფონზე და ხელი შეუწყო კულტურის ცნების განსაზღვრას. მეცნიერები სოკოლოვი და ორლოვა აღნიშნავენ კულტურის განსხვავებულ ასპექტებს, როგორებიცაა მნიშვნელობა, ფასეულობა, ნიმუშები, რიცხვები, ჩვეულებები, რიტუალები, სიმბოლოები, კოდები, იდეები, დისკურსი, მსოფლმხედველობა, იდეოლოგია თუ პრიციპები; ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. კულტურული “საგნების” ნებისმიერი ჩამონათვალი ყოველთვის იქნება არასრული, იმდენად, რამდენადაც მნიშვნელობა და ინტერპრეტაცია არის აქტიური და ცვალებადი პროცესი. უფრო მეტიც, ასეთი ჩამონათვალი თავის თავში მოიცავს მნიშვნელოვან თეორიულ დაპირისპირებებს იმ მკვლევარებს შორის, რომლებიც ხაზს უსვამენ დისკურსებისა და კულტურული პრაქტიკის მნიშვნელობას, კოგნიტოლოგიურ კატეგორიებს, ფასეულობებს, ვინც აანალიზებს კონკრეტულ პროდუქტებს და ღრმა ტექსტობრივ ნიმუშებს, რომ არ ჩავთვალოთ ამათი შესაძლო კომბინაციები, მაგრამ ბევრი ეს წინააღმდეგებობა და კამათი მოიხსნება, თუ ჩვენ კულტურას შევხედავთ, როგორც მნიშვნელობის განმსაზღვრელი პროცესების ერთობლიობას, რომლებიც სხვადასხვა ტიპის სოციალურ გარემოში მიმდინარეობს და აისახება განსხვავებულ სოციალურ პრაქტიკასა თუ სოციალურ პროდუქტში. აქედან გამომდინარე, კულტურის სოციოლოგებმა შეიძლება გამოიკვლიონ კულტურა, როგორც საზოგადოების ცალკე სფერო ან კულტურა, როგორც ცხოვრების წესი.

თანამედროვე კულტურის სოციოლოგია ხშირად ეყრდნობა ანთროპოლოგიას, ისტორიას, ფემინისტურ, მედია, კულტუროლოგიურ კვლევებს, ლიტერატურულ კრიტიკას, პოლიტიკურ მეცნიერებას და სოციალურ

ფსიქოლოგიას. კულტურის სოციოლოგიაში მუშაობა გულისხმობს ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებას, რაც საშუალებას გვაძლევს შემოქმედებითად მოვაკიდოთ ჩვენი შესწავლის საგანს. თანამედროვე კულტურის სოციოლოგიაში გამოიკვეთა სამი მიმართულება. თითოეული მათგანის შესწავლის საგანია მნიშვნელობის განმსაზღვრელი პროცესები სხვადასხვა ანალიტიკურ დონეზე. ჩვენ შევეხებით როგორც მნიშვნელობის განსაზღვრას, ასევე განვიხილავთ, თუ როგორი ურთიერთობები განსაზღვრავს და შეადგენს მნიშვნელობებს და თუ როგორ ოპერირებენ ინდივიდები ამ მნიშვნელობებით. ესა თუ ის მნიშვნელობა შეიძლება არ იქნეს გაზიარებული ან ლოგიკური მოცემული ჯგუფის თუ მთლიანად საზოგადოების ყველა წევრის მიერ. საერთო ნორმები, ლირებულებები, კოგნიტური ჩარჩოები და მოქმედების აღიარებული გზები არ შეიძლება იყოს ყველასთვის გამჭვირვალე და სწორხაზოვანი, არამედ კონტექსტიდან გამომდინარე ინდივიდები და სოციალური ჯგუფები ეყრდნობიან მოცემული მნიშვნელობების სიმბოლურ რეპერტუარებს.

თანამედროვე პუმანიტარული მეცნიერებისათვის ცნობილია კულტურის უამრავი განმარტება.

კულტურა საზოგადოების მიღწევათა ერთობლიობაა განათლების მეცნიერების, ხელოვნების და სულიერი ცხოვრების სხვა დარგებში; ამ მიღწევათა გამოყენების უნარი წარმოების გასაზრდელად და სხვა (უცხო სიტყვათა ლექსიკონი 1989:266).

ეტაილერი, რომელიც კულტურის ცნების პირველი მეცნიერული განსაზღვრების ავტორადაა მიჩნეული, ხაზს უსვამს კულტურის სოციალურ ბუნებას. მისი სიტყვებით, „კულტურა შედგება ცოდნის, რწმენა-წარმოდგენების, ხელოვნების, ზნეობის, კანონების, ზნე-ჩვეულებებისა და ზოგი სხვა უნარ-ჩვევისგან, რომლებიც შეძენილია ადამიანის, როგორც საზოგადოების წევრის მიერ“ (Tyler 1988:6).

კულტურა შეიძლება მივიჩნიოთ ასევე ლირებულებათა, ქცევის ნორმათა და სტანდარტთა ერთობლიობად, რომელიც არვეულირებს ადამიანთა ურთიერთობებს ერთმანეთთან, საზოგადოებასა და ბუნებასთან (კულტუროლოგია, კულტურის ისტორია და თეორია (2003. 22-24).

კულტურა განვითარების რამდენიმე სტადიას გადის:

1. კულტურის ახალი ფორმების გაჩენა;
2. ტრადიციების შენახვა;
3. კულტურის ამა თუ იმ სფეროს მოდერნიზაცია, ან დეგრადაცია;
4. კულტურის რეინტერპრეტაცია.

დღესდღეობით ინტერესი კულტურის ფენომენისადმი გამოწვეულია უამრავი გარემოებებით. კულტურა უსაზღვრო და ამოუწურავია, ამიტომ მისი გაგება და განმარტების ჩამოყალიბება საკმაოდ რთულია. თანამედროვე კულტუროლოგიურ მეცნიერებაში არსებობს 400-ზე მეტი განმარტება, მაგრამ არც ერთი არ შეიძლება ჩაითვალოს ამომწურავად და სრულად.

არც ერთი კულტურა იზოლირებულად არ არსებობს. თავისი არსებობის პროცესში ის მიმართავს თავისსავე წარსულს ან სხვა კულტურების გამოცდილებას. ნებისმიერი კულტურა თავისი არსებობისა და განვითარების პროცესში ნიშანთა სისტემას ქმნის. თავისი ისტორიის განმავლობაში კაცობრიობამ შექმნა ყოფაქცევის ბევრი ნიშანი, რომლის გარეშე შეუძლებელია მისი მოღვაწეობის ნებისმერი სახეობა. ადამიანის ამ ნიშნების და ნიშანთა სისტემების ქონა ნიშნავს სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში ჩართვას.

ენა არის ნიშანთა სისტემა, რამდენადაც ნიშნების საშუალებით იდეებს გამოვხატავთ, ენა შესაძლებელია შევადაროთ დამწერლობას, ყრუ-მუნჯთა ანბანს, სიმბოლურ რიტუალებს, სამხედრო სიგნალებს და ა.შ. ის ქმნის ნიშანთა სისტემას, სადაც მხოლოდ აზრისა და ბგერითი ხატის ურთიერთმიმართებაა არსებითი და სადაც ორივე მხარე (ე.ი. აზრი/მნიშვნელობა და ბგერითი ხატი) თანაბრად არის წარმოდგენილი ფსიქიკურად (სოსიური 1931:19). ეს მრავალრიცხოვანი ნიშანი და ნიშანთა სისტემა, რომლებიც ადამიანის საზოგადოებაში არსებობენ, შეადგენენ ამა თუ იმ დროის კულტურას, თითოეულ ნიშანში დევს გარკვეული აზრი. ეს იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერ ნიშანს აქვს თავისი ფორმა და შინაარსი. ნიშნების შინაარსი წარმოადგენს რთულ ინფორმაციას მათთის, ვისაც მათი წაკითხვის უნარი შესწევს. ყოფაქცევის, ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების ფორმები არსებობს მხოლოდ კულტურის სისიტემაში. მათი გადაცემა თაობიდან თაობაზე შესაძლებელია მხოლოდ ნიშნების მეშვეობით.

კულტურები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით სხვა კულტურასთან ურთიერთობისას.

სოციალურმა კპლეგებმა ცხადყო, რომ სხვა კულტურის წარმომადგენლები შიდა ჯგუფურ, ინდივიდუალურ კულტურაში უფრო ადგილად ამჟარებენ ურთიერთობას, ვიდრე კოლექტიურში. ამის მიზეზი არის ის, რომ კოლექტიური კულტურა ყოველი წევრისაგან მოითხოვს ჯგუფთან ისეთ შერწყმას, რომ მოცემულ მომენტში თავი გამოავლინოს, როგორც კოლექტივის წევრმა, ხოლო ინდივიდუალურში ადამიანი ისე იქცევა, როგორც თვითონ ჩათვლის საჭიროდ.

იმის დასადგენად, თუ რაოდენ ძნელია ერთი კულტურის მეორესთან კონტაქტი, კულტურულ ანთროპოლოგიაში გაჩნდა ისეთი გაგება, როგორიცაა “კულტურული დისტანცია”.

“კულტურული დისტანცია” აფიქსირებს ერთი ელემენტის განსხვავებას განსხვავებულ კულტურაში. ესენია: კლიმატი, სამოსი, ენა, რელიგია, განათლება, მატერიალური კომფორტი, ოჯახური სტრუქტურა და ა.შ.

ასე, მაგალითად, დასავლური კულტურის წარმომადგენლები განსაკუთრებულ ყურადღებას ურთიერთობის არსეს აქცევენ, იმას, თუ რა ითქვას და ის, თუ როგორ ითქვა, ამიტომ მათი კომუნიკაცია დამოკიდებულია კონტაქტზე. ასეთი კულტურებისთვის დამახასიათებელია ინფორმაციის გაცვლის კოგნიტური სტილი, რომლის დროსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ლოგიკურ გამოთქმებს. ასეთი კულტურების წარმომადგენლები ცდილობენ განავითარონ თავიანთი მეტყველება. ამერიკელების უმრავლესობა ყოველდღიურ ურთიერთობებში იყენებს მოკლე გამონათქვამებს. ისინი ერთმანეთს კითხვებს უსვამენ, პასუხს კი არ ელოდებიან. მაგალითად: როგორა ხარ? კარგი ამინდია არა? ამერიკული კულტურის ინდივიდუალიზმი აიძულებთ მათ გამოხატონ აზრი მოკლედ და კონკრეტულად.

აღმოსავლური ტიპის კოლექტიურ კულტურებში ინფორმაციის გადაცემის დროს ხალხი დიდ ყურადღებას აქცევს შეტყობინების კონტექსტს. ეს განსაკუთრებულობა გამოიხატება გადმოცემის ფორმაში, თუ როგორ ითქვა, და არა ის, თუ რა ითქვა. აღმოსავლური კულტურა სახიათდება მეტყველების არაკონკრეტულობით, მაგალითად: ალბათ, შესაძლებელია, იქნებ, შეიძლება, ამიტომაც იაპონელები საქმიანი ურთიერთობისას ლაპარაკობენ საქმის ირგვლივ, და არა უშუალოდ საქმეზე. ასეთი სტრატეგია მათ საშუალებას აძლევს უკეთესად გაიგონ პარტნიორის ჩანაფიქრი.

კულტურათშორისი კომუნიკაციის დარგში დაპირვებისა და გამოკვლევების შედეგად შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ მათი შინაარსი ძირითადად დამოკიდებულია რომელიმე კულტურაში ყოფაქცევის ნორმებზე და სხვ.

კულტურა და კომუნიკაცია ურთიერთზემოქმედებენ. მაგალითად: ყოველ კულტურას ამა თუ იმ საკითხის შესახებ განსხვავებული წარმოდგენა აქვს, ავიღოთ თუნდაც, თავაზიანობა. ბევრ აზიურ ქვეყანაში ძალზე არათავაზიანად ითვლება, შეეცითხო პარტნიორს საქმის შესახებ, თუკი შენ დარწმუნებული არ ხარ, რომ ის ზუსტ პასუხს გაგცემს. თუკი ამერიკელები პირდაპირ ამბობენ რასაც ფიქრობენ, იაპონელები და არაბები არ დაუშვებენ, რომ პარტნიორი გაწითლდეს იმის გამო, რომ მას ჰქითხეს ის, რაზეც პასუხს ვერ იძლევა, ამიტომაც იაპონიაში არათავაზიანად ითვლება ერთი სიტყვით უასეუხო კინგებს: **არა**. თუ ადამიანს არ სურს მიწვევის მიღება, ის არ პასუხობს პირდაპირ, ის ამბობს, რომ აქვს ბევრი საქმე, და ა.შ. დასავლეთში კი ასეთი გზით გაურბიან კონკრეტულ პასუხებს. ნებით თუ უნებლიერ, მთელი ცხოვრების განმავლობაში ხალხი შედის ამა თუ იმ სოციოკულტურული ჯგუფის შემადგენლობაში. თითოეული ასეთი ჯგუფი მოიცავს მიკროკულტურას და აქვს მსგავსებაც და განსხვავებაც. განსხვავება შეიძლება გამოწვეული იყოს სოციალური განწყობით, განათლებით, ტრადიციებითა და სხვა მიზნებით.

კულტურა გავლენას ახდენს არამარტო კომუნიკაციაზე, არამედ თვითონაც ექცევა მისი ზეგავლენის ქვეშ. ხშირად ეს ხდება ინკულტურაციის პროცესში, როდესაც ადამიანი კომუნიკაციის ამა თუ იმ ფორმით ითვისებს კულტურის ნორმებს. ჩვენ კულტურას ვსწავლობთ სხვადასხვა მეთოდით. მაგალითად; კითხვით, უცნობების მოსმენით, დაკვირვებით და ნაცნობებთან და უცნობებთან ურთიერთობით ჩვენ გავლენას ვახდენთ ჩვენს კულტურაზე, რომელიც შემდგომში კომუნიკაციის ერთ-ერთ ფორმად იქცევა. და ბოლოს, კულტურათა განმასხვავებელი ნიშან-თვისებები შეიძლება იყოს ინტერპრეტირებული, როგორც ვერბალური და არავერბალური კოდების სხვაობა კომუნიკაციის სპეციფიკურ კონტექსტში. ინტერპრეტაციის პროცესზე მოქმედებს ასაკი, სქესი, პროფესია, კომუნიკაციის სოციალური სტატუსი.

აქედან გამომდინარე, კულტურათშორისი კომუნიკაცია შეიძლება განვიხილოთ, როგორც ურთიერთობის სხვადასხვა ფორმის ერთობლიობა, ან

როგორც სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა და მათ ჯგუფებს შორის ურთიერთობა.

III კომუნიკაციის გერბალური და არაგერბალური ასპექტები

ყველა კულტურას გააჩნია ენობრივი სისტემა, რომლის დახმარებითაც კულტურის მატარებელთ აქვთ ერთმანეთთან ურთიერთობის შესაძლებლობა. მეცნიერებაში ენობრივი ურთიერთობების სხვადასხვა ფორმას ეწოდა კომუნიკაციის გერბალური საშუალებანი. ცნობილ გერბალურ საშუალებებს განეკუთვნება, უპირველესად, ადამიანთა მეტყველება, რაღანაც მეტყველების მეშვეობით ადამიანები დებულობენ და გასცემენ სასიცოცხლო, მნიშვნელოვანი ინფორმაციის ძირითად ნაწილს, თუმცადა, იგი წარმოადგენს ენის მხოლოდ ერთ-ერთ ელემენტს, ამიტომაც მისი ფუნქციური შესაძლებლობანი უფრო მცირეა, ვიდრე მთლიანი ენობრივი სისტემისა.

XXI საუკუნის ლინგვისტიკა აქტიურად შეიმუშავებს მიმართულებას, რომლის მიხედვითაც ენა განიხილება არა უბრალოდ კომუნიკაციის და შემეცნების იარაღი, არამედ როგორც კულტურული კოდი. ასეთი მიღგომის საფუძველს ვ. პუმბოლდეტის, ა. პოტენიასა და სხვათა შრომები წარმოადგენს. ამას პუმბოლდეტის სიტყვებიც მოსმობს: “ჩემი ერის ენის საზღვრები ჩემი მსოფლმხედველობის საზღვრებია” (Гумбوليц 1984: 397).

მნელია გადაჭარბებულად შეაფასო ენის მნიშვნელობა ნებისმიერი ხალხის კულტურაში. ამ შეფასებაში თოთოეული მეცნიერება აღნიშნავს თავის ასპექტს. კულტუროლოგიურ ლიტერატურაში ენის მნიშვნელობა უპირველესად გადმოიცემა შემდეგი დამახასიათებელი მტკიცებულებებით.

ენა არის:

- კულტურის სარკე, რომელშიც აისახება არამარტო რეალური ადამიანის გარემომცველი სამყარო, არამედ ხალხის მენტალიტეტი, მისი ეროვნული ხასიათი, ტრადიციები, ჩვეულებანი, მორალი, იუმორისა და ფასეულობათა სისტემა, სამყაროს სურათი (Тер-Минасова 2002:56).
- საგანძური, კულტურის ყულაბა, ისევე როგორც ყველა მატერიალური და სულიერი ფასეულობების ცოდნა, დაგროვილი ამა თუ იმ ხალხის მიერ, რომელიც ინახება ენობრივ სისტემაში: ფოლკლორში, წიგნებში, ზეპირ და წერით მეტყველებაში.
- კულტურის ინსტრუმენტი, ადამიანის პიროვნების ჩამოყალიბებელი, რომელიც სწორედ ენის საშუალებით ითვისებს მენტალიტეტს, თავისი ხალხის ტრადიციებსა და კულტურას.

სხვადასხვა სამეცნიერო გამოცემაში შეიძლება შევხვდეთ ენის განსხვავებულ განმარტებას, რომელთაც საერთო აქვს მთავარი: ენა წარმოადგენს აზრის გამოხატვისა და ურთიერთობის საშუალებას. ენის მრავალრიცხოვან ფუნქციათა შორისაა კომუნიკაცია, რომლის ვარაუდით, ენის გარეშე ადამიანთა ურთიერთობის ნებისმიერი ფორმა შეუძლებელი ხდება.

ენა ემსახურება კომუნიკაციას, მაგრამ რადგანაც კულტურაც, როგორც სპეციფიკური ნიშანი ადამიანის გარესამყაროსთან შერწყმისა შეიძლება დასახელდეს როგორც კომუნიკაცია, ნათელი ხდება, რომ ენის კულტურისა და კომუნიკაციის ურთიერთკავშირი ბუნებრივი და განუყოფელია.

ენა არ არსებობს კულტურის გარეშე. ის უმთავრესი კომპონენტია კულტურისა, აზროვნების ფორმაა, ადამიანური ცხოველქმედების სპეციფიკური გამოვლენაა, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს ენის რეალურ ყოფიერებას, ამიტომაც ენა და კულტურა განუყოფელია.

აღსანიშნავია, რომ ენასა და კულტურას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს ენა კულტურის გარეშე და პირიქით, კულტურა ენის გარეშე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ მიზნად ვისახავთ ენობრივი ფაქტის კვლევას, მაშინ იგი უნდა შევისწავლოთ ანთროპოცენტრულ-კომუნიკაციურ და ლინგვოკულტუროლოგიურ მიდგომათა საფუძველზე.

ენისა და კულტურის ურთიერთმიმართების პრობლემასთან დაკავშირებით ფართოდაა გავრცელებული ვ. პუმბოლდტის იდეები, რომლის მოსაზრებებით, ენა წარმოადგენს “ხალხის სულს”, ხალხის ყოფიერებას. კულტურა უპირველეს ყოვლისა, ენაში ვლინდება. იგი კულტურის ჭეშმარიტი რეალობაა, კულტურის მხრიდან კი იგი ფიქსირებული შეხედულებაა საკუთარ თავსა და სამყაროზე. პუმბოლდტი წერდა, რომ ენის შესწავლა არ წარმოადგენს თვითმიზანს, ყველა დანარჩენ სფეროსთან ერთად იგი ემსახურება საერთო უმაღლეს მიზანს – კაცობრიობის მიერ საკუთარი თავის და ყველაფერი ხილულისადმი თუ მისგან დაფარულისადმი საკუთარი დამოკიდებულებების შეცნობას (ГумбоЛьдт 1984:233).

როგორც ვ. ლევი სტროსი აღნიშნავდა, “ენა ერთდროულად კულტურის პროდუქტიცაა, მისი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილიც და კულტურის არსებობის პირობაც, უფრო მეტიც, კულტურის არსებობს სპეციფიკური საშუალება, კულტურული კოდების ფორმირების ფაქტებია” (Леви-Строс 1995:68).

ენისა და კულტურის კავშირი შეიძლება განვიხილოთ, როგორ ნაწილისა და მთლიანის ურთიერთმიმართება. ენა შეიძლება განხილულ იქნეს როგორც კულტურის კომპონენტი და კულტურის იარაღი, მაგრამ ამავდროულად ენა ავტომატურია და შეიძლება განხილულ იქნეს კულტურისგან დამოუკიდებლად.

კულტურას ქმნის ადამიანი, პიროვნება, სწორედ პიროვნება წამოსწევს წინა პლანზე ადამიანის სოციალური ბუნებას, ხოლო ადამიანი წარმოადგენს სოციოკულტურული ცხოვრების სუბიექტს.

პიროვნება უნდა იქნეს განხილული ხალხის, ეთნოსის კულტურული ტრადიციის პერსპექტივაში, რადგან ადამიანში ადამიანის დაბადებისათვის საჭიროა კულტურულ-ანთროპოლოგიური პროტოტიპი, რომლის ჩამოყალიბებაც კულტურის ფარგლებში ხდება.

ენობრივი პიროვნების შინაარსში ჩვეულებრივ მოიაზრება შემდეგი კომპონენტები:

- ა) ფასეულობითი; ბ) მსოფლმხედველობითი; გ) აღზრდის შინაარსის ანუ ღირებულების კომპონენტი; დ) ცხოვრებისეული საზრისის სისტემა;
- კულტუროლოგიური კომპონენტი, ანუ კულტურის როგორც ენისადმი ინტერესის ამაღლების ეფექტური საშუალების ათვისების დონე, შესასწავლი ენის კულტურის ფაქტების მოშველიება, რომლებიც დაკავშირებულია სამეტყველო და არასამეტყველო ქცევის წესებთან, ხელს უწყობს ენობრივი მასალის აღეკვატურ გამოყენებასა და კომუნიკაციის პარტნიორზე ეფექტური ზემოქმედების უნარ-ჩვევათა ჩამოყალიბებას;
- პიროვნული კომპონენტი, ანუ ინდივიდუალური, სიღრმისეული საწყისი, რომელიც ყველა ადამიანში არსებობს.

ენობრივი პიროვნება კარასიკის განმარტებით წარმოადგენს ენობრივი შესაძლებლობებისა და უნარების მრავალსახეობრივ და მრავალკომპონენტურ ერთობლიობას, რომელთა კლასიფიკაცია, ერთის მხრივ, ხდება სამეტყველო საქმიანობის სახეობებით (კითხვა, წერილი, საუბარი) მეორეს მხრივ კი ენის დონეებით (Карасик 2004:21-22).

კარაულოვმა წარმოადგინა ენობრივი პიროვნების სამი დონისაგან შემდგარი სტრუქტურა:

გერბალურ-სემანტიკური გათვლილია მათთვის, გინც ნორმალურად ფლობს ბუნებრივ ენას, და მკვლევართათვის წარმოადგენს გარკვეული მნიშვნელობის გამოხატვის საშუალებას.

კოგნიტურის ერთეულებია ცნებები, იდეები, კონცეპტები, მეტ-ნაკლებად სისტემატიზირებულ ფასეულობათა ამსახველი სამყაროს სურათი. თითოეული მათგანი ასევე მეტ-ნაკლებადაა დამახასიათებელი თითოეული ენობრივი ინდივიდუალობისათვის. ეს დონე წარმოადგენს პიროვნების ინტელექტუალური სფეროს გავრცობის საშუალებას.

პრაგმატულ ში შედის მიზნები, მოტივები, ინტერესები. ეს დონე უზრუნველყოფს ენობრივი პიროვნების ანალიზისას კანონზომიერ გადასვლას სამეტყველო საქმიანობის შეფასებისდან რეალური ქმედების გააზრებაზე (Караулов 1987:31).

ცხადია, რომ ენობრივი პიროვნების ტიპოლოგია სხვადასხვა კრიტერიუმის საფუძველზე შეიძლება აიგოს. როცა გვსურს განვიხილოთ ენობრივი პიროვნება ლინგვოკულტუროლოგიურ ასპექტში, საყრდენად, ამოსავალ წერტილად ვიღებთ სოციოკულტურულ ნიშანს და ვაღგენთ რომელი მეტყველი სუბიექტი ჩავთვალოთ ენობრივ პიროვნებად და განვსაზღვრავთ მის მოდელს თუ ტიპობრივ სახეს.

ენა ეს არის ის, რაც კულტურაში ადამიანის არსებობის ზედაპირზე იმყოფება, ამიტომ მე-19 საუკუნიდან მოყოლებული დღემდე ენისა და კულტურის ურთიერთმიმართების, ურთიერთმოქმედების საკითხი ენათმეცნიერების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს. მისი გადაწყვეტის პირველი მცდელობა ეკუთვნის ვაჟმბოლდებს, რომლის კონცეფციის ძირითადი დებულებები შეიძლება წარმოდგენილ იქნეს შემდეგი სახით:

- მატერიალური და სულიერი კულტურა აისახება ენაში;
- ნებისმიერი კულტურა არის ეროვნული, მისი ეროვნული ხასიათი გამოიხატება ენაში სამყაროს განსაკუთრებული ხედვის მეშვეობით, ენისათვის დამახასითებელია თითოეული ხალხისათვის სპეციფიკური შინაგანი ფორმა;
- ენის შინაგანი ფორმა წარმოადგენს ხალხის სულის, მისი კულტურის გამოხატულებას;
- ენა წარმოადგენს შუალედურ რგოლს ადამიანსა და მის გარშემო არსებულ სამყაროს შორის.

მე-19 საუკუნის გამოჩენილი მეცნიერი ვ. ჰუმბოლდტი ენას მოიაზრებს, როგორც სულიერ ძალას, როგორც გარემოს, რომლის გარეშეც ადამიანი არ არსებობს, ადამიანი ცხოვრობს ენის გარემოცვაში ენობრივ გარემოში. როგორც ვ. ჰუმბოლდტი წერდა, „ ენა არის სამყარო, რომელიც არსებობს მოვლენათა სამყაროსა და ადამიანის შინაგან სამყაროს შორის ” (Гумбольдт 1984:423).

აქედან გამომდინარე, ენა არ არსებობს ჩვენ გარეშე, როგორც ობიექტური მოცულობა, იგი თვითონ ჩვენში, ჩვენს ცნობიერებაში, ჩვენს მეხსიერებაშია.

ვ.ა.მასლოვა წერს, რომ ადამიანი მოიაზრება, როგორც გარკვეული ეროვნების, მენტალობის, და ენის მატარებელი, რომელიც მონაწილეობს ერთობლივ მოღვაწეობაში ეროვნული ერთობის სხვა წარმომადგენლებთან (Маслова 2001:67).

ენა არის ერთადერთი საშუალება, რომელსაც შეუძლია დაეხმაროს ადამიანს ადეკვატურად აღიქვას სამყარო. ვ. ჰუმბოლდტი ენას ადამიანის გონის უმთავრეს მოღვაწეობად მიიჩნევს. მისი აზრით, ენის ადეკვატური შესწავლისათვის აუცილებელია ადამიანის ცნობიერებასთან და აზროვნებასთან, კულტურასთან და სულიერ ცხოვრებასთან მისი მჭიდრო კავშირის გათვალისწინება, ჰუმბოლდტისთვის ენა ხალხის ერთიანი ენერგიაა, იგი ეროვნული ფორმის მქონე კოლექტიური მოვლენაა. ამდენად, ენობრივი კოლექტივი ჰუმბოლდტის მოძღვრების ერთდროულად სოციალურ და ლინგვისტურ ცნებად გვევლინება (გამყრელიძე 2003:465).

ამრიგად, ენა წარმოადგენს კულტურის შემადგენელ ნაწილს და მის იარაღს. იგი არის კულტურის სარკე, ენა მკაფიოდ გამოხატავს ეროვნული მენტალობის სპეციფიკურ ნიშან-თვისებებს.

სეპირისა და უორფის ჰიპოტეზაში გამოიკვეთა ორი ძირითადი დებულება.

1. ენა განსაზღვრავს ამ ენაზე მოსაუბრე ერის აზროვნების ხერხებს;
2. რეალური სამყაროს აღქმის ხერხი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ენაზე აზროვნებენ სუბიექტები.

სეპირისა და უორფის ჰიპოთეზა გამომდინარეობს დებულებიდან, რომ ენა არის საფუძველი იმ სურათისა, რომელიც ყალიბდება თითოეულ ადამიანში და აწესრიგებს საგნებისა და მოვლენების უდიდეს რაოდენობას, რომელიც გარე სამყაროზე დაკვირვებით გროვდება. ნებისმიერი საგანი ან მოვლენა ხომ მაშინაა

ჩვენთვის გასაგები, როცა მას სახელწოდება აქვს. საგანი ან მოვლენა, რომელსაც სახელი არ აქვს, ჩვენთვის უბრალოდ არ არსებობს. ეძლევა რა სახელწოდება, ჩვენ ახალ ცნებას ვრთავთ ჩვენი აზროვნების უკვე ჩამოყალიბებულ სისტემაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენ შეგვყავს ახალი ელემენტი ჩვენში უკვე არსებულ სამყაროს სურათში. უნდა ითქვას, რომ ენა არამარტო აღწერს სამყაროს, არამედ ქმნის იდეალურ სამყაროს ჩვენს შეგნებაში. ის ქმნის რეალობას. ადამიანი ხედავს სამყაროს ისე, როგორც ლაპარაკობს, ამიტომ ამტკიცებს უორფი, რომ სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ადამიანები, სამყაროს სხვადასხვანაირად აღიქვამენ (Уорփ 1960:162).

ენასა და რეალურ სამყაროს შორის დგას ადამიანი, ენისა და კულტურის მატარებელი. ზუსტად ის აღიქვამს და შეიგრძნობს სამყაროს გრძნობითი ორგანოების საშუალებით. მის საფუძველზე ექმნება მას წარმოდგენა სამყაროზე. ისინი თავის მხრივ თავიანთი აზრებს, დასკვნებს, წარმოდგენებს გადასცემენ სხვა ადამიანებს. ენასა და რეალურ სამყაროს შორის დგას აზროვნება (Сепир 1993:45).

რადგანაც კულტურაც და ენაც ხალხის მენტალობასთან, ანუ სამყაროს შეგრძნებასა და აღქმასთანაა დაკავშირებული, ამიტომ აუცილებელია ენისა და კულტურის მენტალურ კატეგორიებთან მიმართების პრობლემის გაცნობიერება.

გ.გ.კოლეგიუმის აზრით, მენტალობა წარმოადგენს სამყაროს ჭვრების მშობლიური ენის კატეგორიებსა და ფორმებში, რომელიც შემეცნების პროცესში აერთიანებს ეროვნული ხასიათის ინტელექტუალურ, სულიერ და ნებელობით თვისებებს (Колесов 1999: 81).

მ. პაიდეგერი წერდა, რომ სიტყვა “სურათი” რომ გვესმის, პირველ რიგში ვფიქრობთ რადაცის ასახვაზე. “სამყაროს სურათი, გაგებული არსებითად, აღნიშნავს არა სამყაროს ამსახველ სურათს, არამედ სამყაროს, გაგებულს სურათის სახით” (Хайдеггер 1991: 96).

ი. დ. აპრესიანი სამყაროს ენობრივ სურათს ”მიამიტ“ სურათს უწოდებს. მისი აზრით, “სამყაროს ენობრივი სურათი ერთგვარად ავსებს ობიექტურ ცოდნას რეალობის შესახებ და ხშირად ამახინჯებს მას (Апресян 1966:69) სიტყვა გარესამყაროს, საგანსა და მოვლენას კი არ გადმოგვცემს, არამედ იმას, თუ როგორ ხედავს სამყაროს იმ პრიზმით, რომელიც არსებობს მის შეგნებაში და რომელიც დეტერმინირებულია მისი კულტურით. თითოეული ადამიანის შეგნება ყალიბდება როგორც ინდივიდუალური გამოცდილების

ზემოქმედებით, ასევე ინკულტურაციის შედეგად, რომლის დროსაც ის წინაპართა გამოცდილებას ეუფლება. ამგვარად, ენა არ არის სარკე, რომელშიც ავტომატურად ისახება გარე სამყარო, არამედ პრიზმაა, საიდანაც უყურებენ სამყაროს და რომელიც ყოველი კულტურისათვის საკუთარია. ენა, აზროვნება, კულტურა იმდენად მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ პრაქტიკულად ერთ მთლიანს შეადგენს და არ შეუძლიათ უერთმანეთოდ არსებობა. ამიტომაც ს.გ. ტერმინასოვა განასხვავებს ადამიანის გარშემო მყოფი სამყაროს სამ ფორმას:

- სამყაროს რეალური სურათი;
- სამყაროს კულტურული (შემეცნებითი) სურათი;
- სამყაროს ენობრივი სურათი;

სწორედ სამყაროს კულტურული სურათი არის ყველა ხალხში განსხვავებული, რაც მრავალი ფაქტორითაა განპირობებული, როგორიცაა: გეოგრაფია, კლიმატი, სოციალური მოქმედება, რწმენა, ტრადიციები, ცხოვრების წესი (Ter-Minasova 2002:41). ამრიგად, ენა არის კულტურის ფაქტი, მისი შემადგენელი ნაწილი, ენის მეშვეობით ვითვისებთ კულტურას. შესაბამისად, ენა კულტურის შემადგენელი ნაწილი, მისი იარაღი, ეროვნული სულის რეალობა, კულტურის ხატია, ის გამოხატავს ეროვნული მენტალიტეტის სპეციფიკურ ნიშნებს, იმდენად რამდენადაც ენის თითოეული მატარებელი ამავე დროს არის კულტურის მატარებელიც. ენა დამოუკიდებელი სამყაროა, რომლის საშუალებითაც ესა თუ ის ერი აზრსა და გრძნობებს ენობრივ რელობას ანიჭებს. დამაჯერებლად რომ ვილაპარაკოთ და ვწეროთ, მარტო გრამატიკულად გამართული წერა და მეტყველება არ კმარა. საჭიროა ვილაპარაკოთ გასაგებად, დამაჯერებლად და მწყობრად, რაც მსმენელის დაინტერესებას გამოიწვევს.

სასიამოვნო მეტყველება იპყრობს აუდიტორიის ყურადღებას, ხოლო მეტყველების სიმწყობრე ჩვენს სიტყვას წონასა და ძალას მატებს. ამდენად, ვერბალური კომუნიკაცია გვასწავლის დამოუკიდებლად და ორიგინალურად გამოვხატოთ აზრები, გავაკეთოთ სწორი დასკვნები, დავიცვათ ჩვენი პოზიცია, ავხსნათ იგი და დავასაბუთოთ.

ვერბალური კომუნიკაციის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა გრაისმა თავის ნაშრომში – “Logic and conversation” 1999წ. ჩამოაყალიბა ვერბალური კომუნიკაციის ძირითადი პრინციპები და დაყო ისინი ოთხ კატეგორიად:

1. რაოდენობრივი კატეგორია;
2. ხარისხობრივი კატეგორია;
3. ურთიერთობის კატეგორია;
4. მეთოდური კატეგორია.

რაოდენობრივი კატეგორია დაკავშირებულია გადასაცემი ინფორმაციის რაოდენობასთან და აერთიანებს ორ პოსტულატს:

1. შენი ნათქვამი უნდა შეიცავდეს საჭიროზე არანაკლებ ინფორმაციას;
2. შენი გამონათქვამი არ უნდა შეიცავდეს საჭიროზე მეტ ინფორმაციას.

ხარისხობრივ კატეგორიას ზოგადი პოსტულატი - გამონათქვამი უნდა შეესაბამებოდეს ჭეშმარიტებას. ამ კატეგორიას აქვს ორი ძირითადი პოსტულატი:

1. თქვა ისეთი რამ, რასაც მცდარად თვლი;
2. არაფერი თქვა უსაფუძვლოდ.

ურთიერთობის კატეგორია ერთადერთ რელევანტობის პოსტულატს მოიცავს – არ გადაუხვიო თემას.

მეთოდურ კატეგორიას ეხება არა ის, რა ითქვა, არამეს ის, როგორ ითქვა. აქ გაერთიანებულია შემდეგი ოთხი პოსტულატი:

1. მოერიდე გაუგებარ გამონათქვამებას.
2. შეეცადე, იდაპარაკო ცალსახად, გასაგებად.
3. გადმოეცი ლაკონიურად;
4. იყავი ორგანიზებული. (Grice 1999:58)

მეორე მკვლევარმა- ლიჩმა აღწერა კომუნიკაციის შემდეგი ძირითადი პრინციპი: -ზრდილობის, თავაზიანობის პრინციპი (Leech 1976:67-68). პირველი აერთიანებს შემდეგ მაქსიმებს:

1. ტაქტი;
2. სულგრძელობა;
3. თავმდაბლობა; თანხმობა;
4. სიმპატია.

გრაისის კოოპერაციის პრინციპი და ლიჩმის თავაზიანობის პრინციპი შეადგენს კომუნიკაციის კოდექსის საფუძველს. ამ კოდექსში შედის ჭეშმარიტების (რეალობისადმი ერთგულება, სიმართლეც რომ ყველაფერია) და გულწრფელობის კრიტერიუმები (საკუთარი თავის ერთგულება).

გერბალური კომუნიკაციის ეფექტურობაში იგულისხმება გადაცემული შეტყობინების ადეკვატური აზრობრივი აღქმა. სწორი ინტერპრეტაციის მიზანი ითვლება მიღწეულად, თუ ადრესატი გაიგებს წარმოთქმული ტექსტის მთელ იდეას კომუნიკატორის ჩანაფიქრის შესაბამისად, თუმცა ხშირად ინფორმაციის მთავარი არხი იკარგება ან მახინჯდება. ეს პროცესი ხუმრობით კარგადაა გადმოცემული მაგალითში: კაპიტანი – ადიუტანტი – კაპრალი – რიგითი ჯარისკაცები.

კაპიტანი მიმართავს ადიუტანტს: როგორც იცით, ხვალ მზე დაბნელდება, რომელიც ყოველდღე არ ხდება. 5 საათზე შეკრიბეთ პირადი შემადგენლობა გემბანზე სამგ ზავრო ტანხაცმელ ში. მათ შეეძლებათ დააკვირდნენ ამ მოვლენას, მე კი მივცემ აუცილებელ განმარტებას. წვიმის დროს საჩვენებელი არაფერი იქნება. ასეთ სიტუაციაში დატოვეთ ხალხი ყაზარმა ში.

ადიუტანტი მიმართავს სერუანტს: კაპიტანის ბრძანებით, ხვალ დილით მოხდება მზის დაბნელდება სამგ ზავრო ტანხაცმელ ში. კაპიტანი გემბანზე მოგვცემს აუცილებელ განმარტებას. ეს კი ყოველდღე არ ხდება. თუ წვიმს, საჩვენებელი არაფერი იქნება, მაშინ მოვლენა ყაზარმა შედგება.

სერუანტი- კაპრალი: კაპიტანის ბრძანებით, ხვალ 5 საათზე, სამგ ზავრო ტანხაცმელ ში, გემბანზე მზე დაბნელდება, რაც ყოველდღე არ ხდება. ამ მოვლენის შესახებ კაპიტანი ყაზარმა ში მოგვცემს აუცილებელ განმარტებას.

კაპრალი ჯარისკაცები:- ხვალ უთენია, 5 საათზე, მზე გემბანზე მოხდება კაპიტანის დაბნელდება ყაზარმა ში. წვიმის შემთხვევაში ეს იშვიათი მოვლენა სამგ ზავრო ტანხაცმელ ში შედგება, რაც ყოველდღე არ ხდება (ჯოლია 2006: 83-84).

ინფორმაციის გადაცემისთვის აუცილებელია იდეა, რომელიც ჯერ აზრად ყალიბდება, შემდეგ – გამოითქმება.

ამ პროცესის ყოველ ეტაპზე ინფორმაციის მნიშვნელოვანი ნაწილი იკარგება ან მახინჯდება. დანაკარგის სიდიდე არასრულყოფილი მეტყველებით ანუ აზრის ზუსტად გამოთქმის შეუძლებლობით იზომება. ამის შესახებ რუს პოეტს, ტიუტჩევს ხატოვნად აქვს ნათქვამი: “სიტყვიერად გამოთქმული აზრი, სიცრუეა”. იგი მოსაუბრისადმი უნდობლობით, ან სიტყვიერი მარაგის თანხვედრით ან განსხვავებით და სხვა გარემოებით განისაზღვრება.

კომუნიკაცია სრულყოფილია მხოლოდ მაშინ, როდესაც შთაბეჭდილება ემთხვევა გამონათქვამს, ანუ როდესაც მოსაუბრის მიერ გადაცემულ ინფორმაციას ზუსტად ისევე აღიქვამს მსმენელი, როგორც მოსაუბრეს სურს.

სამწუხაროდ, ეფექტური კომუნიკაცია, ჭეშმარიტი გაგება იმაზე იშვიათი მოვლენაა, ვიდრე ჩვენ გვგონია, რადგან:

- ადამიანები ყოველთვის არ ამბობენ იმას, რასაც სინამდვილეში ფიქრობენ;
- ადამიანებმა ყოველთვის არ იციან თავისი ჭეშმარიტი გრძნობების შესახებ;
- არც ისე ადვილია გრძნობების სიტყვებით გადმოცემა (არც ისე ადვილია სწორი კოდის მოძებნა);
- ერთი და იგივე სიტყვი სხვადასხვა ადამიანს განსხვავებულად ესმის;
- ხანდახან მხოლოდ ის გვესმის, რის გაგებასაც ვისურვებდით;
- ინფორმაციის მიმღები ხშირად დაკავებულია არა დეკოდირების პროცესით, არამედ საკუთარი პასუხების მოფიქრებით;
- გადამცემმა არ იცის, სწორად მოახდინა თუ არა დეკოდირება მიმღებმა;
- ზოგჯერ მიმღებმა არ იცის სწორად მოახდინა თუ არა დეკოდირება.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, მიმღებს მხოლოდ მაშინ ესმის სხვისი, როდესაც მისი შთაბეჭდილება (დეკოდირების შედეგი) ემთხვევა იმას, რაც მისთვის გამონათქვამის საშუალებით უნდა ეცნობათ. სამწუხაროდ, ეს ფაქტი იმაზე იშვიათია, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია.

კომუნიკაციის ეფექტურობას ხელს უშლის შემდეგი ბარიერები:

- ბუნდოვანი პროცესი: მიმღებსა და წყაროს ერთნაირად არ ესმით ენა, უარგონი, სიმბოლოები;
- ინფორმაციის სტრუქტურა: მრავალმხრივი და გადატვირთული გზავნილი;
- პიროვნული ნიშნები: ფიზიკური და მენტალური მდგომარეობა, განათლების და ინტელექტის განსხვავებული დონე და ა.შ.
- ადამიანის “ბუნება”: ცრურწმენები, ტრადიციები, კულტურული ნიშნები;
- კონფლიქტური მოსაზრებები და მიზნები: როდესაც ადამიანები საწინააღმდეგო მოსაზრებებს უჭერენ მხარს, მათ უჭირთ სხვა მოსაზრების გაზიარება.

ამასთან, ბარიერი კომუნიკაციის პროცესში შეიძლება წარმოიქმნას მაშინაც, თუკი მსმენელი გარკვეულ დამოკიდებულებას და უარყოფითადაა განწყობილი მოსაუბრისადმი.

კომუნიკაცია ეფექტური რომ იყოს უნდა შევეცადოთ გავითვალისწინოთ ჩამოთვლილი ბარიერების წარმოშობის შესაძლებლობა, რათა თავიდან ავიცილოთ ისინი.

ადამიანი ინფორმაციას სამი არხით იღებს და გასცემს. ეს არხებია: (ჯოლია 2006:79).

- ვიზუალური (მხედველობითი);
- აუდიალური (სმენითი);
- კინესთეტიკური (შეგრძნებითი).

ამ სამი არხიდან ყოველ ადამიანს ერთ-ერთი აქვს განვითარებული და საკუთარი მოდალურობა გააჩნია, ამის გამო, ინდივიდები პირობითად იყოფიან: ვიზუალებად, აუდიალებად და კინესთეტიკებად. როგორ შევიცნოთ ისინი? ამაში თვით პარტნიორი დაგვეხმარება. სახელდობრ, თანამოსაუბრეს თუ ყურადღებით დავაკვირდებით და მოვუსმენთ, შეიძლება იგი ტონალობით, ჟესტიკულაციის თავისებურებებით, თვალის მოძრაობის მიმართულებით, გარკვეული სიტყვების ხშირი გამოყენებით ანუ პრედიკატებით და ა.შ. ამოვიცნოთ.

ტიპური ვიზუალი მაღალი და გამხდარია, თუმცა, შეიძლება ძალიან მსუქანიც იყოს. ის მხრებში გამართულია, ზურგი და კისერი სწორად უჭირავს; მას მკვეთრი მოძრაობები ახასიათებს. რჩება შთაბეჭდილება, რომ სიარულის დროს ის წინ ნიკაპს მიჰყავს. ვიზუალი გულ-მკერდის ზედა ნაწილით სუნთქვავს, მისი სუნთქვა არ არის ღრმა. ის სწრაფად საუბრობს, მკვეთრი გამოთქმა აქვს, ხოლო მისი ხმის ტონალობა გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე სხვა კატეგორიის ადამიანებისა. ვიზუალი საუბარში ხშირად იყენებს ისეთ სიტყვებს, როგორიცაა: უკურეთ, შეხედეთ, ნუთუ ვერ ხედავთ, რომ..., როგორც ჩანს, და ა.შ. ვიზუალის მზერა ხშირად მაღლაა მიმართული, მას გარემოს აღსაქმელად დიდი სივრცე ესაჭიროება. ჟესტიკულაციისას ხშირად მიუთითებს თვალებზე, ან ეხება მათ.

კინესთეტიკი უფრო მსუქანია, ვიდრე სხვა კატეგორიის ადამიანები. მისი მოძრაობა ნარნარი და თავისუფალია, ის დადის ნელა, სუნთქვას მუცლით; ლაპარაკის ან მოსმენისას მოსაუბრისაკენ იხრება. მას უყვარს ადამიანებთან ახლო კონტაქტი და საუბრის დროს ხშირად ეხება მოსაუბრეს.

კინესთეტიკი ხმადაბლა საუბრობს – ნელა და აუდელვებლად და ხანგრძლივ პაუზებს აკეთებს. იგი ყველაზე ხშირად შემდეგ სიტყვებს ხმარობს: მე კვრძნობ, რომ, ყოველთვის აღვიძვამ, როგორც, და სხვ. ს არც არის გასაკვირი, რადგან ვიზუალს მხედველობითი ორგანო აქვს უფრო განვითარებული. იგი ჟესტიკულაციისას ხშირად ეხება მუცელსა და გულ-მკერდს.

სხეულის ფორმის მიხედვით, აუდიალს შუალედური ადგილი უჭირავს გამხდარ ვიზუალსა და მსუქან კინესთეტიკს შორის; სუნთქავს გულ-მკერდის შუა ნაწილით. აუდიალი ბევრს ლაპარაკობს და ცდილობს, ყველა დეტალი დაწვრილებით განმარტოს. მისი მეტყველება რიტმული და თანაბარია. მაგალითად, აუდიალი საუბარში ხშირად იყენებს შემდეგ სიტყვებს: მომიხმინჯო, როგორც ამბობენ, მე თქვენ გეუბნებით, მე თქვენ გვკითხებით და სხვ. ჟესტიკულაციის დროს ის ხშირად მიუთითებს ყურებზე ან ეხება მათ.

აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ ერთმანეთისაგან კულტურებიც განსხვავდება. მაგალითად, რუსული და ამერიკული კულტურა ვიზუალურ-კინესთეტიკურია, ხოლო ინგლისური – აუდიალურ-ვიზუალური. თითქმის ყველა ძველი კულტურა კინესთეტიკური იყო. სამწუხაროდ, ქართული კულტურისათვის მსგავსი მონაცემები არ არსებობს, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ის უფრო ვიზუალურ-კინესთეტიკურია.

რისთვის გვჭირდება ყოველივე ეს? თანამოსაუბრეს “თავისსავე ენაზე” უნდა ვესაუბროთ. მაგალითად, ვიზუალთან საუბრისას სასურველია გამოვიყენოთ თვალსაჩინოებები (დიაგრამები, სქემები...), აუდიალთან – მუსიკა, ხმის ტონალობა, ტემბრი, ხოლო კინესთეტიკთან - მისივე სიტყვები.

ყველა ადამიანისათვის დამახასიათებელია ურთიერთობის თავისებური სტილი. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ეს თავისებურება განპირობებულია როგორც ინდივიდუალური თავისებურებებითა და ადამიანთა პიროვნული ხასიათით, ასევე ცხოვრების ისტორიით, ხალხთან ურთიერთობით, ურთიერთობის საერთო წესებითა და სხვ.

კომუნიკაციაში ურთიერთობის სტილის მნიშვნელობა ისაა, რომ მისი დახმარებით ვიგებთ სხვადასხვა სიტუაციას, ყალიბდება ურთიერთობა კომუნიკაციის პარტნიორებს შორის, შეირჩევა პრობლემის გადაწყვეტის გზები.

ეფექტიანი კულტურათშორისი კომუნიკაცია მოითხოვს მისი ყველა კომპონენტის გამოყენების ცოდნას. ამ კომპონენტებს შორის მნიშვნელოვანი

ადგილი უჭირავს ვერბალური კომუნიკაციის სტილს. მოცემულ ასპექტში ურთიერთობის სტილი ეს თავისებური მეტაგზავნილია, რომელიც მიუთითებს ინდივიდებს, როგორ გაიგონ და ახსნან ვერბალური ურთიერთობის – კომუნიკაციის კონტექსტი. ის ადამიანის კომუნიკაციური ქცევის ინდივიდუალურ სტაბილურ ფორმას წარმოადგენს, წარმოქმნის ნებისმიერ პირობით ურთიერთობას ნებისმიერ სიტუაციაში. აქ კომუნიკაციის ხელოვნება გამოიხატება არამარტო მისი მეტყველებით, არამედ შესაძლებლობით, მიაგნოს ენის უფრო ზუსტ და კონკრეტულ სტილისტიკურ საშუალებას, რომელიც მხოლოდ მოცემულ შემთხვევაშია ოპტიმალური.

ვერბალური კომუნიკაცია გულისხმობს ყველა ენობრივი ჟანრის ცოდნას: რეპლიკიდან და კომენტარიდან ლექციამდე, მოხსენებამდე, საინფორმაციო შეტყობინებასა და სახალხო გამოსვლამდე.

გ. პოჩეპცოვი ვერბალური კომუნიკაციის ოთხ სტილს გამოყოფს:

1. პირდაპირი და არაპირდაპირი სტილი;
2. ზუსტი და მოკლე სტილი;
3. პიროვნული და სიტუაციური სტილი;
4. ინსტრუმენტული და აფექტური სტილი (Почепцов 2003:319-322).

ურთიერთობის პირდაპირი, მკაცრი სტილი, მკლევართა აზრით, დამახასიათებელია დაბალკონტექსტუალური ამერიკული კულტურისათვის. მასში ძალიან მცირე ადგილი რჩება გამოუთქმელობისთვის. ამერიკელები ცდილობენ გამოიწვიონ მოსაუბრე პირდაპირი საუბრისათვის, რომლის დროსაც იყენებენ გამოთქმებს: გვითხარით, რა გაქვთ მხედველობაში, მოდით, უფრო საფუძვლიანად და სხვ. ამ სტილში გამოიხატება დიდი მზრუნველობა მოსაუბრის შენარჩუნების, საუბრის თემაზე საკუთარი მკაფიო პოზიციის დასაფიქსირებლად. უფრო ხშირად ასეთი სტილი დამახასიათებელია ინდივიდუალური კულტურისათვის.

არაპირდაპირი ვერბალური სტილი ახასიათებს სამეტყველო ცნებებს, რომლებიც ფარავენ ჭეშმარით სურვილებს, მიზნებს, მოსაუბრის მოთხოვნილებებს. ასეთი სტილი დამახასიათებელია მაღალკონტექსტური კულტურებისთვის, როგორებიცაა სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია, იაპონია, კორეა.

ჰარმონიული ურთიერთდამოკიდებულება, კულტურული ფასეულობა იაპონურ საზოგადოებაში მოსაუბრისაგან მოითხოვს გაუგებარი, ორაზროვანი მნიშვნელობის სიტყვებისა და გამოთქმების გამოყენებას, რათა თავიდან

აიცილონ ჯიუტი, თავისთავში დარწმუნებული კაცის შთაბეჭდილება. იაპონელები ირჩევენ ისეთი გამოთქმებს, როგორიცაა: შეიძლება, შესაძლებელია, ალბათ, რაღაც, ვიდაც. ბავშვები ორი წლის ასაკიდან სწავლობენ, დაინდონ სხვა ადამიანების გრძნობები. ისინი ადრეული წლებიდანვე ეუფლებიან ქცევის სიფაქიზეს, ბაძავენ თავიანთი დედების ქცევებს. უარყოფითი დამოკიდებულების გამოსახატავად იაპონელი დედები, ჩვეულებრივ, რიტორიკულ კითხვებს იყენებენ. კორეულები არ იძლევიან “არა”-ს ტიპის უარყოფით პასუხებს: მე არ გეთანხმებით, მე არ შემიძლია ამის გაკეთება, ისინი ხშირად იყენებენ მერყევ პასუხებსაც: პრიციპში... მე თანახმა ვარ და სხვ.

ხელოვნური სტილი ითვალისწინებს ურთიერთობისას მდიდარი, ექსპრესიული ენის გამოყენებას. ამის კარგი მაგალითია არაბული კულტურა. თუ ერთი არაბი პირდაპირ და ზუსტად, მოსალოდნელი დარწმუნებების გარეშე გამოთქვამს, თუ რა აქვს მხედველობაში, მეორე არაბმა შეიძლება იფიქროს, რომ მას სულ სხვა რამ აქვს მხედველობაში. ასე მაგალითად, არაბულ კულტურაში ცოტაა მიპატიუებისას უარი თქვა მხოლოდ ”არა”-თი. არას თან უნდა ახლდეს დარწმუნება, ფიცი, რაც სრულიად ზედმეტია ევროპელის ან ამერიკელის შეხედულებით. ისინი ხომ მიჩვეული არიან გამოყენონ ზუსტი სტილი, რომელიც უპირატესობას ანიჭებს ლაკონიურ, თავშეკავებულ გამოთქმებს. ზუსტი სტილი შეიცავს ინფორმაციის გადაცემისათვის საჭირო აუცილებელ და საკმარის გამოთქმებს (არც მეტი, არც ნაკლები, ზუსტად იმდენი, რამდენიც აუცილებელია).

ინსტრუმენტული სტილი ადამიანს თვითდამკვიდრებასა და მოსაუბრისაგან დამოუკიდებლობის, ავტონომიის შენარჩუნებაში ეხმარება. ეს სტილი წარმოდგენილია ევროპულ კულტურებსა და აშშ-ში. აქ ადამიანები მიისწრაფვიან მოსაუბრეს ურთიერთობისას წარუდგინონ თავი, სურთ ერთმანეთს გაუგონ ვერბალური საშუალებების გამოყენებით. იგი წარმოდგენილია დანიურ, ნიდერლანდებისა შვედურ ინდივიდუალურ კულტურებში.

აფექტური სტილი კი პირიქით, ორიენტირებულია თვით ურთიერთობაზე, თანამოსაუბრის გრძნობებზე და მოთხოვნილებებზე, შეგუებაზე, ჯგუფური პარმონიის მიღწევაზე. მას იქითკენ მივყავართ, რომ აფექტური სტილის დროს ადამიანი იძულებულია გაფრთხილდეს, თავი აარიდოს სარისკო გამოთქმებსა და დასკვნებს. ამისათვის ის იყენებს უზუსტობებს, გვერდს უვლის პირდაპირ მტკიცებებსა და უარყოფას.

კომუნიკაციის სტილები, რომლებიც ჩვენ განვიხილავთ, არსებობს ყველა კულტურაში, მაგრამ თითოეულ მათგანში ისინი თავისებურად ფასდება, ყველა მათგანს საკუთარი მნიშვნელობა ენიჭება. თითოეულ შემთხვევაში კომუნიკაციის სტილი გამოხატავს ფასეულობებსა და ნორმებს, რომლებიც ამა თუ იმ კულტურას უდევს საფუძვლად.

მე-20 საუკუნის ბოლოდან მოყოლებული, სულ უფრო ნათლად იკვეთება არავერბალური კომუნიკაციის სფეროს სპეციალისტების საჭიროება. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, კომუნიკაციის არავერბალური ასპექტების სიღრმისეული და თანმიმდევრული შესწავლა მხოლოდ მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო. რაც შეეხება არავერბალური კომუნიკაციის კვლევის ტექნიკურ მხარეს, პირველი ყველაზე სერიოზული ნამუშევარი ამ სფეროში – “ემოციების გამოვლინება ცხოველებსა და ადამიანებში” – ჩარლზ დარვინს ეკუთვნის. 1872 წელს გამოქვეყნებულმა ამ ნამუშევარმა მრავალ თანამედროვე კვლევას მისცა დასაბამი, ხოლო დარვინის იდეები და დაკვირვებები მსოფლიოს წამყვანმა მეცნიერებმა აღიარეს. მას შემდგებ მეცნიერებმა ათასზე მეტი არავერბალური ნიშანი და სიგნალი აღმოაჩინეს.

არავერბალურ კომუნიკაციაზე საუბრისას შეუძლებელია არ ვახსენოთ მე-19 და მე-20 საუკუნეების მიჯნაზე წარმოშობილი ფენომენი – მუნჯი კინო. მუნჯი კინოს მსახიობები მშვენივრად ფლობდნენ სხეულის ენის საფუძვლებს, რადგან მათთვის ის ეკრანზელი სახეების გაცოცხლების ერთადერთი საშუალება იყო. იმ დროში საუკეთესო მსახიობებად ითვლებოდნენ ისინი, ვისაც მდიდარი მიმიკა და გამომხატველი სხეულის ენა ჰქონდა, ამიტომ მსახიობები საკმაო დროს უთმობდნენ პანტომიმისა და ბალეტის შესწავლას. როდესაც მუნჯი კინო ხმოვანმა შეცვალა და სამსახიობო ხელოვნების არავერბალურ ასპექტებს უკვე ნაკლები ყურადღება დაეთმო, ძველი მსახიობების ნაცვლად, ეკრანი კარგი ვერბალური შესაძლებლობების მქონე მსახიობებმა დაიპყრეს.

ალბერტ მეპრაბიანი, ლოსანჯელესის უნივერსიტეტის პროფესორი, ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც კომუნიკაციის არავერბალურ ასპექტებსა და მათ მნიშვნელობაზე დაიწყო საუბარი. 1972 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში “Nonverbal communication” მკვლევარი მეპრაბიანი ამტკიცებდა, რომ კომუნიკაციაში სამი ძირითადი კომპონენტის გამოყოფა შეიძლება, ესენია: სიტყვები, ინტონაცია და სხეულის ენა (ვერბალური, ვოკალური, და

ვიზუალური). მეპრაბიანის აზრით, კომუნიკაციის პროცესში მოსაუბრის მიმართ ჩვენი მოწონების ჩამოყალიბებაში ამ სამ კომპონენტს სხვადასხვა წვლილი მიუძღვის: სიტყვებს – 7%, ინტონაციას – 38%, და სხეულის ენას – 55%. მეპრაბიანი ამბობს, რომ ეფექტიანი კომუნიკაციისთვის საჭიროა ეს კომპონენტები ერთმანეთის “კონგრუენტული” იყოს, ანუ ერთმანეთს ეთანხმებოდეს. თუ ეს ასე არ ხდება, ადამიანი ლიზიანდება, რადგან ორი სხვადასხვა არხის მეშვეობით ორ სხვადასხვაგვარ ინფორმაციას იღებს. მაგალითად, თუკი ადამიანი მეორეს ეუბნება: შენთან არავითარი პრობლემა არ მაქს, კველავერი რიგ ზეა, შენი მეგობარი ვარ და, ამავდროულად, ეტყობა, რომ აღელვებულია, მოსაუბრებ თვალს არიდებს, ზოგადად, ნეგატიურ ეჯეტებს იუბნებს, - ცხადია, რომ შეტყობინების ვერბალური და არავერბალური ნაწილები ერთმანეთს არ შეესატყვისება, ანუ კონგრუენტობის პრინციპი დარღვეულია. ამ შემთხვევაში, მოსაუბრე დაეყრდნობა კომუნიკაციის დომინატურ ნაწილს, ანუ არავერბალურ კომპონენტებს (38%+55%) და არ მიენდობა სიტყვებით გადმოცემულ შინაარსს. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მეპრაბიანი იკვლევდა ემოციებისა და დამოკიდებულებების კომუნიკაციას (მოწონება – არმოწონებას). მეცნიერის მტკიცებით, ფორმულა “მთლიანი მოწონება = 7%, ვერბალური მოწონება + 38%, ვოკალური მოწონება/ ვიზუალური მოწონება + 55%, სამართლიანია მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანები საკუთარ გრძნონებსა და ურთიერთდამოკიდებულებებზე საუბრობენ. ყველა სხვა შემთხვევაში ეს წესი არ მართლდება. მოკლედ რომ ვთქვათ, ის, თუ რას და როგორ გამოხატავს ადამიანი საუბრისას, შესაძლოა, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს, ვიდრე მისი სიტყვები. ღიმილით ითქვა რადაც თუ მთქნარებით, ხმამაღლა და წყრომით, თუ ჩუმად და მოფერებით – ნებისმიერი შინაარსი შესაბამის კონტექსტში აღიქმება. (Mehrabian 1972:223)

ჩვენ ვურთიერთობთ სიტყვების, ხმის ტონის, სხეულის, პოზის, ჟესტების და სახის გამომუტყველების საშუალებით. ჩვენ არ შეგვიძლია ურთიერთობა დაგამყაროთ მაშინაც კი, როდესაც ჩუმად ვართ და დუმილს ვინარჩუნებთ, რადაც ინფორმაციას გაცემთ. ალბათ, სწორედ ამან შეაქმნევინა ცნობილ სერბ მწერალს, მილორად პავიჩს, ბრწყინვალე მეტაფორა – “ის დუმდა სხვა ენაზე”. ფსიქოლოგებმა გამოთვალეს, რომ ინფორმაციის თითქმის 3/6-ს მოსაუბრის სხეულის (პოზა, მოძრაობა, მიმიკა) ვიდებთ, 2/6-ს ხმის (ტონი, რითმი, ტემბო)

და მხოლოდ 1/6-ს – სიტყვებით. რა თქმა უნდა, განსხვავებულ კონტექსტი ეს თანაფარდობა იცვლება, მაგრამ ზოგადი ტენდენცია იგივე რჩება.

კომუნიკაცია ერთი ადამიანის მიერ მეორისათვის შეტყობინების გადაცემაა. ეს შეტყობინება მოიცავს გაცილებით მეტს, ვიდრე ჩვენ მიერ ნათქვამი სიტყვები. ამ სიტყვებს აზრს ჩვენი სხეულის ენა და ხმის ტონი ანიჭებს. სიტყვებით ინფორმაციის შინაარსს გადმოვცემთ, ხოლო სხეულით, მოძრაობით, ინტონაციით – ამ შინაარსის მიმართ ჩვენს დამოკიდებულებებსა და შეფასებას. უმეტეს შემთხვევაში, სიტყვები ერთმნიშვნელოვნად გამოხატავს აზრს და მათ თითქმის ყველა ერთნაირად იგებს. ხოლო რა მნიშვნელობას ანიჭებს კონკრეტული ადამიანი ამა თუ მოძრაობას, უესტს ან ინტონაციას – არცთუ ისე ცხადი და ნათელია. ადამიანის სხეული და გონება ერთი მთლიანობაა. ჩვენი ემოციები, ფიქრები ჩვენს სხეულზე აისახება და, პირიქით, სხეულის გარკვეული ფიზიკური მდგომარეობა, სხეულის პოზა გავლენას ახდენს ჩვენს სულიერ მდგომარეობაზე.

კარგი კომუნიკაციის უნარი ჩვენი წარმატების მთავარი გარანტიაა. თუ წარმატებული ურთიერთობის სტრატეგიებს ავითვისებთ, ჩვენ შევძლებთ:

- მივაღწიოთ ურთიერთგაგებას კოლეგებთან, ეფექტურად მოვემსახუროთ კლიენტებს, მივაღწიოთ სასურველ შედეგს მოლაპარაკების პროცესში;
- ადგილად დაგარწმუნოთ სხვები ჩვენი აზრის სისტორეში; გამოხატულებათა უმნიშვნელო ცვლილებების აღქმას მოვახერხებთ, ამით შევძლებთ, მის შინაგან მდგომარეობას ჩაგრეთ.

ადამიანების უმეტესობას ნაკლები ინფორმაცია აქვს არავერბალური კომუნიკაციის შესახებ, თუმცა მას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ურთიერთობის პროცესში. არავერბალურ კომუნიკაციას ასევე “სხეულის ენას” უწოდებენ; ის მოიცავს ჟესტებს, სხეულის მოძრაობას, სახის გამომეტყველებას, პიროვნულ სივრცეს, ჩატმულობას.

არავერბალური მანიშნებლების ზუსტი ინტერეტაცია და გაგება გვეხმარება კომუნიკაციის დამყარებასა და ადამიანების უკეთ გაგებაში, თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ ზოგ არავერბალურ ნიშანს შეიძლება განსხვავებული, ან რამდენიმე ინტერეტაცია ჰქონდეს, რაც მათ ზუსტ გაგებას ართულებს. სხეულის ენით გადაიცემა გრძნობები, დამოკიდებულებები, მაშინ როცა ვერბალური კომუნიკაციით გადაიცემა სიტყვები და მოსაზრებები. ხშირად ემოციებისა და განწყობის გაგება უფრო მნიშვნელოვანია ადამიანისათვის,

ვიდრე სიტყვებისა და მოსაზრებების; ნათქვამის არსი მარტო ის კი არ არის, რას ვამბობთ, არამედ როგორ ვამბობთ; სხვების რეაქცია ჩვენდამი ხშირად არავერბალურ ნიშნებზე პასუხია და არა ვერბალურზე.

არავერბალურ მანიშნებლებს უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ინტერპერსონალურ კომუნიკაციაში; დადგენილია, რომ ადამიანთა ურთიერთობისას კომუნიკაციის 90% გამოსახვის არავერბალური საშუალებებით (ხმით, გამომეტყველებითა და სხეულის მოძრაობით) ხდება და საშუალოდ მხოლოდ 10% (7-11%) გადაიცემა ვერბალურის დახმარებით (Adelman, Levine 1993: 45).

არსებობს რამდენიმე პრინციპი, რაც კარგად გამოხატავს არავერბალური კომუნიკაციის არსს:

- არავერბალური ინფორმაცია ყოველთვის გადაიცემა, მოსაუბრის სურვილის მიუხედავად, მაშინაც კი, როდესაც ვერბალური კომუნიკაცია წყდება, ანუ, წყარო წყვეტს ინფორმაციის მიწოდებას; სხეულის პოზა, ჩაცმულობა, სახის გამომეტყველება, არასრული ჩამონათვალია იმ არავერბალური ნიშნებისა, რომელთა დახმარებით მუდმივად ვიღებთ ინფორმაციას მოსაუბრის დამოკიდებულებების, განწყობის, ემოციის შესახებ;
- არავერბალური კომუნიკაციით საუკეთესოდ გამოიხატება ემოციები, დამოკიდებულება, მიმართულება, რაც ხშირად ძნელად გამოითქმის სიტყვებით;
- არავერბალური კომუნიკაცია უფრო სანდოდ და გულწრფელად არის მიჩნეული, ვიდრე ვერბალური, რადგან არავერბალური ნიშნების გაკონტროლება უფრო ძნელია, ვიდრე სიტყვების; თუ მათ შორის შეუსაბამობაა, ადამიანები უფრო მეტად არავერბალურ ინფორმაციას ენდობიან; ალბათ ძნელი იქნება მსმენელისათვის იმის დაჯერება, რომ საუბრის თემა ძალიან საინტერესოა, თუ თავად პრეზენტატორს პრეზენტაციის ჩატარებისას ეძინება.
- არავერბალური კომუნიკაცია უფრო ადრეულია, ვიდრე ვერბალური; ადამიანები მეტყველების დაწყებამდე ურთიერთობისათვის არავერბალურ კომუნიკაციას იყენებდნენ; ასევე ბავშვები, განვითარების პროცესში ჯეს არავერბალურ კომუნიკაციას სწავლობენ შემდეგ კი – ვერბალურს.

- ადამიანებთან კომუნიკაციისას საჭიროა ვიცნობდეთ სხეულის ენას, რათა: წავიკითხოთ ჩვენი მოსაუბრის არავერბალური კომუნიკაცია, ანუ გვესმოდეს სხეულის ენა (ჟესტები, მიმიკა, სივრცის ათვისება, მეტყველების შემადგენელი მახასიათებლები – ხმის ტემპი, სიმაღლე, სისწრაფე და სხვა) და ამით გავიგოთ მოსაუბრის მდგომარეობა.
- დავაკვირდეთ საკუთარი არაცნობიერის ასეთივე გამოვლინებას და ორგანიზება გავუკეთოთ მათ, ცნობიერად ვმართოთ.
- სხეულის ენის კონტროლი ძალიან მნიშვნელოვანია პრეზენტაციის ჩატარების დროს.

ადამიანის არავერბალური ქცევა მისი ფსიქიკური მდგომარეობითაა განპირობებული. სწორედ ამით აისწება პიროვნების შინაგანი სამყარო, მისი ინდივიდუალური და სოციალური თვისებები. შეცვლილი ვითარებიდან გამომდინარე ადამიანი ახალ ვერბალურ ქცევას გაცილებით ადვილად და სწრაფად ითვისებს (ანუ სხვაგვარად მეტყველებს). ვერბალურისგან განსხვავებით არავერბალური კომუნიკაცია (სხეულის ენა) კი ნაკლებად პლასტიკური და მოქნილია. ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვნოს, თითქოს არავერბალური საშუალებები ნაკლებად მნიშვნელოვანია, მაგრამ რეალურად ეს ასე არ არის. თუ ინფორმაციის ამ ორ წყაროს – ვერბალურ და არავერბალურ საშუალებებს შორის წინააღმდეგობა წარმოიშობა, ე.ო ადამიანი ერთს ამბობს, მის სახეზე კი მეორე იკითხება, მაშინ მეტ ნდობას არავერბალური ინფორმაცია იმსახურებს.

არავერბალური და ვერბალური კომუნიკაციის ელემენტები შეიძლება ავსებდნენ, ან ცვლიდნენ ერთმანეთს. ამ ურთიერთობათა რამდენიმე ვარიანტი არსებობს (Почепцов 1998:319). კომუნიკაციის ვერბალურ და არავერბალურ ასპექტთა შემდეგ შესაბამისობებს ვხვდებით:

I. არავერბალური კომუნიკაცია შეიძლება ავსებდეს ვერბალურ კომუნიკაციას. მაგალითად, თუ ჩვენ ვიღიმებით და ვამბობთ სალამი, როგორაა საქმეები? მაშინ ეს ორი მოქმედება, ღიმილი და მისალმება ერთმანეთს ავსებს. დამატება გულისხმობს, რომ არავერბალური ელემენტები უფრო მხატვრულს ხდის მეტყველებას, აზუსტებენ და განმარტავენ მათ. მაგალითისთვის: მისის სილსბერნი გაკირვებით მომაშტერდა და მკითხა – ისიც მონაწილეობდა ოქენეს გადაცემაში? (სელინჯერი 2011:162). ანუ სიტყვები გაძვირვებით მომაშტერდა ავსებს ვერბალურ შეტყობინებას და ამავდროულად აძლიერებს მას.

საანალიზოდ მოვიყვანოთ ქართული მაგალითიც, ლეგანი და ბონდო რადიოკომიტეტის შენობაში შევიდნენ, ლეგანმა ბონდოს სთხოვა რომ ერთ ჩანაწერში სიტყვა დაკარგა და მას აღედგინა.

– ვისი ჩანაწერია, ბატონო ლეგან? პკითხა ბონდომ ლიფტში, ლეგანმა დამხაშავებავით დახარა თავი.

– უჩა არგვეთელის!

– რაო?! რა ბატონო ლეგან, არა... არ გეწყინოთ და... მაგდებ თავხედობას კერ ჩავიდენ, – ხელები გაასავსავა ახალგაზრდა მხახიობმა (ყიფიანი 2010:277). კინესიკური პარალინგვიზმი „ხელების გასავსავება“, რაც პირდაპირ და ნათლად მიუთითებს უარის თქმაზე, ავსებს ვერბალურ შეტყობინებას.

მოვიყვანოთ კიდევ ერთი ქართული მაგალითი: თაზომ ჯიბები ხურდა გაიჩხრიალა და იქვე გახტრონომში შევიდა, ჩვენც შევყვით, ორ-ორი „პრიმა“ ვიყიდეთ კოველი შემთხვევისთვის.

– ჩვენ, ჩვენც გვიყიდე რამე?

– რა გინდა მელიტა? – გკითხე მე.

– მოკოლადი ან...

– შენც ნია?...

ნიამ თავი დამიქნია... ახლავე

გახტრონომში ტკბილულობის დახლი ცალკე იყო გამოყოფილი, მაგრამ ნოქარი არსად ჩანდა.

– რომელი გინდა?

–აი, ის –თაროსკენ მიუთითა ხელით მელიტაძ.

თავის დაქნევით გამოიხატება თანხმობა, ხოლო ვერბალურ შეტყობინებას „აი ის“ ავსებს არავერბალური მახასიათებელი ხელით მითითება (ყიფიანი 2010:231).

ღიმილი მეგობართან შეხვედრისას ენობრივ შეტყობინებას ავსებს. მეტყველება უფრო გასაგებია, თუკი მას თან ახლავს ჟესტები. მაგალითად, თუ უურადღების მიქცევა გვინდა რაიმე ინფორმაციის გადასაცემად, შეგვიძლია მაღლა ავსწიოთ საჩვენებელი თითო.

II. არავერბალური ქცევები შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ვერბალურ შეტყობინებებს. თუ თვალებში არ უცქერით მოსაუბრეს და უუბნებით, რომ სასიამოვნოა მათთან საუბარი, მაშინ ასეთი არავერბალური მოქმედება ეწინააღმდეგება თქვენს პოზიტიურ ვერბალურ შეტყობინებას. უარყოფა,

უგულებელყოფა გულისხმობს, რომ არავერბალური ინფორმაცია ეწინააღმდეგება ადამიანის სიტყვებს. თუ ამბობთ, რომ გიხარიათ ვინმეს ნახვა და თან იჭმუხნებით, ლაპარაკობთ ცივად და მშრალად, თქვენი მოსაუბრე ალბათ დაეჭვდება თქვენს გულწრფელობაში. თუ მაგალითად, ბანქოს თამაშის დროს მოთამაშე ეწევა სიგარეტს და თან ამ დროს მას მოუვა კარგი ბანქო, ის სიგარეტის კვამლს ზემოთ უშვებს, ცუდი ბანქოს მოსვლის შემთხვევაში კი პირიქით, კვამლს დაბლა უშვებს. ბევრმა კარგმა მოთამაშემ თამაშთან ერთად იხწავლა ის ფანდები, როთაც შეუძლია თავის “დაცვა”. მათ შეუძლიათ კონტროლი გაუწიონ სხეულს, რომელსაც შეუძლია მათი გაცემა. ზოგი მხახიობურ ნიჭხაც კი იჩენს. იხინი “ცრუ” მოძრაობებს სხადიან, სხეულის დაძაბული მოძრაობებით ცდილობენ დაარწმუნონ სხვა მოთამაშეები იმაში, რომ თითქოს ცუდი ბანქო მოუვიდათ, რომ თამაშს აგებს. აგრეთვე თუკი მოთამაშეს მოუვიდა ოთხი ტუხი, მაგრამ უნდა მოატყუოს სხვა მოთამაშეები, ასეთ შემთხვევაში იგი ტუხს მოიკვებებს ან კარტს ძლიერ დაანარცხებს მაგიდაზე, გადაწვება და თავს გაიქნევს, მაგრამ ამის შემდეგ მოთამაშეს შეუძლია მოხსენოს სიგარეტი და კვამლი მაღლა (ჭერში) გაუშვას. დაკვირვებებმა ცხადყო, რომ კარგი ბანქოს მოსვლისასას- სიგარეტის კვამლს ზევით უშვებენ, ცუდი კარტის მოსვლის შემთხვევაში კი ქვევით (Пиз 2006:89) ამ მაგალითიდან შეიძლება გავიგოთ, რომ არის სიტუაციები, როდესაც ვერბალური და არავერბალური ქმედებები ერთმანეთს არ ეთანხმება.

განვიხილოთ ნაწყვეტი სტივენ კინგის მოთხრობიდან „კორპორაცია ნუ მოსწევთ“,

- ისევ „კრუბერი და ბაერტონის“ ფირმაში მუშაობ?
- მე იქ ახლა პირველი ვიცე-პრეზიდენტი ვარ.
- აი, ეს მესმის! გილოცავ! როდის დაგნიშხებ?

მორისონმა სცადა თავი დაერწმუნებინა, რომ გულძმარვა შურისგან კი არ ჰქონდა, არამედ მომატებული მუვიანობისგან. მან ადები ამოიღო, ერთი ცალი პირში ჩაიღო და დაღვჭა (კინგი 2011:48-49).

მოვიყვანოთ მაგალითი კიფიანის მოთხრობა „მწვანე ფარდიდან“, მოქმედება ვითარდება სტუდიაში, მამა შვილი ლევანი და გიზო ეძებენ ფირის ნაგლეჯს, სადაც ცნობილი მსახიობის - უჩა ართველიძის ხმაა ჩაწერილი, დიდი ხნის ძებნის შედეგად ფირს მაინც ვერ პოულობენ.

– მამა, თქვა გიზომ – იქნებ თვითონ არც უთქვამს ის ხიტყვა? ანდა, იქნებ მიკროფონი ჩართე გვიან და...

– ყველაფერი რიგ ზე იყო, – ხელი ჩაიქნია ლეგანმა (ყიფიანი 2010:260-261).

თითქოს ლევანს თავისი პასუხის გაცემით - „ყველაფერი რიგ ზე იყო“ არ უნდოდა შვილისთვის მდელგარება ეჩვენებინა, მაგრამ ხელის ჩაქნევით, რომელიც გაუცნობიერებლად გააკეთა, აჩვენა, რომ ის ლელავდა, რომ უკვე აზრი აღარაფერს ჰქონდა.

აუღელვებლად მელაპარაკებოდა, ცრემლები კი ცვილდა თავისთავად (ყიფიანი 2010:191). ამ კონკრეტულ შემთხვევაში ვერბალურ შეტყობინებას ეწინააღმდეგება არავერბალური ქმედება.

არავერბალური ჩვევების შეუცნობელი, გაუაზრებელი გამოყენებით, რომელიც ცუდადაა მართული აზროვნების მიერ, შეიძლება სრულიად უარვყოთ ნათქვამი. თუკი ადამიანს საკუთარი არავერბალური ქმედებების გაკონტროლება შეეძლება, მაშინ იგი ქვეცნობიერის მართვასაც შეძლებს.

III. არავერბალური ქცევები შეიძლება ცვლიდეს გერბალურ შეტყობინებებს: ბავშვმა შეიძლება მიგვითითოს სათამაშოზე ნაცვლად იმისა, რომ თქვას: *ეს სათამაშო მინდა*. ეს ნიშნავს, რომ არავერბალურმა ქცევამ შეიძლება ჩაანაცვლოს ვერბალური ქცევა. თქვენ შეგიძლიათ ხმაურიან აუდიტორიაში ჟესტით აჩვენოთ ახლობელს, რომ გინდათ გამოვიდეს და დაგელაპარაკოს. მაღაზიაში შეიძლება მიუთითოთ გამყიდველს იმ საგანზე, რომელიც გაინტერესებს. ავიდოთ ნაწყვეტი ჯ. ლონდონის მოთხოვნის მოთხოვნის „ალისფერი ჭირი“:

მამა მუკინებოდა, რომ შენი ცოლი სახტა-როსახ ტომიდან იყო და არავითარი დიდგვაროვანი. ეს მამამისმა უამბო, სანამ მოკვდებოდა. ის ამბობდა, რომ წითელ ჭირამდე იგი მიმტანი იყო სასადილოში, თუმცა მე არ ვიცი, ეს რა არის. შენ იცი, ედვინ?

ედვინმა უარყოფის ნიშნად თავი გააქნია“ (ლონდონი 2011:41). თავის გაქნევის ჟესტი უარყოფის მაჩვენებელია, ამ კონკრეტულ მაგალითში არავერბალური ნიშნით მკაფიოდ გამოიხატება უარყოფა და შესაბამისად მოცემულ სიტუაციაში სრულიად ზედმეტია ვერბალურად აზრის გამოხატვა.

IV. არავერბალური ქცევები ვერბალური კომუნიკაციის მარეგულირებელი ელემენტი შეიძლება იყოს: საუბრისას ხშირად გამოიყენება ჟესტები, პოზის ცვლილება, შეხება. მაგალითად, თავის დაქნევის გამოხატვის, ინტონაციის

მიხედვით შეიძლება მიგხვდეთ, რომ მოვიდა ჩვენი საუბრის რიგი (მაგ: ყვალა თანამოსაუბრებ შემოგვხედა). რეგულირება წარმოადგენს ადამიანთა შორის ურთიერთქმედების კოორდინაციას. საუბრის თემის მხარდასაჭერად ხშირად გამოიყენებენ სიტყვების შემცვლელ ნიშნებს: ჟესტებს, პოზის შეცვლას, რაღაცაზე ან ვიდაცაზე შეხება და სხვა. მაგალითად, თავის დაქნევით, შეხედვით, ინტონაციით და სხეულის გადახრით ჩვენ შეიძლება მიგხვდეთ, რომ დადგა ჩვენი საუბარში ჩართვის დრო.

მაგალითისთვის – და მოდი ამ უცნაური სიტყვების გარეშე, - განავრდო კურდღლისტურაშ. – გარკვეული ილაპარაკე პაპა, როგორ კველა სანტა-როსა ლაპარაკობს.

მოხუცეს აშკარად ეხიამოვნა ეს თხოვნა. მას ჩაახველა და დაიწყო... (ლონდონი 2011:58).

მოვიყვანოთ კიდევ ერთი მაგალითი ხასალარმა ნელა დაახველა, ამით უნდოდა შეეხსენებინა ფიქრით მოცულ გიორგისათვის: რად მიხმეო წედან? (გამსახურდია 1979:136).

არავერბალური ქმედება შესაძლებელია იმეორებდეს ვერბალურ შეტყობინებას: თხოვნა, ხმადაბლა ისაუბრონ, და საჩვენებელი თითის ტუჩებთან მიტანა.

ადამიანები არავერბალურ ურთიერთობებს მიმართავენ იმისათვის, რომ ზუსტად და გასაგებად გადმოსცენ თავიანთი აზრები, გრძნობები, ემოციები. ეს საერთოა ყველა კულტურისათვის, თუმცა სხვადასხვა კულტურისათვის სხვადასხვა მნიშვნელობაა დამახასიათებელი. ამგვარად, სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა ურთიერთობისათვის აუცილებელია ურთიერთობათა იმ არავერბალური ფორმების ცოდნა და გაგება, რომელიც დამახასიათებელია მოცემული კულტურისათვის.

ეჭვს არ იწვევს ისიც, რომ სიტყვების დახმარებით სხვადასხვა ინფორმაციას ვდებულობთ, მათ შორის ისეთსაც, რომელიც მოსაუბრის კულტურაზე მიგვითითებს. ამავე დროს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს ეს ადამიანი, ჩვენ ვგებულობთ მიმიკით, ჟესტებით, ინტონაციით.

მიმიკის, ჟესტების, პოზების საშუალებით ადამიანის სულიერი ენერგია გამოიხატება, მოძრაობანი, სიმპტომები (გაფითრება ან სახეზე გაწითლება) იმან ვისაც უნდა კარგად შეისწავლოს თავისი პარტნიორის ხასიათი, კარგად უნდა

ოცოდეს მისი გრძნობების გამოხატვის სხვადასხვა საშუალება, შეძლოს მათი ადეკვატური შეფასება.

ურთიერთობის სხვადასხვა ხერხის ბუნება და ფორმები საშუალებას გვაძლევს ვისაუბროთ ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციების არსებით განსხვავებაზე. არავერბალური ურთიერთობანი ყოველთვის სოციალურია, მათი საშუალებით შეიძლება გავიგოთ კომუნიკაციის მონაწილეთა ახლანდელი მდგომარეობა, მაგრამ ვერ შევძლებთ გავიგოთ სხვაგან მომხდარი მოვლენების შესახებ.

არავერბალური ცნობები სინთეზურია. მნელია მათი დიფერენცირება. კომუნიკაციის ვერბალური ელემენტები (სიტყვა, წინადაღება, ფრაზა) ერთმანეთისაგან მკაფიოდაა გამიჯნული.

განსხვავებულია ვერბალური ცნებები. თუკი ადამიანებს სურთ დამალონ თავიანთი განზრახვები, მათ შეუძლიათ კონტროლი გაუწიონ საკუთარ მეტყველებას, მაგრამ არავერბალური ქცევები პრაქტიკულად კონტროლს არ ექვემდებარება, ამიტომ ხშირად კომუნიკაციის პრაქტიკაში ხშირია შეცდომები, რომლებიც გამოწვეულია მხოლოდ არავერბალური მოქმედებებით. მაგალითად, ერთ-ერთმა პარტნიორმა საუბრისას ცხვირი მოიქანა, ეს რომ შეამჩნია მეორე პარტნიორმა, დაასკვნა, რომ მოსაუბრე ტყუის, თუმცა პირველს მართლაც ექავებოდა ცხვირი.

მეცნიერი ალბერტ მეპრაბიანი მიიჩნევს, რომ არავერბალურ ენას ადამიანები, როგორც წესი, ადვილად ითვისებენ ბუნებრივ პირობებში დაკვირვებების, კოპირების მიბაძვის საშუალებით. ბავშვებს კი საუბარს სპეციალურად ასწავლიან. ამას ყურადღებას აქცვეს ოჯახი და სოციალური ინსტიტუტები (Пиз 2006: 45). მაგალითად, როცა ჩვენ ვამჩნევთ ადამიანის, ჩვენი მოსაუბრის არაგულწრფელობას, ძირითადად ვეყრდნობით ჩვენსავე ინტუიციას, გსაუბრობთ მექქსე გრძნობაზე. სინამდვილეში მოსაუბრის გამოცნობაში ჩვენ გვეხმარება ყურადღება, ხშირად შეუცნობლად მცირე არავერბალური ნიშნებით ვამჩნევთ, ვკითხულობთ, სიტყვათა შეუსაბამობას ვხვდებით.

ამრიგად, არავერბალური კომუნიკაცია მრავალგანზომილებიანი, მრავალფეროვანი, ვერბალურის პარალელური პროცესია, რომელიც ძირითადად ქვეცნობიერად მიმდინარეობს.

არავერბალური კომუნიკაციის ზოგიერთ ნორმებს ზოგადი ეროვნული ან ეთნიკური ბუნება აქვთ: უგროპაში მისალმებისას ხელს ართმევენ, ხოლო

ინდოეთში მისალმებისას ორივე ხელს მკერდთან მიიტანენ და ოდნავ იხრებიან. სხვა ვიწრო პროფესიულ სფეროში მიღებულია სიგნალები, რომლითაც ურთიერთობენ წყალმაშველები და მყვინთავები.

არავერბალური კომუნიკაციის ორმაგი ბუნება უნივერსალურია, ყველა ნიშანი გასაგები სპეციფიკური სიგნალების არსებობით აიხსნება, რომელიც მხოლოდ ერთი კულტურისთვისაა გასაგები.

არავერბალური კომუნიკაციის განზრახული ნიშნების საფუძველზე არავერბალური კომუნიკაციის მკვლევარი, ალან პიზი გამოყოფს ვერბალური საშუალებების სამ ტიპს:

1. ფიზიოლოგიურ რეაქციაზე დაფუძნებული ქცევითი ნიშნები: გაფითრება ან გაწითლება; მდელვარების გამო ოფლის გამოყოფა, სიცივის ან შიშისაგან კანკალი და სხვა.

მაგალითად უცნობმა ერთი ნაბიჯი გადმოდგა, ქუდი მოიხადა, რათა სახე გამოეჩინა და პერსონაზე:

– ვერ მცნობთ?

დონ ჯუანმა იგი დიდი უურადღებით აათვალიერა, მაგრამ ვერ იცნო.

– გახსოვთ თუ არა ბერგ რაზომის აღყა? – პერსონაზე. – ნუთუ დაგავიწყდათ ჯარისკაცი, რომელსაც მოდებოს ეძახდნენ?

დონ ჯუანი ურულიამ აიტანა (მერიმე 2011:81-82).

მოვიყვანოთ კიდევ ერთი ნაწყვეტი იმავე მოთხოვნიდან შემაჭირვებული პასუხის თავიდან ასაცილებლად დონ ჯუანმა საბრალო ქალს ურცხვი წერილი გადახცა. მან საჩქაროდ გადაავლო თვალი, მაგრამ პირველად ვერაფერი გაიგო, ხელახლა გადაიკითხა და თვალებს არ დაუჯერა. დონ ჯუანი უურადღებით უცქეროდა. ხედავდა, როგორ იწმენდდა ქალი თვალს შებლზე, როგორ იჯ შვნებდა თვალებს: ტუჩები უთროოდა, სახე გაფითრებული პერსონა მიცვალებულივით (მერიმე 2011:50).

„ურულიამ აიტანა, თვალის მოწმენდა, თვალების ფშვნეტა, ტუჩების თრთოლა, სახის გაფითრება“ ყველა ეს მოქმედება ქცევითი ფიზიოლოგიური ნიშნებია, რომელთა კონტროლი შეუძლებელია.

2. წინასწარ განუზრახველი ნიშნები, რომელთა გამოყენება ადამიანის ჩვევებთან (მათ თვითადაპტორებს ეძახიან) ცხვირის მოქმედება, ფეხის უმიზეზოდ ქანება, ტუჩის მოკვნეტა და სხვა.

3. განსაკუთრებული კომუნიკაციური ნიშნები: სიგნალები, რომლებიც გვაწვდიან ინფორმაციას ობიექტის შესახებ, ასევე მოვლენები ან მდგომარეობები (Гойхман 2005:191).

ამრიგად, კომუნიკაციაში არავერბალური საშუალებები სპონტანურად გამოიყენება. ეს გამოწვეულია როგორც ცენტრალური ნერვული სისტემის როგორც დაბალი, ასევე უმაღლესი მაჩვენებლებით, რომლებიც პასუხს აგებენ კომუნიკაციაზე. რა თქმა უნდა, რადაც ხარისხში არავერბალური ელემენტები კონტროლს ექვემდებარება, მაგრამ მხოლოდ ძალიან ძლიერი თვითკონტროლის შემთხვევაშიც კი შეიძლება მოხდეს ინფორმაციის “გაჟონვა”.

თავი II

არავერბალური კომუნიკაციის პულტურათშორისი ასპექტები

სიტყვიერი ურთიერთობა საუბრის 35%-ს მოიცავს, ხოლო ინფორმაციის 65%-ის გადაცემა არავერბალური საშუალებების დახმარებით ხდება. ალბერტ მეიფრაბიანმა (Пиз 2006:9) დაადგინა, რომ ვერბალური საშუალებებით გადაიცემა ინფორმაციის 7%, ბერითი საშუალებებით – (ხმის ტონისა და ბერითი ინტონაციის ჩათვლით) 38%, არავერბალურით 55%. პროფესორმა ბერდვილსმა (Пиз 2006:10) ჩაატარა ანალოგიური სამუშაო ადამიანთა ურთიერთობებში არავერბალური საშუალებების ხვედრითი წილის შესახებ. მან დაადგინა, რომ ადამიანი დღის განმავლობაში სიტყვებით 10-11 წუთს ლაპარაკობს, რომ თითოეული წინადადება 2,5 წამზე დიდხანს არ ჟღერს. როგორც მეიფრაბიანმა, მანაც აღმოაჩინა, რომ სიტყვიერი ურთიერთობა საუბრის 35%-ს მოიცავს, ხოლო ინფორმაციის 65% გადაიცემა არავერბალური საშუალებებით. მკვლევართა უმრავლესობა იზიარებს აზრს, რომ ვერბალური არხი გამოიყენება ინფორმაციის გადაცემისათვის, მაშინ როცა არავერბალური არხი პიროვნებათა ურთიერთობის „განხილვისას“ გამოიყენება, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში სიტყვიერი შეტყობინების ნაცვლად იხმარება (Ekman, Friesen 1969:4). მაგ: ქალს შეუძლია ქმარს „მომაკვდინებელი“ მზერა ესროლოს, და ამით იგი შესანიშნავად გამოხატავს თავის დამოკიდებულებას და ამისთვის მას სიტყვის თქმაც არ სჭირდება.

არავერბალური კომუნიკაცია უფრო სანდოდ და გულწრფელად არის მიჩნეული, ვიდრე ვერბალური, რადგან არავერბალური ნიშნების გაკონტროლება უფრო ძნელია, ვიდრე სიტყვების; თუ მათ შორის შეუსაბამობაა, მაშინ ადამიანები უფრო მეტად არავერბალურ ინფორმაციას ენდობიან. ამის დასტურად მოვიყვანოთ ნაწყვეტი „დიდოსტატის მარჯვენიდან“:

მეფე დინჯად იჯდა მშველის ბეჭვის უნაგირზე და შესცექროდა მამამზის ირმისისფერ თვალებს. მის მუდარაში იმდენი სიწრფელე და მამაშვილური რუდუნება ისმოდა, გაოცდა გიორგი.

ძველი მამამზე მოაგონდა, შირიმნის ფანასკერტის და ნიალის ომებში თანამებრძოლი. ბაგრატ კურაპალატის უერთგულები ყმა და მიხივვ სიყრმის ძეგობარი.

ეხლა კი ეჭვი შეეპარა გიორგის ეგებ ხტეულდები, მამამზე უბრალო იყოსთ კოლონკელიძისა და ჭიაბერის მიერ ატეხილ ამბოხში.

ცხენიდან არ ჩამოვიდა და გადაწყვიტა იმ წუთშივე დაემარტოხელებინა მამამზე, ძმერად, მამაშვილურად გასაუბრებოდა, გამოეკითხა ჭიაბურის განდგომის მიზეზი.

შემდგომ ამისა, სახის გამომეტყველებით, ან ხმის ნირით გამოარკვევდა ძეფე, თუ რა წილი ედო თავად მამამზეს ამ საქმეში (გამსახურდია 1976:22).

აქედან გამომდინარე, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ადამიანები ურთიერთობის სწორად წარმართვისათვის არავერბალურ კომუნიკაციას უფრო ენდობიან, რადგანაც სიტყვებით „თამაში“ შეიძლება, ხოლო არავერბალური ნიშნების გაკონტროლება შეუძლებელია.

არავერბალური კომუნიკაციის უმნიშვნელოვანესი თავისებურებაა ის, რომ იგი ხორციელდება გრძნობის ყველა ორგანოს მეშვეობით: მხედველობის, სმენის, შეგრძნების, გემოს, ყნოსვის, რომელნიც კომუნიკაციის საკუთარ არხს ქმნიან.

არავერბალური კომუნიკაციის ელემენტებია: კინესიკა, ტაქტილური მოქმედება, სენსორიკა, პროქსემიკა, ქრონემიკა. ყველაფერი ეს ქვემოთ ცხრილის სახით არის მოცემული (Burgoon 1994: 229).

კინესიკა	სხეულის მოძრაობები, (სახის ალექტა, მხრების აჩეჩა, თვალის მოძრაობა ფეხის მოძრაობა, თითების ბარტყუნი)
პროქსემიკა	დაყოფა სივრცის მიხედვით (ფიზიკურ და სოციალურ გარემოსთან მიმართებაში)
ტაქტილური მოქმედება	შეხება
ოკულისტიკა	მხედველობითი კონტაქტი
ქრონემიკა	დროის გამოყენება, ლოდინი, პაუზის გაკეთება
სერნსორიკა	ყნოსვა
გოკალიქსი	ხმის ტონი, ტემბრი, მოცულობა, სიჩქარე
ხმის სიმბოლოები	ბუტბუტი, მმმ, ერ, აჟ, უჟ, ჰუჟ, ლულლული
სიჩქარე	ხმის ნაკლებობა: მდუმარება, სიმშვიდე, იდუმალება
მოკაზმულობა	ჩაცმულობა, სამკაულები, თმის

	ვარცხნილობა
პოზა	სხეულის პოზიცია (რეალური ან მოწვენებითი მახასიათებლები)
მოძრაობა	სიარული, სირბილი, ბარბაცი, კოჭლობით სიარული
გამომეტყველება	წარბშეკრული, დამანჭული, თაგმომწონე, გაღიმებული, გაბუტული.

სხვადასხვა ავტორი არავერბალური კომუნიკაციის სტრუქტურირების განსხვავებულ მოდელს გვთავაზობს. პროფესორი ადამ ბლატნერი, ამერიკელი ფსიქიატრთა ასოციაციის წევრი, მსოფლიოში აღიარებული სპეციალისტი ფსიქოდრამებისა და როლური თამაშების სფეროში, შემდეგნაირ დაყოფას გვთავაზობს:

- პიროვნული სივრცე;
- სხეულის პოზა;
- ჟესტიკულაცია ხელებით;
- თვალებით კონტაქტი;
- პარაენა (ხმოვანი კომუნიკაციის „არალექსიკური“ ნაწილი ინტონაცია, ინტენსივობა, ტონი, სიმაღლე, საუბრის ტემპი, პაუზები);
- შეხება;
- გარეგნობა (განსაცმელი, მაკიაჟი, აქსესუარები);
- სივრცეში დაკავებული პოზიცია (მაგალითად, მოსაუბრის მიმართ);
- სახის გამომეტყველება;
- სიარულის, მოძრაობის მანერა;
- ფიზიოლოგიური რეაქციები (გაწითლება, ოფლი, კანკალი, ნესტოების დაბერვა, ცრემლები, ნიკაპის ცახვახი, წამწამების ხამხამი, გაფითრება, ნერწყვის ყლაპვა, მძიმე სუნთქვა);

განვიხილოთ ზოგიერთი ეს კატეგორიათაგანი უფრო ვრცლად.

პროქსემიკა ეს კომუნიკაციის სივრცობრივი დამოკიდებულებაა. მოცემული ტერმინი შემოღებულია ამერიკელ ანთროპოლოგის-ე. პოლის მიერ, სივრცობრივი კომუნიკაციის ორგანიზაციული კანონმდებლობისათვის, აგრეთვე ტერიტორიული

გავლენისათვის, ხალხთა შორის მანძილისა და დისტანციისათვის, პიროვნული ურთიერთობისათვის. სპეციალურმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ისინი არსებითად განსხვავდება სხვადასხვა კულტურაში და განეკუთვნებიან კომუნიკაციას (hall 1997:271)

ყოველი ადამიანი თვლის, რომ სივრცის განსაზღვრული მოცულობა არის მისი საკუთრება და ამ სივრცის დარღვევა განიხილება, როგორც მის შინაგან სამყაროში შეჭრა, როგორც არამეგობრული ქცევა, ამიტომაც ადამიანთა ურთიერთობა ყოველთვის მყარდება განსაზღვრულ მანძილზე და ეს მანძილი გვიჩვენებს ხასიათსა და ხალხთაშორის დამოკიდებულებას. ყოველი ადამიანი შეგნებულად აწესებს თავისი პირადული სივრცის საზღვრებს.

ასე, მაგალითად, მეგობრები ყოველთვის დგანან ახლოს ერთიმეორებთან, ვიდრე უცნობები, ამავდროულად ადამიანთა შორის დისტანციის შეცვლა ურთიერთობისას განეკუთვნება კომუნიკაციის პროცესის ნაწილს. გარდა ამისა, პარტნიორების კომუნიკაცია დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორებიცაა; სქესი, რომელიმე კულტურის ან სუბიექტური კულტურის კუთვნილება და სხვა. ე. პოლმა თავისი დაკვირვებების შედეგად გამოყო კომუნიკაციის ოთხი ზონა: ინტიმურ-განცალკევბული; პირადული მანძილი; სოციალური დისტანცია და საჯარო ურთიერთობის დისტანცია.

ამა თუ იმ კულტურულ საზოგადოებაში განსხვავებულია ინტიმური ზონის დისტანციები. დასავლეთ ევროპელების კულტურაში ეს დისტანცია დაახლოებით 60სმ-ია; აღმოსავლეთ ევროპის კულტურაში იგი უსწორდება დაახლოებით 45სმ-ს; სამხრეთ ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებისათვის კი ეს არის მანძილი თითების დასასრულიდან ხელის იდაყვამდე. პარტნიორები ამ მანძილზე არამარტო ხედავენ ერთმანეთს, არამედ კარგად გრძნობენ ერთიმეორეს, მაგრამ კომუნიკაციის პროცესისათვის უფრო მეტად მნიშვნელოვანია პირადი სიცრცე, ეს ზონა უტოლდება 45-120სმ. და მასში ხვდება ადამიანთა დიდი ნაწილი. ასეთ მანძილზე ფიზიკურად კონტაქტი აუცილებელი არ არის. ეს ოპტიმალური მანძილია ლაპარაკისთვის.

კომუნიკაციურ პროქსემიკაზე ჩატარებულმა გამოკლევებმა, რომლებიც ევროპის შვიდ ქვეყანაში ჩატარდა, გვიჩვენა, რომ ინგლისელები პირადი ურთიერთობისას სარგებლობენ დიდი სივრცით, ვიდრე ფრანგები და იტალიელები. ფრანგები და იტალიელები თავის მხრივ სარგებლობენ დიდი სივრცით, ვიდრე ირლანდიელები და შოტლანდიელები. პირადი ზონის

საზღვრების უცოდინრობამ კულტურათშორისი ურთიერთობისას შესაძლოა მიგვიყვანოს კონფლიქტამდე. მაგ: ლათინოამერიკელები ჩვეულებრივ ურთიერთობები საკუთარი ზონით, ხოლო ჩრდილო ამერიკელები—ინგიმურით, ამიტომ პირველები მეორეებს თვლიან თავშეკავებულებად და ცივებად.

სოციალური ზონა არის 1,2 მეტრიდან 3,6 მეტრამდე მანძილი. ეს დისტანცია გვიკავია უცხო ადამიანებთან ურთიერთობისას (ოფისში შემოსული კლიენტი, სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად შემოსული ტექნიკური პერსონალი და ა.შ.).

მოკლედ, ეს ის მანძილია, რომელსაც ვიცავთ უცნობ ადამიანებთან ურთიერთობისას. სოციალური ზონა ესაზღვრება პირადულს და მასში, როგორც წესი, ხვდება ფორმალური და სამსახურეობრივი კონტაქტების დიდი ნაწილი. მასში ხვდება მასწავლებელისა და მოსწავლის, უფროსისა და ქვეშვრდომის ურთიერთობაც. აქ ძალიან მნიშვნელოვანია დისტანციური ურთიერთობის ინტიმური გრძნობა, რადგანაც სოციალური ზონის დარღვევისას შეუგნებლად წარმოიშობა პარტნიორის უარყოფითი რეაქცია და ფსიქოლოგიური დისკომფორტი, რომელსაც მივყავართ კომუნიკაციის წარუმატებლობამდე.

ინტიმური ზონა 20-40 სანტიმეტრს წარმოადგენს. ამ ზონას პიროვნება განსაკუთრებით უფრთხილდება და იცავს; ზონის „საზღვრების გადალახვა“ ნებადართულია მხოლოდ პიროვნებასთან მჭიდრო ემოციურ სიახლოვეში მყოფი ადამიანებისთვის; თუმცა ამ ზონაში არსებობს კიდევ ერთი 15-სანტიმეტრიანი დიამეტრის მონაკვეთი, რომელშიც შეღწევა მხოლოდ ფიზიკური კონტაქტის მეშვეობითაა შესაძლებელი.

პირადი ზონა 40 სანტიმეტრიდან დაახლოებით, 1- 2 მეტრამდე მანძილია. ეს არის ის დისტანცია, რომლის დაცვაც მიღებულია ოფიციალურ დონისძიებებზე, წვეულებებზე, მეგობრების შეხვედრისას.

საზოგადოებრივი ზონა 3,6 მეტრზე მეტია. ასეთი მანძილი მოსახერხებელია ადამიანების დიდ ჯგუფთან საუბრისას. როგორც წესი, ინტიმური ზონა ორი მიზეზით ირღვევა: მასში ან ძალიან ახლობელი ადამიანი აღწევს, ან ის, ვისაც მტრული განზრახვა ამოძრავებს. თუკი ადამიანი შედარებით იოლად ურიგდება პირად ან სოციალურ ზონაში უცხო ადამიანის შემოჭრას, ინტიმური ზონის გადალახვა მასში სრულ „საბრძოლო მზაობას“ იწვევს: გულისცემა ხშირდება, სისხლში იმატებს ადრენალინი, რომელიც შემდეგ თავის ტვინისა და კუნთებისკენ მიიმართება. ყველაფერი ეს კი იმას

ნიშნავს, რომ თუ ჩვენ მეგობრულად შევეხებით, ან მოვეხვევით ახლად გაცნობილ ადამიანს, ეს მასში უარყოფით რეაქციას გამოიწვევს, თუმცა, გარეგნულად, შესაძლოა, მან ეს არც გამოხატოს, ამიტომ თუ გვხურს, რომ საზოგადოებაში ყოფნისას ჩვენთან თავი ყველამ კომფორტულად იგრძნოს, უნდა დავიცვათ დისტანცია. ახალ სამსახურში მუშაობის დაწყებისას შესაძლოა მოგვეჩნოთ, რომ კოლეგები ცივად გვეყრობიან. სინამდვილეში, მათ, უბრალოდ, ჩვენ მიმართ სოციალური ზონის დისტანცია უკავიათ; გარკვეული დროის შემდეგ, როდესაც ერთმანეთს უკეთ გაიცნობთ, ისინი „ახლოს“ მიგიშვებენ და პირად ზონაში მოძრაობის უფლებას მოგცემენ. თუმცა არსებობს შემთხვევები, როდესაც ადამიანის ზონა მისი სოციალური მდგომარეობითაა განპირობებული (მაგალითად, კომპანიის მმართველი ყოველთვის დაიცავს სოციალურ ზონას ქვეშვერდომებთან ურთიერთობისას).

ქრონემიკა დროით სარგებლობაა არავერბალური კომუნიკაციის პროცესში. ურთიერთობისას დრო ისევე მნიშვნელოვანია, როგორც სიტყვები, უსტიკულაცია, დისტანცია და სხვა. დროის აღქმა სხვადასხვა კულტურაში განსხვავებულია. ასე მაგალითად, საერთო კრებები აფრიკულ სოფლებში იწყება მხოლოდ მას შემდეგ, როცა შეიკრიბება სოფლის ყველა მაცხოვებელი. თუ ამერიკაში საჯარო შეხვედრისას დაგვიანება საქმისადმი უინტერჯესობის მაჩვენებელია, ლათინო ამერიკაში 45 წუთით დაგვიანება ჩვეულებრივი მოვლენაა, ამიტომ ბიზმესმენის შეხვედრა აშს-სა და ლათინო ამერიკაში შეიძლება დამთავრდეს წარუმატებლად, რადგან არ გავითვალისწინებო სხვა კულტურისათვის დამახასიათებელ დროის სარგებლობის სპეციფიკას.

ქრონემიკა აგრეთვე სწავლობს მოძრაობის რიტმსა და დროის ანგარიშს კულტურაში. ასე მაგალითად, დიდი ქალაქის ქუჩებში უნდა ვიაროთ სწრაფად, ვიდრე სოფელში. სხვადასხვა კულტურა სარგებლობს დროის ფორმალური და არაფორმალურ სახით. არაფორმალური დრო განუსაზღვრელია ”რამდენიმე ხანში”, ”მოგვიანებით” ”დღის მეორე ნახევარში” და ა.შ. ფორმალური დრო კი პირიქით, ითვლება ძალიან ზუსტად: ”ორი საათისთვის,” ”ხვალ 5სთ-ზე”, და ა.შ. კულტურათშორისი კომუნიკაციისათვის ერთ-ერთი ყველაზე ხელისშემშლელი ფაქტორია, როდესაც ერთი მოსაუბრე ოპერირებს ფორმალური დროით, ხოლო მისი ოპონენტი, სხვა კულტურის წარმომადგენელი—არაფორმალურით. პირველი მიდის შეხვედრაზე დღის ორი საათისთვის, ხოლო მეორე—დაახლოებით დღის მეორე ნახევარში.

სენსორიგაზ-წარმოადგენს არავერბალური კომუნიკაციის ერთ-ერთ ელემენტს, დაფუძნებულს სხვა კულტურის წარმომადგენლების გრძნობით აღქმაზე. ყველა სხვა მხარეეთან ერთად არავერბალური კომუნიკაციის დამოკიდებულება პარტნიორთან ყალიბდება ადამიანის გრძნობის ორგანოების შეგრძნებაზე. იმის მიუხედავად, თუ როგორ ვგრძნობთ სუნს, აღვიქვამთ გემოს, ვიღებთ ფერადოვან და ხმოვან წყობას, ვგრძნობთ თანამოსაუბრის სხეულის სითბოს, ჩვენ ვამყარებთ ურთიერთობას მასთან. ადამიანის გრძნობითი ორგანოების ეს კომუნიკაციური ფუნქციები ნებას გვაძლევს ჩავთვალოთ ისინი არავერბალური კომუნიკაციის ნაწილად.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ურთიერთობისას აქვს სუნს. ეს თავდაპირველად სხეულის სუნი და ადამიანის მიერ გამოყენებული კოსმეტიკაა. ჩვენ შეიძლება უარი ვთქვათ იმ ადამიანთან ურთიერთობაზე, თუ ჩავთვლით, რომ მას სპეციფიკური სუნი აქვს. იგივე სირთულეები წარმოჩნდება კულტურათშორისი კომუნიკაციისას, სუნი, ჩვეულებრივი ერთი კულტურისათვის სხვა კულტურისთვის შეიძლება აღმოჩნდეს მიუღებელი. ასე მაგალითად, ახალი გვინჯის მაღალმთიანეთის ძცხოვრებლები ისუფთავებენ თავს ტალახითა და ღორის ქონით და თითქმის არ ბანაობენ. ალბათ ძნელი წარმოსადგენია წარმოვიდგინოთ, რომ ხაჭიროა ასეთ ხალხთან ურთიერთობა.

ეროვნული სამზარეულოს თავისებურება დამახასიათებელია სხვადასხვა ხალხისთვის. ტრადიციული სამზარეულოს არომატიც, რომელსაც უცხოელები ღებულობენ, როგორც ჩვეულებრივს ან მიუღებელია მოცემული კულტურისათვის, შესაძლოა იყოს სხვისთვის სრულიად მისაღები ან ჩვეულებრივი. ასე მაგალითად, ამერიკელების ოჯახში ნახარშის ხენი, არ წარმოადგენს არავითარ უხიამოვნო შეგრძნებას, მაგრამ ზოგიერთი აზიელისთვის იგი ისევე აუტანელია, როგორც გახრმილი თევზის ხენი. რუსებს კი მოუწევთ სიფრთხილით გახინჯონ ინდური ან ინდონეზიური სამზარეულო, ისინი ხომ დიდი რაოდენობით იყენებენ სპეციალურ სანელებლებს, ინდუს კი ჩვენი სამზარეულო ძალიან უმარილო მოეჩვენება.

ყველა სენსორული მოქმედება ერთდროულად ქმნის ამა თუ იმ კულტურის სენსორულ სურათს. ნიშანს, რომელსაც ჩვენ ვაძლევთ ამ კულტურას დამოკიდებულია რიცხობრივ თანაფარდობაზე, მიღებული და მიუღებელი სენსორული შეგრძნებისას. თუ მიღებული შეგრძნება მეტია, ჩვენ კულტურას

ვაფასებთ დადგებითად, თუ ნეგატიური ჭარბობს, უფრო არ მოგვწონს (Лабунская 1986:31).

სხვადასხვა კულტურის ქცევის შედარებითმა შეპირისპირებამ საშუალება მოგვცა დაგვედგინა, რომ სხვადასხვა კულტურის ხალხი ურთიერთობისას სარგებლობს თავიანთ თანამოსაუბრესთან შეხების სხვადასხვაგარი სახით. შეხების ასეთ სახეს მეცნიერები უპირველესად მიაკუთვნებენ ხელის ჩამორთმევას და ა.შ. როგორც დაკვირვებებმა ცხადყო, რომ პროცესმა შეიძლება შეიძინოს სხვადასხვაგარი ხასიათი და მიმდინარეობდეს განსხვავებული აფექტურობით. ჩამოყალიბდა განსაკუთრებული მეცნიერული მიმართულება, რომელიც სწავლობს შეხების მნიშვნელობასა და როლს ურთიერთობისას, რომელსაც ეწოდა “ტაკესიკი”.

შეხება აუცილებელია ადამიანთათვის, რათა გაძლიერდეს ან შესუსტდეს ურთიერთობის პროცესი, მაგრამ შეხება დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე, რომელთა შორის გაცილებით მნიშვნელოვანია კულტურა, სქესი, ასაკი, ადამიანის სტატუსი და პიროვნების ტიპი. ყოველ კულტურას გააჩნია შეხების თავისებური წესები, რომლების რეგულირდება მოცემული კულტურის ტრადიციებითა და ადათ-წესებით, ამა თუ იმ სქესის ადამიანთა ურთიერთქმედებითა და კუთვნილებით. საკმაოდ ხშირად ეს დამოკიდებულია იმ როლზე, რომელსაც თამაშობს შესაბამისი კულტურის ქალი და კაცი. ზოგიერთ კულტურაში იკრძალება კაცის კაცოან შეხება, მაგრამ არ არის შეზღუდული ქალის ქალთან შეხება. სხვა კულტურაში იკრძალება ქალის მამაკაცთან შეხება. ამის შესაბამისად არსებობს დისტანციური და კონტაქტური კულტურები.

კონტაქტურ კულტურას მიეკუთვნებიან ლათინოამერიკული, აღმოსავლური კულტურები, ასევე არაბები, ებრაელები, ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების მცხოვრებლები. გერმანელები, ინგლისელები და სხვა. ანგლოსაქსონები იშვიათად სარგებლობენ შეხების ურთიერთობით. გერმანელების, იტალიელების და ჩრდილოამერიკელების ტაქტილური ქცევის გამოკვლევებმა აჩვენა, რომ კონტაქტური ან დისტანციური კულტურის კუთვნილება დამოკიდებულია აგრეთვე ადამიანის პიროვნებასა და მის სქესზე. მაგ: გერმანიასა და ამერიკაში მამაკაცები ურთიერთობენ დიდ მანძილზე და ნაკლებად ეხებიან ერთიმეორებს იტალიელებთან შედარებით. მათგან განსხვავებით იტალიელი მამაკაცები დგანან უფრო ახლოს ერთიმეორებთან და ეხებიან ერთმანეთს გაცილებით უფრო ხშირად, ვიდრე იტალიელი ქალები. გარდა ამისა, როგორც აღმოჩნდა,

იტალიელი მამაკაცები თავიანთ თანამოსაუბრებთან ურთიერთობენ იმ არავერბალური საშუალებების დახმარებით, რომლებიც დამახასიათებელია მხოლოდ გერმანელი და ამერიკელი ქალებისთვის.

აზიურ კულტურაში მხრებზე შეხებით აღნიშნავენ მეგობრობას, არაბულ და ზოგიერთ აღმოსავლურ-ევროპულ ქვეყანაში, ისევე როგორც საქართველოში, მეგობრული გრძნობა გამოიხატება ძლიერი მოხვევით. მუსულმანებს შორის მოხვევა მუსლიმანური გრძნობის გამოხატულებაა, მაგრამ ტაქტილურ კომუნიკაციაში არის აკრძალვები: აზიურ კულტურაში, მაგალითად, არ შეიძლება თანამოსაუბრის თავთან შეხება, რაც მიღებულია, როგორც წყენა, ამიტომ აზიურ კულტურაში მასწავლებლები ხშირად ურტყამენ მოსწავლეებს თავზე და ისინიც ამას იღებენ, როგორც სასჯელს.

ნებისმიერი შეხვედრის და ურთიერთობისას აუცილებელ ატრიბუტად ითვლება ხელის ჩამორთმევა. კომუნიკაციაში ის შეიძლება იყოს ძალიან ინფორმაციული, განსაკუთრებით მისი ინტენსივობითა და ხანგძლივობით. ძალიან მოკლე, უხალისო ხელის ჩამორთმევა ძალიან მშრალი ხელები, მოწმობაა გულგრილობისა. მის საპირისპიროდ, ძალიან ხანგრძლივი ხელის ჩამორთმევა და ზედმეტად სველი ხელები მიგვანიშნებენ ძლიერ მდელვარებასა და მოვალეობის მაღალ დონეზე, გაგრძელებული ხელის ჩამორთმევა თბილ შეხედვასთან ერთად კეთილგანწყობის დემონსტრირებაა.

ხელისგული ყოველთვის იწვევს ჩვენში გულახდილობის, პატიოსნების, ერთგულებისა და ნდობის ასოციაციას. საუკეთესო საშუალება, გაიგო, მართალია თუ არა შენ წინაშე მდგომი ადამიანი, მის ხელისგულებზე დაკვირვებაა. როდესაც იგი მთლიანად გულწრფელია, ის თქვენკენ ერთ ან ორივე ხელისგულს იშვერს. გულახდილი საუბრისას ხელისგულები მთლიანად ან ნაწილობრივ დიაა. ისევ და ისევ, ეს სრულიად არაცნობიერი ჟესტია, რომელიც გვკარნახობს, რომ ჩვენი მოსაუბრე ამ მომენტში სრულ სიმართლეს ამბობს. როდესაც ადამიანი რაღაცის დამალვას ცდილობს, ის ხელებს ჯიბებში იწყობს, ან გულზე გადაიჯვარედინებს. ჩატარდა საინტერესო კვლევა, რომელმაც დაადასტურა, რომ ადამიანების უმრავლესობას უჭირს ტყუილის თქმა, როდესაც მათი ხელისგულები დიაა. ხელისგულის ჟესტის სამი ძირითადი სახეობა არსებობს (Пиз 2006: 80-81). როდესაც ხელისგულები მიმართულია ზევით, როდესაც ხელისგულები მიმართულია ქვევით და გაშვერილი თითის (მიმათითებელი) ჟესტი. დაგუშვათ, თქვენ სთხოვთ ადამიანს მძიმე კუთის ოთახის

ერთი პუთხიდან მეორეში გადატანას. ყველა სხვა თანაბარ პირობებში, პირველი ჟესტი (ანუ ზევით აღმართული ხელისგულები) არის მიმწდობი, კეთილგანწყობილი, ჟესტი, რომელიც რაიმე მუქარას არ შეიცავს. ამ ჟესტის დროს ადამიანი არ განიცდის ზეწოლას სხვისი მხრიდან და სხვათა ნათქვამს აღიქვამს, როგორც თხოვნას. თუკი თქვენი ხელისგული ქვემოთაა მიმართული, ჟესტი მაშინვე მბრძანებლურ ელფერს მიიღებს; ადამიანში ის მტრულ განწყობას იწვევს და თქვენი თხოვნა, შესაძლოა, უპასუხოდაც დარჩეს. და ბოლოს, თუ მიმართვის დროს თქვენი ხელი მუშტადაა შეკრული, ხოლო საჩვენებელი თითო გაშვებულია, ეს ნიშნავს, რომ თქვენ აიძულებთ ადამიანს, დაგემორჩილოთ. თუ თითის გაშვერით საუბრის ჩვევა გაქვთ, შეეცადეთ, შეცვალოთ ის თუნდაც დია ხელისგულების ჟესტით და თავად დარწმუნდებით, რომ ადამიანებთან ურთიერთობისას გაცილებით მეტ წარმატებას მიაღწევთ.

რაც შეეხება ხელის ჩამორთმევას, მეცნიერები მიიჩნევენ, რომ იგი პირველყოფილი თემური წყობილებიდან იღებს დასაბამს. დია ხელისგულის ჩვენებით პირველყოფილი ადამიანი ანიშნებდა მეორეს, რომ შეუიარაღებელია. დღესდღეობით, როდესაც ადამიანს ხელს ვართმევთ, ამას მისალმების ან დამშვიდობების მიზნით ვაკეთებთ. თუმცა, აქაც არსებობს გარკვეული ნიუანსები. განვიხილოთ ხელის ჩამორთმევის ტიპები (დოლიკაშვილი...2008:49)

დომინანტური: ხელისგული ქვემოთ არის მიმართული. ეს ჟესტი არ იძლევა თანაბარი პარტნიორული ურთიერთობის ჩამოყალიბების შანსებს. ასეთი ჟესტი ძალაუფლების მოყვარულ ადამიანს ახასიათებს: იგი ყოველთვის თავად არის ხელის ჩამორთმევის ინიციატორი და ამ ჟესტით (ქვემოთ მიმართული ხელისგულით) ადამიანებს იმორჩილებს.

უემოციო, უსიცოცხლო ხელის ჩამორთმევა: ამერიკელები ასეთ ხელის ჩამორთმევას ხატოვნად “მკვდარ თევზს” უწოდებენ. ის ადამიანის სუსტ და უნებისყოფო ხასიათზე მიანიშნებს. თავი აარიდეთ ასეთ ჟესტს, იგი ნეგატიურ ასოციაციებს იწვევს – არავის სურს, ხელი “მკვდარ თევზს” მოჰკიდოს.

ხელის ჩამორთმევისას მკლავის ბოლომდე გაშლა: აგრესიულ ადამიანს ახასიათებს. ასეთი ჟესტის დანიშნულებაა პარტნიორისგან მაქსიმალური დისტანციის დაჭერა და საკუთარი პიროვნული სივრცის “ხელშეუხებლობის” დაცვა. ეს ჟესტი ხშირად გვხვდება პროვინციაში გაზრდილ ადამიანებში, რადგან მათ უფრო ფართო პიროვნული სივრცე ახასიათებთ. ხელის ამგვარად

ჩამორთმევისას ადამიანი მაქსიმალურად წინ იხრება და შესაძლოა ცალ ფეხზეც ინარჩუნებდეს წონასწორობას.

ხელის ჩამორთმევა თითის წევრებით: საკუთარ თავში დაურწმუნებელ ადამიანს ახასიათებს. ასეთი ჟესტის მიზანიც პარტნიორთან გარკვეული დისტანციის შენარჩუნებაა. ასეთ ჟესტს ხშირად მიმართავენ ინფანტილური ქალები, რომლებსაც სურთ მამაკაცთან დისტანციის შენარჩუნების ხაზგასმა.

ხელის ჩამორთმევის ინიციატორი პარტნიორის ხელს თავისკენ ექაჩება. ასეთი ადამიანი თავს კომფორტულად და მშვიდად მხოლოდ საკუთარი პიროვნული სივრცის ფარგლებში გრძნობს და ამ ჟესტით ცდილობს პარტნიორიც ამ სივრცეში შემოიყვანოს.

ხელის ჩამორთმევისას ორივე ხელის გამოყენება: ჭეშმარიტ ნდობასა და წრფელ გრძნობებზე მეტყველებს. მიაქციეთ ყურადღება მარცხენა ხელის მდგომარეობას. მარცხენა ხელი პარტნიორის იდაყვზე უფრო მეტი გრძნობის გამომხატველია, ვიდრე როდესაც ის მაჯაზეა მოთავსებული. ამის მსგავსად, მარცხენა ხელი პარტნიორის მხარზე უფრო დრმა და გულწრფელ გრძნობას ნიშნავს, ვიდრე - თუ ის წინა მხარზეა მოთავსებული. საერთოდ, ადამიანის მხარზე ან იდაყვზე ხელის მოკიდება მხოლოდ ახლო ნათესავებსა და მეგობრებშია მიღებული.

ხელების თავის უგან ამოდება: ეს ჟესტი ახასიათებს თავდაჯერებულ, უპირატესობის გრძნობით შეპყრობილ ადამიანს, ან ადამიანს, რომელსაც მიაჩნია, რომ ყველაფერი იცის ამ ქვეყანაზე. ალბათ ამიტომაცაა, რომ ბევრი საშინლად ღიზიანდება ამ პოზის დანახვისას. თუ ამავდროულად, ადამიანი ფეხს ფეხზე დებს (ოთხიანის მსგავსად), მაშინ ის, ყველაფერთან ერთად, კამათისა და დისკუსიის მოყვარულია. ასეთ ადამიანს, მასთან ურთიერთობის გასათანაბრებლად შეეცადეთ, პოზა შეაცვლევინოთ. მაგალითად, თუ რაიმე პრობლემაზე საუბრობთ, გახსნილი ხელისგულების გამოყენებით სთხოვეთ, კომენტარი გააკეთოს და მისი ნათქვამის მიმართ ინტერესი გამოხატეთ.

შეგიძლიათ, გაიმეოროთ მისი პოზაც (როგორც წესი, პოზის სარკისებრი ასახვა ადამიანთან დათანხმებას ნიშნავს).

საჩვენებელი თითის დაქნევა ადამიანის დაძახების მიზნით - „მოდი აქ“ ჟესტი. ქართულ კულტურაში ეს ყოვლად უწყინარი ჟესტია, თუმცა, საკმაოდ ბევრ კულტურაში ის აღიქმება, როგორც უზრდებული, ხოლო ზოგან უცენებულიც ეს. ახლო აღმოსავლეთში, პორტუგალიასა და ესპანეთში, ლათინურ

ამერიკაში, იაპონიაში, ინდონეზიასა და პონგ კონგში ადამიანის დასაძახებლად, უმჯობესია, დაუქნიოთ მას უველა თითოთ ან მთლიანი ხელით (ამ დროს ხელისგული ქვემოთ უნდა იყოს მიმართული).

სხვა ადამიანისგან საჩვენებელი თითოს გაშვერა: ეს უკიტი ქართულ რეალობაში თუ უბრალო უზრდებლობად აღიქმება, სხვა მრავალ კულტურაში საერთოდ მიუღებელია. ახლო და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებში ამ მიზნისთვის იყენებენ გამლილ ხელს, ხოლო ინდონეზიაში - ცერა თითხ. იაპონიაში ძალიან შეურაცხმეოფელია რაიმე ნივთის ცალი ხელით გადაწოდება. ისეთი მცირე რამეც კი, როგორიც ფანქარია, აუცილებლად ორივე ხელით უნდა მიაწოდოთ. აღმოსავლეთის ზოგიერთ სხვა ქვეყანაში მარცხნა ხელით მიწოდება დაუშვებელია, რადგან მარცხნა ხელი „უწმინდურია“. მრავალ სიტუაციაში სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთან კონტაქტისას ყალიბდება წარმოდგენა, თითქოს ადამიანები არაბუნებრივად იქცევიან. თუ ამერიკელი, ისევე როგორც ქართველი საკუთარ თავზე ლაპარაკობს საჩვენებელ თითოთ საკუთარ მკერდზე მიანიშნებს, ეს კი იაპონელებს უცნაურ უქტად მიაჩნიათ, მაშინ როცა, ასეთ შემთხვევასში ისინი საკუთარ ცხვირს ეხებიან. ჩინელები დღეხაც გაურბიან უცნობებთან კონტაქტს, მათთვის მაგრად ხელის ჩამორთმევა ისევე მიუღებელია, როგორც ევროპელისთვის მხარზე ხელის დარტყმა, რაც ნიშნავს “ჯანმრთელად იყავი” (Argyle 1991:45).

უნდა ადინიშნოს, რომ ადამიანის ხელები მისი მეორე ენაა, თანაც იერსახესთან შედარებით ისინი ცნობიერ კონტროლს კიდევ უფრო ნაკლებად ექვემდებარება, აქედან გამომდინარე, ხელებს შეუძლია ისეთი ინფორმაციის გამუდავნება, რომელთა გამოაშკარავება შესაძლოა მოცემულ სიტუაციაში სასურველი არ იყოს. მოვიყვანოთ ნაწყვეტი ე. ყიფიანის მოთხოვნიდან, როცა ლეგანთან მისულ რადიოკომიტუტის თავჯდომარეს, კოტებ აინტერესებს თუ როგორ ჩაიარა ცნობილ მხახიობ უჩა ართველიძის ხმის ჩაწერამ, ამ დროს კი ლეგანს ფირფიტა დაზიანებული აქვს, რასაც მტკიცნეულად განიცდის, მაგრამ ამის შესახებ თავჯდომარეს არაფერს ეუბნება. ისინი საუბრობენ.

კოტე: – ჩანაწერი თუ მოიხმინა?

ლეგანი: – შევთავაზე და ისე შეშვეოთდა... არა, არაო, ხელები გაასავსავა.

გაურბის, ეშინია, თქვა კოტემ – გრძნობს რომ ძველებური ხმა არ აქვს და არ უნდა საბოლოოდ დარწმუნდეს.

თქვენ ხომ არ მოისმენდით ბატონო კოტე? – უკრად წამოსცდა ლუგანს და თავში ხელები იტაცა; ასეთ დროს ჩვეულებრივ, უნდა შეეთავაზებინა თავჯდომარისთვის ფირის მოსმენა, მაგრამ სულ აღარ გააახსენდა, რომ... (ყიფიანი 2010:264).

ანუ “თავში ხელების ტაცებამ” მთლიანად გამოამჟღავნა ის ინფორმაცია, რის დამალვასაც ლევანი ასე საგულდაგულოდ ცდილობდა.

არავერბალური სემიოტიკის ერთ-ერთ ცენტრალურ დარგს წარმოადგენს კინესიკა. კინესიკა შეგვიძლია გავიგოთ, როგორც მეცნიერება ადამიანის სხეულისა და მისი ნაწილების ენის შესწავლის შესახებ. არავერბალური კომუნიკაციისა და სხეულის ენის შესწავლას ყოველთვის დიდი ინტერესი ეთმობოდა კულტურის ისტორიაში. განსაკუთრებით ხშირად არავერბალური კომუნიკაცია და სხეულის ენა მეცნიერების ისეთი დარგების საკვლევ ობიექტს წარმოადგენდა, როგორიცაა, რიტორიკა, მედიცინა, ფსიქოლოგია, პედაგოგიკა, ხელოვნება და ფიზიოგნომიკა. პირველი, ვინც სისტემური ხასიათის კვლევა ჩაატარა ადამიანის სხეულის მოძრაობის შესწავლის შესახებ, ჯონ კასპერ ლავატერი გახდათ. სწორედ მან გამოაქვეყნა სტატია ”ფიზიოგნომიკის შესახებ” 1972 წელს. პირველმა ჩაატარა დეტალური გამოკვლევა და აღწერა ერთის მხრივ, ადამიანის სახის გამომეტყველებასა და სხეულის კონფიგურაციებს შორის კორელაციურობა და მეორეს მხრივ, ადამიანთა ტიპები და მათთვის დამახასიათებელი თავისებურებანი. ლავატერი ადამიანის ფსიქიკურ და ფიზიკურ ნიშნებს შორის პირდაპირ კავშირს ხედავდა. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა სახის ფორმისა და ნაკვთების შესწავლას და თვლიდა, რომ თითოეული ნაკვთი მეტყველებდა პიროვნების ხასიათზე, მის სულიერ და ფსიქიკურ მდგომარეობაზე. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ადამიანები ჯერ კიდევ ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული ესწრაფოდნენ ფიზიოგნომიკის ხელოვნების დაუფლებას. ისინი ცდილობდნენ ფიზიკური ნაკვთებიდან გამომდინარე შესწავლათ ადამიანის ხასიათი, მაგრამ აქვე აღვნიშნავთ, რომ ძველი ბერძნები ადამიანის კონფიგურაციებსა და ამა თუ იმ ცხოველისა თუ ფრინველის გარეგან აგებულებას შორის ავლებდნენ პარალელს, პოულობდნენ მათ შორის გარკვეულ მსგავსებას და ამ მონაცემებზე დაყრდნობით კონკრეტული პიროვნების ხასიათის იდენტიფიკაციას ახდენდნენ. მათ სჯეროდათ, რომ ადამიანსა და ამა თუ იმ ცხოველსა თუ ფრინველს (რომელსაც ის წააგავდა), შორის გარკვეული თვისობრივი მსგავსება იყო. მაგალითად,

ადამიანი ფართო და ოვალური სახით, მკვეთრად გამოხატული წინ წამოწეული ნაკვებით, მთლიანობაში ცხენისებრი სახით ლოიალური, მამაცი და მტკიცე ხასიათის მქონე პიროვნება უნდა ყოფილიყო. არწივისებრი ცხვირი გამბედაობაზე და მხნეობაზე მეტყველებდა, მრგვალი პირისახის მქონე ადამიანი თავდაჯერებულ პიროვნებად მოიაზრებოდა, ხშირი, თაღისებრი წარბები ხაზს უსვამდა ადამიანში გადამწყვეტუნარიანობის თვისებას, გრძელი, წაწვეტებული ნიკაპი მბრძანებლური ხასიათის მქონე ადამიანზე მიუთითებდა და ა.შ. დღესდღეობით, ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ კინესიკური მახასიათებლები ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელ და არსებით კომპონენტს შეაღენს.

კინესიკურ მახასიათებლებში ვგულისხმობთ ექსტებს, სახის გამომეტყველებას (მიმიკა), სხეულის პოზას, მოძრაობას და მანერებს.

ვიზუალურ ეფექტებზე საუბრისას დევიდ კრისტალი წერს, რომ “არავერბალური კომუნიკაციის დარგი, კინესიკა, შეიძლება რამდენიმე კომპონენტად დაგყოთ: სახითი გამომეტყველება, კონტაქტი თვალებით, უსტი და სხეულის მოძრაობა. თითოეული მათგანი მრავალ ფუნქციას ასრულებს. სხეულისა და სახის მოძრაობების მეშვეობით შეგვიძლია ინდივიდუალური პირის პიროვნულობა და მისი ემოციური მდგომარეობა ავხსნათ. მაგალითად, სახეს შეუძლია მრავალგვარი ემოცია გადმოგვცეს: შიში, ბედნიერება, სიხარული, სევდა, გაოცება, ინტერესი, ბრაზი, სიძულვილი და მრავალი სხვა. თუმცა მათ უმრავლესობას უნივერსალური ხასიათი არ აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ განსხვავებული მნიშვნელობები აქვთ სხვადასხვა კულტურისა და ქვეყნის ენაში” (Crystal 1987:402).

მაგალითად, თუ ქართულ, რუსულ, ინგლისურ და სხვა ენებში თავის დაქნევა დასტურის ნიშანია, ბულგარულ, ბერძნულ და ინდურ ენებში ივი უარყოფას ან უარის თქმას ნიშავს; ან კიდევ, შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებში კომუნიკაციის დროს კომუნიკაცია თავდახრილი და თვალებადაშებული მდგომარეობა ურთიერთპატისვისცემის ნიშანია, მაშინ როცა ამერიკელებისათვის ისევე როგორც ქართველებისთვის პირდაპირი კონტაქტი თვალებით საქმაოდ მიღებული ფორმაა, და უფრო მეტიც, თუკი ურთიერთობის პროცესში კომუნიკანტები ერთმანეთს არ უყურებენ თვალებში, ეს შეიძლება გახდეს მიზეზი უნდობლობისა და გარკვეული დისკომფორტიც

მოპყვეს შედეგად კომუნიკაციური პროცესის მონაწილეთა შორის.
განვიხილოთ ნაწყვეტი მოთხოვობიდან “მწვანე ფარდა”

— ეჩვენება, რომ აღარაფერი შეუძლია... როგორც კი რამეს გააკეთებს, პონია, მთელი სახიცოცხლო ძალა დახარჯა და წვება, შეშდება... მარტო თავის მიმართ რომ იყოს ქვეიანი, რაღაც ეჭველებოდა მაგრამ სულ თვალებში რომ შემოგცერის? ხომ არ მატუუბენო, ხომ არ დამცინიანო... (ყიფიანი 2010: 263).

ყველაზე მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო საშუალება სახის გამომეტყველებაა. ის უმნიშვნელოვანესია ემოციების გადასაცემად. სახის გამომეტყველებაში შედის დიმილი, თვალებით კონტაქტი, მიმიკები, ემოციების გამოხატვის მხრივ, ადამიანის სხეულის ყველაზე “მაღალგანვითარებული” ნაწილი მისი სახეა (Scollon... 1983:79).

ზოგიერთი ადამიანისთვის იმდენად ჩვეულია ესა თუ ის ემოცია, რომ მისი სახის კუნთები ერთგვარად აფიქსირებს ამ ემოციას. ალბათ, ბევრჯერ შეხვედრისართ ადამიანებს, როგორთა სახის გამომეტყველებით ადვილად ხვდებოდით მათ სასიათს: წუწუნაა თუ პრეტენზიული, მუდმივად უკმაყოფილო თუ, პირიქით, კეთილგანწყობილი და გულწრფელი. ეს იმიტომ ხდება, რომ როდესაც რომელიმე კონკრეტული ემოციის (მაგალითად, უკმაყოფილების) შესაბამისი მიმიკა ხანგრძლივი დროის განმავლობაში და ხშირ-ხშირად ჩნდება რომელიმე ადამიანის სახეზე, ის კუნთები, რომლებიც ამ მიმიკაში მონაწილეობს, ჰიპერტონიულება (ზედმეტად ვითარდება და იზრდება); ამდენად, ადამიანის სახის ფორმაც იცვლება და იგი ქრონიკულად “ატარებს” უკმაყოფილების გამომეტყველებას.

გავიხსენოთ ნაწყვეტი „დიდოსტატის მარჯვენიდან“, სადაც მწერალი დალიან კარგად აღწერს არავერბალური ნიშნებით ზვიად სპასალარის ხასიათს და ბუნებას.

სედაზე დაჯდა პირბანჯგვლიანი, მოღუშელი მხედართმთავარი; წარბშეყრილი და მოღუშელი იჯდა ზვიად სპასალარი; სპასალარი ყოველგვარ ენამზეობას მოკლებული იყო, უბრალო საუბარიც ძლიერ უჭირდა ბუნებით ძღვმარეს. ლაპარაკის დროს სახე ეღრიჯებოდა, ცხვირის ხესტოები ებერებოდა, მუშტებს იშველიებდა უნებლიერ თითქოს ექადნებათ; ზვიადმა მიაშტერა თავის დიდრონი, მოღუშელი თვალები; მარად მოღუშელი, შეყრილი წარბები; სპასალარის შავადშეყრილი წარბები.

რადა თქმა უნდა, გარდა ასეთი „ქრონიკულისა“, არსებობს კიდევ მაღიან ბევრი უფრო ხანმოკლე, ზოგჯერ კი, წამიერი გამომეტყველება, რომელიც ხშირად პიროვნების სურვილისგან დამოუკიდებლად გაიღლვებს მის სახეზე (ჩაფიქრება, გაოცება, სევდა, თავშეკავება, სექსუალური ინტერესი, დაბნეულობა, შიში, შფოთვა, მუქარა და ა.შ.).

მიმიკა ადამიანის სახის გამომეტყველების შეცვლას წარმოადგენს, რომელიც საუბრის დროს ხდება. იგი არავერბალური კომუნიკაციის უმთავრესი ელემენტია. პარტნიორის სახე ნებსით თუ უნებლიერ ჩვენს ყურადღებას იწვევს, რადგანაც მისი სახის გამომეტყველება საშუალებას გვაძლევს გავიგოთ ესმის თუ არა პარტნიორს ჩვენი, სწორედ სახის გამომეტყველებით, მასზე დაკვირვებით შეიძლება ადამიანის ჭეშმარიტი ზრახვების ამოცნობა. საანალიზოდ კვლავ მოვიყვანოთ ნაწყვეტი „დიდოსტატის მარჯვენიდან“, სადაც ძალიან კარგად არის გადმოცემული და აღწერილი ადამინთა სახის გამომეტყველება, მათი დამოკიდებულებები, პერსონაჟების ხასიათები არავერბალური ნიშნებით იმდენად კარგად არის გადმოცემული, რომ დამატებით ვერბალურ შეტყობინებას ის არ საჭიროებს.

კიბის ხარიხაზე ვეხი შედგა ზვიადმა თუ არა, ეზოსმოძღვარმა კვლავ გამოჰყო ტალანიდან თავი.

მობრძანდით, ზვიად ბატონი, – შემოევება ღიმილით ხტუმარს, მარად მოღუშელი, შეყრილი წარბეგი არც კი გაუხსნია ზვიადს, ისე მიუგდო „მწუხრი მშვიდობისა“ ხუცესს და ღია კარში შეახწო ანაზდად.

ხაწოლი დარბაზის კარი ღია იყო. შიგ შეხვდამდის თვალი მოჰკრა ზვიადმა მელქისედეკის გაფითრებულ ხახებ, უზარმაზარ ბალიშებ მოლად დალუშდა.

ზვიადს ისეთი დაფანწვული წარბეგი და გრძელი წამწამები ჰქონდა, მძინარე ეგონებოდა უცხოს. მიუხედავად ამისა, გაუმხედველ ზრახვათა შეცნობის დიდოსტატიც იყო ზვიად სახასალარი.

როცა მისალმებანი და ურთიერთ მოკითხვა მოთავდა, ერთბაშად ღიდი უხერხულობა შეიცნო ზვიადმა, ამაოდ ეძებდა კათალიკოსთან გასაუბრების საგანს, მაგრამ იგი არ აღმოჩნდა ანაზდად.

ეზოსმოძღვარი ვეხზე იდგა, პირში შესციცინებდა სახასალარს, თავისი რჩხია, ცერცვისფერი თვალებით უუბნებოდა თითქოს: ხოჭი ბარებ, რისთვის მოსულხარ? სულ ერთია, უთქმელადაც კოველივე ვიციო.

გაციებული კამებივით ქშინავდა შავწერა გოლიათი მამაი სტეფანოზ, ასრუტუნებდა ბუკივით მხევილსა და მეჭეჭიან ცხვირს, წარამარა ხელს იხვამდა ფაფუქ ღიპამდის მიღწეულ წვერზე.

ძლივს აფახულებდა დიდრონ თვალებს წვერგაბურბგნილი მიტროპოლიტი რაუდენი, თრიაქით მთვრალს მიუგავდა სახე, პირმოკუმული იჯდა თხაწვერა მოხუცი ბერი გაიოზ, ცხვირმოკლე და უშავეთილი მოხუცი.

კათალიკოსმა წამუყო და ეზოსმოძღვარი ციუკივით დაუუნიდა სელის სკამზე. მის გამოხედვაში ცნაურდებოდა ის ველური სიფხიზლე, მინდვრის ვირთხას რომ ეტყობა ხოლმე, გელის პირად ახლადგამოსულს სოროდან (გამსახურდია 1979:137-138).

ადამიანის სახე ხომ ძალიან პლასტიკურია და შეუძლია სხვადასხვანაირი გამომეტყველება მიიღოს. ითვლება, რომ სახის გამომეტყველებაში 55 კომპონენტი მონაწილეობს (Пиз 2006:10). ყველაზე კარგად გამოკვლეულია ლიმილი. ასე ჩვენ შეგვიძლია გადმოვცეთ სიხარული საჩუქრის მიღებისას, თუმცა ადამიანური ემოციების გამოვლენის სხვადასხვა ფორმას სპეციფიკური ხასიათი აქვთ, მაგალითად: სიცილი ყველა დასავლურ ქვეყანაში ასოცირდება სიხარულთან და ხუმრობასთან, იაპონიაში, სიცილი მორცხვობისა და არამდგრადობის ნიშანია, ამიტომ ზოგჯერ გაუგებრობას ვაწყდებით, როცა ევროპელი ბრაზდება, ხოლო იაპონელი პარტნიორი მორცხვად იღიმის. თუ ევროპელმა არ იცის იაპონური კულტურის ეს თავისებურება, იგი განრისხდება, რადგანაც იფიქრებს, რომ მას დასცინიან.

როგორც წესი, ადამიანები მეტ-ნაკლებად ცდილობენ გააკონტროლონ სახის გამომეტყველება (მიმიკა), მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ პარალელურად მიმდინარე მრავალი არავერბალური სიგნალიდან ადამიანს შეუძლია ერთდროულად მხოლოდ ორი ან სამი აკონტროლოს, სათანადო ცოდნისა და გამოცდილების შემთხვევაში, შესაძლებელია იმ გრძნობებისა და მისწრაფებების ამოცნობა, რომელთა დამალვასაც ასე ცდილობს თქვენი მოსაუბრე.

მოვიყენოთ მაგალითი დ. შენგელაიას რომანიდან „ბათა ქექია“:

დანელიამ თვალი შევვასწო, მიხედა, რა ცეცხლიც გვდაგავდა ორივეს, მაგრამ არა დაუმჩნევია რა. წვერზე ორთავ ხელი იხვევ თარსულად ჩამოისვა და შებლი კუმბად რომ შეიკრა, შევატყვე, ბუნებაში თავისთვის გაიანგარიშა

უკუღმართი რამ, მივხვდი, რომ ისევ გამყიდა, მაგრამ მის ასაგალ-დასაგალს რას მივხვდებოდი, ამბავი ისევ გავნაგრძე (შენგელაია 2010:104).

ან კიდევ: რუსიკოს ავხედვ, იდგა და გამჭოლი, მომლოდინე მზერით მიუკრებდა. დაძაბულობა მხოლოდ მოკუმულ ტუჩებზე ეტყობოდა (შატაიძე 2010:114).

საქმიანი მოლაპარაკებების დროს სახის გამომეტყველების საკმაოდ ფართო დიაპაზონზე შეგვიძლია დაკვირვება. მის ერთ-ერთ პოლუსზეა ადამიანი – აგრესიულად და ხისტად განწყობილი – რომლისთვისაც მოლაპარაკებებზე რაღაცის დათმობა სიკვდილის ტოლფასია. ასეთი ადამიანი, როგორც წესი, პირდაპირ თვალებში გიყურებთ, მისი თვალები ფართოდ გახელილი, ტუჩები – მოკუმული, წარბები კი შეჭმუნილია; საუბრისას ის ცრის სიტყვებს, რადგან ტუჩებს თითქმის არ ამოძრავებს. საექტრის მეორე ბოლოშია კარგი მანერებისა და ბავშვური გამოხედვის მქონე, შუბლგახსნილი და ოდნავ მოდიმარი, კონტაქტური ადამიანი, რომელიც, სავარაუდოდ, ფიქრობს, რომ თანამშრომლობა დინამიკური და მოქნილი პროცესია. ადამიანის ემოციების სიწრფელეზე მიმიკის სიმეტრიულობა მეტყველებს; რაც უფრო მეტია სიყალბე და სიცრუე, მით უფრო განსხვავდება სახის მარცხენა და მარჯვენა ნახევრების მიმიკა. საერთოდ, ნებისმიერი გამომეტყველება სახეზე საკმაოდ ხანმოკლეა და ხშირად შეუმჩნეველი რჩება. მისი დაჭერისა და ამოცნობისთვის სპეციალური ვარჯიში და პრაქტიკა საჭირო. ამასთან, დადებითი ემოციები (სიხარული, ბედნიერება) ყოველთვის უფრო იოლად ამოცნობადია, ვიდრე უარყოფითი (სირცხვილი, დამწუხება, ზიზღი). განსაკუთრებით გამომხატველი და ადვილად მისახვედრია ადამიანის ტუჩების მოძრაობა. ბევრმა იცის, რომ ტუჩების მოკვნება მოუსვენრობასა და შფოთვაზე მეტყველებს, ხოლო ცალ მხარეს მოღრეცილი პირი სკეპტიკური განწყობის ან დაცინვის ნიშანია.

მიმიკის პალიტრაში გამომხატველია არა მხოლოდ ტუჩები, არამედ წარბებიც, ამიტომ როდესაც გვსურს გავიგოთ თანამოსაუბრის მდგომარეობა, აუცილებელია მათზე ყურადღების მიპყრობა.

თანამოსაუბრის მდგომარეობის საფუძველს შეადგენს სახის რეაქციის ექსი სისტემა, რომლებიც კონკრეტულად გამოხატავენ გაკვირვებას, შიშს, მრისხანებას, ზიზღს, სიხარულსა და მწუხარებას (ამინოვი 2009: 132). მოკლედ გავეცნოთ თითოეულ მათგანს.



გაკვირვება – ეს არის მომენტალური რეაქცია. იგი ყოველთვის მყისიერად აღმოცენდება. თუ არის დრო იმის გასააზრებლად, რამაც შეიძლება გაკვირვება გამოიწვიოს, გაკვირვება სახეზე არ ფიქსირდება. გაკვირვება-გაოცების სტიმულებია: ობიექტის გარეგნობა, ხმა, სუნი, რაიმესთან შეხება, შეტყობინება და ა.შ.

გაკვირვების რეაქციის ძირითადი გამოხატულებებია: წარბები ზევითაა აწეული, შუბლზე არის ფართო ნაოჭები; თვალები ფართოდ, მოდუნებულადაა გახელილი, ფერადი გარსის ზემოთ ჩანს თეთრი სკლერა; შესაბამისად, პირი გადებულია, უნდა აღინიშნოს, რომ ეს კონტროლირებადი რეაქციებია. ისინი შეიძლება ადამიანმა შეიკავოს, მაგრამ მიუხედავად ამისა, როგორც წესი, მაინც გამოვლინდება.

შიში არის ემოცია, რომელიც აღმოცენდება ადამიანისათვის განსაკუთრებით საშიში რაიმეს ჭვრეტისას. მისი მიზეზი შეიძლება იყოს ფიზიკური ტკივილის, რაიმე არასასიამოვნო მოვლენის მოლოდინი, რომელთა თავის არიდებაც ამ ადამიანს არ შეუძლია.

შიშის რეაქციის ძირითადი გამოვლინებებია: აწეული, დაჭიმული და მოკრუნჩული წარბები, მოკლე ნაოჭები შუბლზე; გახელილი თვალების ზემოთ

ჩანს თეთრი სკოლა, ქვედა ქუთუთო ძალზე დაჭიმულია, ტუჩები გახსნილია, ძლიერად დაჭიმული და უკან გაწეული. შიშის გამოხატვა გაპირვების გამოხატვისაგან განსხვავდება ოთხი მომენტით:

- გაპირვების რეაქციის დროს ნაოჭები გადის მთელ შუბლზე, შიშის რეაქციის დროს კი ისინი მოკლეა და კონცენტრირდება ცხვირის ფუძესთან;
- გახელილი თვალები დაძაბულია;
- გაღებული პირი უფორმოდ დამახინჯებულია, ტუჩები დაძაბული;
- გაპირვება წამიერი რეაქციაა, შიში კი – უფრო ხანგძლივი. ზოგჯერ შიშის ემოცია შეიძლება შეერწყას გაპირვებას. ეს ხდება იმ შემთხვევაში, როცა მკვეთრი მოვლენები მოულოდნელია და წარმოიქმნება მომენტალურად.

ამა თუ იმ ემოციის თანმიმდევრობაში პირველობის და მდგრადობის მიხედვით შეიძლება მსჯელობა იმის შესახებ, თუ რომელი ჭარბობდა: შიში თუ გაპირვება.

მრისხანება (სიბრაზე) – წარმოადგენს ფსიქიკური აშლილობის, ფიზიკური მუქარის ან ვინმესადმი ფსიქოლოგიური ან ფიზიკური ზიანის მიყენების გამსაზღვრის შედეგს. მრისხანებისას ადამიანს უწევს სისხლის წნევა, რის შედეგად უწითლდება სახე, საფეთქლებზე – ყელზე ებერება ვენები, უხშირდება სუნთქვა, ეჭიმება კუნთები.

მრისხანების ძირითადი გამოვლინებებია: წარბების შეჭმუხვნა, მათ შორის წარმოიქმნება ვერტიკალური ნაკეცები, წარბების გარე კიდეები აწეულია, შუბლზე არ არის ჰორიზონტალური ნაოჭები, თვალები მოჭუტულია, ტუჩები დაძაბულად მოკუმული, ზოგჯერ სახის დამანჭვისას შიშვლდება კბილები.

მრისხანების (სიბრაზის) მაკონტროლებელი რეაქციები პრაქტიკაში ვლინდება ორი სახით. მრისხანების პირველი სახესხვაობის გამოვლენისას მის ინდიკატორს წარმოადგენს მხოლოდ წარბები, სახე კი რჩება ნეიტრალური. ამას შეიძლება ადგილი ჰქონდეს, როცა თანამოსაუბრე:

- განიცდის მსუბუქ გაღიზიანებას;
- წყვეტს რაიმე როტულ, ამოუხსნელ პრობლემას;
- ურადღების კონცენტრირებას ახდენს რაიმეზე;
- კრიტიკულად აფასებს სიტყვებს, საქმეებს, ქცევებს;

- ცდილობს გარშემომყოფთა წინაშე დამალოს თავისი გაბრაზება.
- მრისხანების მეორე სახესხვაობის გამოვლინებას გვამცნობს:
- წარბები და ქუთუთოები;
- პირი და ქუთუთოები.

ეს ხდება მაშინ, როდესაც ადამიანი ისმენს რაიმე ძალიან გრძელ, განმეორებებით სავსე, უინტერესო ცნობებს.

ზიზდი წარმოადგენს რეაქციას გემოს, ხმის, სუნის, შეხების შეგრძნებაზე. ბუნებრივია, ასეთი ობიექტის ზემოქმედება და მასზე რეაქციის გამოვლინება დამოკიდებულია დამკვირვებლის კულტურაზე და სიტუაციაზე, რომელშიც ის იმყოფება. ზიზდის ძირითადი გამოვლინებებია: ჩამოწეული წარბები; შუბლზე ნაოჭების არარსებობა, დახურული, თითქმის მთლად დახუჭული თვალები, პირის კუთხეები ჩამოწეული. ზოგჯერ ზიზდის ძლიერი ხარისხისას პირი გაღებულია, ცხვირი— დანაოჭებული. ადამიანებისადმი ზიზდი, ჩვეულებრივ, გამოვლინდება სიძულვილში.

სიხარული განიცდება, როგორც სასიამოვნო, აღმგზნები, განწყობის ამამაღლებელი, რაიმე არასასიამოვნოს ან საშიშის შემამსუბუქებელი შეგრძნება. ზოგიერთ შემთხვევაში იგი შეიძლება შეერწყას გაკვირვებას, ამ დროს, როგორც წესი, გაკვირვების რეაქცია ფიქსირდება მხოლოდ წამიერად. ძალიან ხშირად სიხარულის ექსპრესიებით ინილება ბრაზი და შიში. სიხარულის რეაქციის ძირითადი გამოვლინებებია: წარბები და შუბლი თითქმის არ მონაწილეობენ ექსპრესიის ფორმირებაში; თვალები ხშირად ვიწროვდება და ბრწყინავს, ტუჩების კუთხეები ამ დროს ზევით იწევს, პირი იჭიმება დიმილში.

მწუხარება (ნაღველი) ყველაზე ხშირად გამოწვეულია რაიმე დანაკარგით. იგი სახეზე ფიქსირდება რამდენიმე წუთიდან რამდენიმე დღემდე. ამ ემოციას გააჩნია საკმაოდ ფართო დიაპაზონი – დარდის მდგომარეობიდან მწუხარებამდე და ტანჯვამდე. მწუხარების რეაქციის პირადი გამოვლინებებია: წარბები ერთადაა მიწეული, გარე დაბოლოებები ჩამოწეულია, წარბების შორის ჩნდება მცირე ვერტიკალური ნაკეცები; შუბლის ცენტრში მოკლე ნაოჭებია; თვალები ცოტათი გაორებულია და ქვედა და ზედა ქუთუთოებს შორის იქმნება სამკუთხედის ფორმის ნაკეცი, პირის კუთხეები ქვემოთაა ჩამოწეული.

როგორც წესი, ემოციები აღმოცენდება რაიმე გამდიზიანებელზე. ამასთან, ემოციის გამოსახატავად მიმიკური მოძრაობის არსენალი ერთი და იგივეა: შიში იწევს სახის დაძაბვას, სიხარული – მოდუნებას და ა.შ.

ვ. ვ კუპრიანოვის აზრით, ემოციის გარეგანი გამოხატულება, როგორც წესი, გადის თავის სტადიებს და გააჩნია თავისი შესაკრებები: დარდი გარდაიქმნება სეგდად, სევდა – ნადველად, ნადველი – ღრმა მწუხარებად, ნამდვილ ტანჯვად. ემოციის გაზრდა ყოველთვის იწვევს მიმიკის გაძლიერებას. ასეთი თანმიმდევრობა ადგილად შეიძლება შევამჩნიოთ სახეზე ტირილის განვითარების დასაწყისიდან ისტერიულ მოთქმამდე, ან დიმილის გადასვლისას ჰომერულ სიცილამდე (Куприянов 1988:45).

ცალკე საუბრის თემაა ადამიანის **დიმილი**. ზოგადად, დიმილიანი სახე მეგობრულ განწყობასა და მოწონების სურვილს გამოხატავს, თუმცა, დიმილს შესაძლოა ბევრი სხვადასხვა მოტივი ედოს საფუძვლად:

- გადაჭარბებული დიმილიანობა – მოწონების მოთხოვნილებაზე მეტყველებს;
- მოღრეცილი ღიმილი – შეკავებული ნერვიულობის ნიშანია;
- ღიმილი აწეული წარბებით – დამორჩილების მზაობას გამოხატავს;
- ღიმილი დაწეული წარბებით – უპირატესობას აღნიშნავს;
- ღიმილი ქვედა ქუთუთოების აწევის გარეშე – არაგულწრფელობის მანიშნებელია;
- ღიმილი, რომელსაც თან სდევს თვალების მუდმივი გაფართოება (დახუჭვის გარეშე) მუქარის მანიშნებელია. (Scollon 1994: 79)

იგივე ითქმის თვალებით კონტაქტზე, ძალიან მნიშვნელოვანია თვალით კონტაქტის შენარჩუნება; მაგ: მომხსენებელს, რომელიც ჭერში იყურება, იატაკს მისჩერებია, ან მხოლოდ ერთ ადამიანს უყურებს, ძალიან გაუჭირდება მსმენელის ყურადღების მიქცევა და მათი დაინტერესება. თვალით კონტაქტით მომხსენებელს ზუსტად შეუძლია უკავშირის მიღება.

თვალებით კონტაქტის შესახებ მრავალტომეულის დაწერა შეიძლება. მეცხრამეტე საუკუნის ესპანელი ქალი თვალებით და მარაოს მოძრაობით ახერხებდა ისეთი ტიპის ინფორმაციის გადაცემას, რომლის სახალხოდ გამოთქმა სხვაგარად ვერ მოხერხდებოდა. ინდიული ქალები თავიანთ ცეკვაში არავერბალური კომუნიკაციის მთელ არსენალს იყენებენ, დაწყებული ჟესტებიდან, დამთავრებული სხეულის მოძრაობით.

თვალებით შესაძლებელია სხვა არავერბალური ქცევის მოდიფიცირება. მაგალითად, მეტოს ესკალატორზე ან სხვა ხალხმრავალ ადგილას თვალის

არიდების მეშვეობით შესაძლებელი ხდება პიროვნული სიკრცის სიმცირის კომპენსირება.

ძალიან ხშირად გვესმის ფრაზა: თვალებში ამოვიკითხეო. ემპირიული მასალის საფუძველზე გამოვავლინეთ, რომ ქართულ კულტურაში თვალებით კონტაქტს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, გავიხსენოთ თუნდაც ქართული მხატვრული ფილმი “გარიგება”, სადაც მიტო შემდეგ სადღეგრძელოს ამბობს: შემოფენებისა იყოს, იმ თვალების შემოფენებისა, თქმით რომ არაფერს ამბობს, მაგრამ წამით მარადიულობას გაგრძნობინებს. ქართველისათვის თვალები მეტად სარწმუნო იარაღია იმის ამოსაცნობად, სიმართლეს ამბობს თუ არა თანამოსაუბრე.

მასპინძლის უურადღებით წაქეზებული მე ამბავს იხევ გატაცებით განვაგრძნობდი და თან ვხედავდი, თვალყურს ვადგვნებდი, როგორ განიცდიდა ხიდუ ჩემს ფასურაკებს და როგორ სჯეროდა ალალი გულით ყველაფერი (შენგელაია 2010:103).

ფსიქოლოგი სტეპანოვი მიიჩნევს, რომ თვალების მეშვეობით ადამიანთა ურთიერთობის ყველაზე უფრო ზუსტი და ღია სიგნალები გადმოიცემა, რადგან თვალის გუგა აბსოლუტურად დამოუკიდებლად იქცევა და მისი კონტროლირება შეუძლებელია. როდესაც ადამიანი არა გულწრფელი, ან რაღაცას მალავს, მისი თვალები თქვენსას ურთიერთობის მთლიანი დროის მხოლოდ 30%-ის განმავლობაში ხვდება (Степанов 1998: 67).

თუ ადამიანი თქვენთან ურთიერთობის დროს თვალებით კონტაქტს ხანგრძლივად ინარჩუნებს და მისი გუგები გაფართოებულია, ეს ნიშნავს, რომ თქვენ მას მოსწონხართ. თვალებით პირველ კონტაქტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქმიან ურთიერთობებშიც. პირველი შეხვედრის და მისალმების დროს პარტნიორები, როგორც წესი, აუცილებლად უყურებენ ერთმანეთს თვალებში, რადგან ადამიანის მიერ მეორე ადამიანის ცნობიერი აღქმა მხოლოდ უშუალო მხედველობითი კონტაქტის მეშვეობით ხდება. თუ გამოხედვის ამგარი რიტუალური გაცვლა არ გამოვიდა, მოსაუბრე თავს იგნორირებულად და შეურაცხყოფილად ჩათვლის („მან სათანადო ყურადღება არ მომაქცია“). საქმიანი ურთიერთობების, მაგალითად, მოლაპარაკებების დროს, მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ საით არის მიმართული თქვენი ან თქვენი პარტნიორის მზერა.

მიმიკის ნათელი ინდიკატორია წარბები, პირი, ცხვირი განსაკუთრებით – თვალები; ამიტომად ადამიანის გამოხედვა ასე მრავალფეროვანი. პ. გამსახურდიას “დიდოსტატის მარჯვენაში” აღწერილი აქვს გამოხედვის ტიპები, რომელიც ადამიანის ემოციურ მდგომარეობას ასახავს, მაგალითისთვის: ხმალივით შეაგება მზერა; ჯიქურ შეხედა; ირმისფერი თვალების ყალბი ციმციმი. თვალი პკიდა შეფარვით; ესროლა მზერა; შეფარვით მზერა; ქორული მზერა; დაძაბული მზერის სიმძაფრე; მომნუსხველი მზერა; დაუინებული მზერა; თვალი თვალში გაუყარა; გამომცდელი შემოხედვა; იდუმალ ჭკრება; გაოცებული შესცეკროდა; თვალი არ გაუმართავს; ზედაც არ შეუხედავს; ბოროტი მზერა; ნაღვლიანად გაჰქიდა..

არავერბალური კომუნიკაციის, სხეულისა და შესტების მკვლევარი ა.პიზი გთავაზობთ გამოხედვის (მზერის) შემდეგ კატეგორიებს (Пиз 2006:181-182).

საქმიანი მზერა: საქმიანი მოლაპარაკებების წარმოებისას წარმოიდგინეთ, რომ თქვენი მოსაუბრის შუბლზე სამკუთხედია გამოსახული. ამ სამკუთხედზე მზერის მიმართვით თქვენ სერიოზულ ატმოსფეროს შექმნით და მოსაუბრეს აგრძნობინებთ, რომ საქმიანად ხართ განწყობილი;

სოციალური მზერა: როდესაც თქვენი მზერა მოსაუბრის თვალების დონესთან შედარებით უფრო დაბლა ეშვება, სოციალური ურთიერთობის ატმოსფერო იქმნება. კვლევებმა აჩვენა, რომ სოციალური ურთიერთობის დროს ადამიანები ისევ და ისევ პირობით სამკუთხედს უმზერენ, ოღონდ, ამ შემთხვევაში, ეს სამკუთხედი თვალებისა და პირის არეზეა მოთავსებული;

ინტიმური მზერა: მზერა მიმართულია არა მოსაუბრის თვალებზე ან სახეზე, არამედ, სახის ქვემოთ – კისრის ან მკერდის არეზე. ასეთი მზერით ადამიანი გამოხატავს ამ კონკრეტული ურთიერთობის მიმართ უფრო მეტ ინტერესს, ვიდრე უბრალოდ საქმიანს.

ცერად გამოხედვა: ინტერესის ან მტრული განწყობის გამოსახატავად გამოიყენება. თუ მას თან ერთვის ოდნავ აწეული წარბები ან დიმილი - ეს დაინტერესებაა. თუ წარბები დაშვებულია, ხოლო შუბლი მოღუშული – ეს უკვე გაჭიან, მტრულ ან კრიტიკულ დამოკიდებულებაზე მეტყველებს.

დაშვებული ქუთუთოები: ეს ქვეცნობიერი სიგნალია. ადამიანი, რომელიც დაშვებული ქუთუთოებიდან გიყურებთ, ცდილობს, თვალთახედვის არიდან მოგიშოროთ. მიზეზი შესაძლოა მრავალი იყოს: თქვენ მას ან მობეზრდით, ან აღარ აინტერესებთ, ან ცდილობს, საკუთარი უპირატესობა გაგრძნობინოთ.

უპირატესობის ხაზგასმის შემთხვევაში, დაშვებულ ქუთუთოებს თან ახლავს უკან გადაწეული თავი და ხანგრძლივი, ე.წ. “ქედმაღლური” მზერა. ასეთი მზერის შენიშვნისას გაითვალისწინეთ, რომ თქვენი ქცევა უარყოფით რეაქციას იწვევს და თუ მოლაპარაკებების წარმატებით დასრულება გსურთ, უმჯობესია, რაღაც შეცვალოთ. თანამედროვე დასავლურ ბიზნესკულტურაში ფასობს ზომიერი კონტაქტი თვალებით, ხოლო თვალის არიდება ურთიერთობის სურვილის უქონლობად განიხილება, თუმცა ის მოსაზრებაც, თითქოს, საქმიანი შეხვედრის დროს რაც მეტად დაამყარებთ თვალებით კონტაქტს, მით უკეთესია – უდავოდ გადამეტებული და მცდარია. წარმოიდგინეთ, რომ ადამიანი მოვიდა თქვენთან გამოცხადებულ ვაკანსიასთან დაკავშირებით, თქვენ მისგან ინტერვიუს იღებთ, ის კი მოგჩერებიათ და თვალს არ გაშორებთ. უმეტესობა იოლად იტანს ხანმოკლე, რამდენიმე წამიან კონტაქტს თვალებით, მაგრამ მისი გაგრძელების შემთხვევაში ადამიანები იძაბებიან, რადგან ვარაუდობენ, რომ ასეთი დაჟინებული მზერის მიღმა კიდევ რაღაც (მაგალითად, არშიყობის მცდელობა) იმალება.

ამრიგად, მხედველობითი კონტაქტი შეიძლება იყოს ხანგრძლივი (მაგალითად, ორი შეევარებულის ერთმანეთისკენ მიმართული მზერა) ან ელვისებური (როდესაც მზერას წამიერად ვესვრით ადამიანს, რომელსაც აშკარად არ სურს ჩვენი ყურადღება) ის შეიძლება იყოს პირდაპირი (აშკარა, უცერემონიო, მოურიდებელი შეთვალიერება). განვიხილოთ ნაწყვეტი „დიდოსტატის მარჯვენიდან“:

შორენა აწი ვეღარ გახდება სხვისი, რადგან ჭიაბური აღარაა ამქვეყნად, ხოლო ირმის ჯოგი? ირმის ჯოგი... ვნახოთ, რა მოხდება ამაღამ-, ეს გაიფიქრა მეფე გიორგიმ და ჯიქურ შეხედა კოლონკელიძის თაფლისფერ თვალებს. ამ წუთში ვერავითარი მზაკვრობა ვერ დაიჭირა ამ თვალებში.

მეფე შეფარვით უმზერდა მის გვერდით მჯდარ შორენას და მამაკაცის ქორულმა მზერამ ეს შენიშნა: ისეთ მიჯნამდის მიწეულიყო მგლოვიარე სახძლო, როცაა ქალობა სძლებებ ხოლმე გლოვას და დიაცერი სიკელუავე თავის მშვენების გამოსახენად მოირგებს სიმძიმილის ნიშნად სატარუბ სამოსსაც. (გამსახურდია 1979:69).

ზერელე მხედველობითი კონტაქტი შეიძლება ასევე შეიძლება იყოს პერიოდული (მზერის მსგავსი, რომელსაც მივაპყრობთ თანამოსაუბრეს, რათა დაგრწმუნდეთ, რომ ის ყურს გვიგდებს) ან დაჟინებული (მოუწყვეტელი).

უმეტეს შემთხვევაში ხშირი ან ხანგრძლივი მზერა იწვევს უსიამოვნო შეგრძნებებს. დაუინებული დათვალიერება, ჩვეულებრივ, აღიქმება, როგორც უკულტურობის გამოვლინება. უწყვეტი მზერა უტყუარი ხერხია ადამიანის პროგოცირებისა და მისი სულიერი წონასწორობიდან გამოყვანისა.

გამომხატველ მზერათა შორის არის უნივერსალურებიც, რომლებიც მთელს მსოფლიოში (ან თითქმის ყველგან) ერთმნიშვნელოვნად აღიქმება:

- ძალზე ფართოდ გახელილი, “დაჭყებილი” თვალები, ჩვეულებრივ, აღიქმება როგორც მაქსიმალური ინფორმაციის მიღებისაკენ არაცნობიერი სწრაფვა, რათა არ გამოეპაროს წვრილმანებიც კი;
- თვალებმოჭუტული მზერა – აღნიშნავს დაუინებულ ყურადღებას, დაკვირვებას, რაიმე ქცევის განხორციელების მზაობას. გარდა ამისა, თანამოსაუბრის თვალებმოჭუტულ მზერას, ჩვეულებრივ, აფასებენ, როგორც არაკეთილმოსურნეს;
- დახუჭული თვალები – ეს არის თავის თავისკენ ყურადღების მიპყრობა, გულმოდგინე ფიქრი, ტკბობა, თვალების ხანმოკლე დროით დახუჭვა შეიძლება აღნიშნავდეს თანხმობის, გაგების გაუცნობიერებელ გამოხატვას;
- მხოლოდ ერთი თვალის მოხუჭვა, თვალის ჩაკვრა – არის სხვასთან საიდუმლო თანხმობის ნიშანი, კოკეტურობა;
- გაძლიერებული და არათანაბარი ხამხამი (თვალის კვრა, პაჭუნი) გამოხატავს სირთულეს, ნევროზულობას;
- გუგების შევიწროება ან გაფართოება მოწმობს ინტერესის გაძლიერებას ან შესუსტებას. აღგზნების, შიშის, დროს გუგა ფართოვდება, მოდუნებისას – ვიწროვდება;
- პირდაპირი მზერა და პარტნიორისადმი მთლიანად მობრუნებული სახე გამოხატავს თანამოსაუბრის აღიარებას, მისდამი ინტერესს;
- უსასრულობისკენ, პარტნიორის “მიღმა” მიმართული მზერა აღნიშნავს თანამოსაუბრისადმი უინტერესობას, ხაზს უსვამს უპატივცემულობას. ასეთ მზერას უფრო ძლიერად გამოჰყავს ადამიანი წონასწორობიდან, შეიძლება გამოიწვიოს საპასუხო აგრესიული რეაქცია.
- მხრის ზემოთ ირიბად მზერა – ესეც არის უპატივცემულობა, უგულებელყოფა ან სიფრთხილე, დაკვირვება;

- მზერა ზევიდან ქვევით – ადმატებულობა, სიამაყე, უგულებელყოფა;
- თვალების სახასიათო ტრიალი – ვინმესთვის ფარულად გადაცემული შეტყობინება, რომ სიტუაცია გაუსაძლისად მოსაწყენია;
- ფიქსირებული, მყარი, პირდაპირი გამოხედვა მოჭუტული (გამჭოლი) თვალებით ფასდება, როგორც უნდობლობაზე დაფუძნებული კრიტიკული შემოწმება ან როგორც მოურიდებლობა და აგრესიულობა;
- არასაკმარისი მხედველობითი კონტაქტი მოწმობს უყურადღებობას, პატივისცემის გამოხატვის სურვილის უქონლობას. ეს აღიქმება როგორც მისი უპატიოსნო ჩანაფიქრის მოწმობა ან გაუბედაობის გამოვლინება;
- ადამიანი სხვისდამი დიდ მხედველობით უურადღებას გამოხატავს შემდეგ ვითარებებში: როცა საუბარი ატარებს თავშესაქცევ ხასიათს და არ მოიცავს პრობლემურ საკითხებს; როცა მისთვის საინტერესოა თანამოსაუბრე, მისი შეხედულება და რეაქციები; როცა თანამოსაუბრისადმი განწყობილია სიმპატიითა და განიცდის უფრო ღრმა გრძნობას; როცა ის ცდილობს თანამოსაუბრეზე დომინირებას ან გავლენის მოხდენას; და ბოლოს, როცა ადამიანი დამოკიდებულია სხვაზე, მას კი არანაირი გამოვლინება არ სურს.

უნდა გავითვალისწინოთ მხედველობითი კონტაქტის ეთნიკური თავისებურებები, რაც დიდ როლს ასრულებს ურთიერთობაში. ზოგ ქვეყანაში აკრძალულია ადამიანის აშკარა თვალიერება. კენიაში, მაგალითად, შემორჩენილია ჩვეულება, რომლის თანახმად სიძე და სიღედრი ელაპარაკებიან ერთმანეთს მხოლოდ ზურგ შექცევით. აღინიშნება განსხვავება ქალებსა და მამაკაცებს შორის: თანამოსაუბრისათვის თვალებში ცქერის უნარი მამაკაცებთან ნაკლებად არის განვითარებული, ვიდრე ქალებში, რომლებიც თანაბარ პირობებში უფრო ხანგრძლივად არ აცილებენ თვალს თანამოსაუბრეს.

ექსტი არის განსაკუთრებული სისტემა სიგნალებისა, რომლებიც გადაიცემა ხელების, ფეხების, თავის, სხეულის მოძრაობის საშუალებით. მეტყველების თანმხლები ექსტი ხშირად არის მოსაუბრის თავისუფლების მაჩვენებელი. იგი ხაზს უსვამს საუბრის ძალდაუტანებლობას, აძლიერებს სიტყვების დამაჯერებლობას და მჭევრმეტყველებას, ამოკლებს ვერბალურ ტექსტს, შეაქვს რა დიალოგში ესა თუ ის დამატებითი აზრები. დამოკიდებული რეპლიკის სახით, ან ვერბალურ გამონათქვამში ჩართვით, ექსტი მოიპოვებს უმდიდრეს ინფორმაციულ და ექსპრესიულ რესურსებს. სრულიად ცხადია, რომ

სხეულებრივი ენის სხვა ელემენტების მსგავსად, ჟესტები უფრო ეფექტურია ემოციის გამოხატვისას. აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ ჟესტები არის ადამიანის თვითგამოხატვის ნათელი საშუალება, მისი იმიჯის მნიშვნელოვანი ნაწილი.

ჩვენთვის, უპირველეს ყოვლისა, საინტერესოა ის ჟესტები, რომლებიც ყველაზე მეტად გავრცელებული, საზოგადოდ გასაგები და ტიპობრივია. მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ჟესტებისა და მიმიკური მოძრაობების სისტემით აგებულია თავისებური ფრაზეოლოგია, რომელსაც უწოდებენ “სომატურ გამოთქმებს” (სომა – ბერძნულად “სხეული) (ამინოვი, ერიაშვილი 2009: 141).

მხატვრული ნაწარმოების კითხვისას მუდმივად ვხვდებით პერსონაჟთა არავერბალური კომუნიკაციების ავტორისეულ აღწერას. მაგალითად: „მევებ ხელზე დაჯდომა ანიშნა თვალით; თავი აიღო გიორგიმ, ჯიქურად შეხედა სასალარის შავად შეყრილ წარბებს და უგუნებობის მიზეზი პკითხა; ბოლოს ამისა, სახის გამომეტყველებით, ან ხმის ნირით გამოარკვევდა მევს თუ რა წილი ედო თავად მამამზეს ამ საქმეში; მამამზეს მიწისფერმა გადაკრა (იგულისხმება შეკრთა, არ მოედოდა); ჭიაბურმა არ გაბედოს კოლონკელიძის ქალის, შორენას შერთვა (ესა თქვა და მუშტი დაარაკუნა ტაბლაზე მევემ), (ანუ დაემუქრა); ვაი ჩემს თავს! – სთქვა მამამზე, შებლზე შემოიკრა ხელი, – (ჩვენ ვხვდებით, რომ გაიგო, იძოვა, გაიხსნა) („დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა”)

საანალიზოდ ავიდოთ ნაწყვეტები ცნობილი ამერიკელი მწერლის სტივენ კინგის მოთხოვნებიდან “და ბუა მოვიდა... მის დანახვაზე ვეხები მიკანკალებს (იგულისხმება – შიში); ბილინგსმა მხრები აიჩება (გაიკვირვა, პასუხი არ ქონდა); შერლიც ბუამ იმსხვერპლა. – ბილინგსმა მკერდზე თითები აათამაშა (ნერვიულობის მაჩვენებელია); ბილინგსმა დაიფლუკუნა (იგულისხმება ატირდა).

იაპონელი მწერლის ედოგავა რამპოს მოთხოვნებიდან ფუკიას ტანში გაცრა – იგულისხმება ანერვიულდა; აკეტიმაც გულმხურალუდ უპასუხა და ხელისგული გადაიხვა თმაზე – შეკავებული მღელვარების ნიშანია; სახეს ოფლის მხევილი წვეთები უფარავდა – (მღელვარების, ნერვიულობისას). აკეტი მძაფრი ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდა ფუკიას სახეს, ის ახამხამებდა თვალებს (იგულისხმება დაბნეულობა).

ჟესტებსა და მის ფუნქციებზე საუბრისას, გ. კრეიიდლინი წერს, რომ ”საკომუნიკაციო აქტის დროს ჟესტების როლი მრავალფეროვანია: მათ

შეუძლიათ გაიმეორონ ან დუბლირება გაუკეთონ სამეტყველო ინფორმაციის აქტუალურ ნაწილს. მაგალითად, თითოთ, თვალებითა და თავით მინიშნება – ის უსტებია, რომლებიც თან ახლავს დეიქსიკურ ნაცვალსახელებს კომუნიკაციის პროცესში (Крейдлин 2002:183).

უსტებით ადამიანი ახდენს სხვა დანარჩენთან ერთად, თავისი გულწრფელობის, თავდაცვის განზრახვის, მოქმედებისადმი მზადყოფნის, აგრეთვე დარწმუნების, თუ გულგატეხილობის, ნდობის, ნევროზულობის, მიმღებლობის, მოლოდინის, ურთიერთობის ხასიათის და ურწმუნობის დემონსტრირებას. ადამიანი მიმართავს უსტიკულაციას მაშინაც კი, როდესაც მას ვერავის ხედავს, მაგალითად, ტელეფონზე ლაპარაკისას, ან მაგნიტოფონთან მუშაობისას.

- უსტებსა და კინესიკურ ქცევებს შეუძლიათ გამონათქვამის საპირისპირო აზრი განავითაროს. მაგალითად, სუბიექტი, რომელიც ირწმუნება, რომ არ დელავს, თუმცა ამაგდროულად თითებს იმტვრევს და ოთახში მოუსვენრად დადის;
- უსტებს შეუძლიათ ჩანაცვლონ გამონათქვამი. მაგალითად, თავის დაქნევა თანხმობის ნიშნად და ა.შ.
- უსტს შეუძლია ხაზი გაუსვას ან გააძლიეროს მეტყველების კომპონენტები. მაგალითად, როცა გამონათქვამს- „ აი ასეთი დიდი ” თან ახლავს ხელების ფართოდ გაშლა.
- უსტებს შეუძლიათ შეავსონ და დააზუსტონ ინფორმაცია;
- უსტებს შეუძლიათ რეგულატორის როლის შესრულება კომუნიკაციის დროს...” (Крейдлин 2002:173-174).

არავერბალურ სემიოტიკაში უსტების სემიოტიკური კლასების გამოყოფისას კრეიდლინი აღნიშნავს, რომ „უსტებში სამი სემიოტიკური კლასის გამოყოფა არის შესაძლებელი:

- დამოუკიდებელი ლექსიკური მნიშვნელობის მქონე უსტები, რომლებიც ვერბალურ კონტექსტებში დაუქვემდებარებლად გადმოგვცემენ აზრს;
- კომუნიკაციის სამეტყველო ან სხვა სახის ფრაგმენტების გამომყოფი უსტები;
- კომუნიკაციური პროცესის წარმართველი უსტები”.

კრეიდლინი იქვე აცხადებს, რომ ამ ჟესტებს დევიდ ეფრონმა შემდეგი სახელები უწოდა: პირველი სახის ჟესტებს ემბლემები დაარქვა, მეორე სახის ჟესტებს ილუსტრატორები და მესამე სახისას – რეგულატორები. როგორც კრეიდლინი წერს, ემბლემების უმრავლესობა ავტომომიური ხასიათისაა და საკომუნიკაციო აქტის დროს იზოლირებულად ფუნქციონირებენ. რაც შეეხება ილუსტრატორებს, მათ ვერბალური კონტექსტისაგან დამოუკიდებლად აზრის გადმოცემა არ ძალუმთ და შესაბამისად, კონტექსტისაგან იზოლირებულად ვერ მოქმედებენ. ილუსტრატორები ეს ის ჟესტებია, რომლებიც საკომუნიკაციო აქტის დროს მეტყველებას უწევენ აკომპანიმენტს. რეგულატორები კი დიალოგის პროცესს არეგულირებენ, ანუ მათ კომუნიკაციის პროცესის მარეგულირებელი ფუნქცია აკისრია.

ჟესტები შეიძლება იყოს **მარტივი** (შედგენილი ერთი მოძრაობისაგან მაგალითად: აუდიტორიაში ხელის აწევა გამოხატავს ხიტყვის წარმოთქმის სურვილს), **შედგენილი** (რამდენიმე ერთგვაროვანი მოძრაობა, მაგალითად: აპლოდისმენტი) და **რთული** (რამდენიმე არაერთგვაროვანი მოძრაობა – მარცხენა მხარეს გადაფურთხება).

ჟესტები შესაძლოა იყოს **ინსტინქტური** მაგ: ოფიციანტის დაძახებისას თავის დაქნევა. **მიბაძვითია** ჟესტები, როცა ერთი ადამიანი მეორეს პბაძვს. გამაფრთხილებელია შუქნიშანი და შაბლონები; **ინსტრუქციული** ჟესტებია ნიმუშია პოლიციელის მიერ გზის მიმართულების ჩვენება, ან კიდევ ესთეტიკურად დახვეწილი ჟესტები – მოძრაობები ცეკვისას, ან სუფრასთან.

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა კულტურის ხალხი ჟესტებს განსხვავებულად აღიქვამს, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, არსებობს ყველასათვის მსგავსი ჟესტებიც, სახელდობრ:

კომუნიკაციური ჟესტები – მისალმება, დამშვიდობება, ყურადღების მიქცევა, აკრძალვა, დარწმუნება, უარი, თანხმობა და სხვა;

შეფასებისა და ურთიერთობის ჟესტები -მოწონება, დაუკმაყოფილებლობა, ნდობა, უნდობლობა, დაბნეულობა, და სხვა (ჯოლია 2006: 100). არსებობენ აგრეთვე მიკროსეტები: თვალების მოძრაობა, ლოკების გაწითლება, წუთის განმავლობაში წამწამების ხამხამის რაოდენობის გაზრდა, ტუჩების პრანჭვა და სხვ.

ჯ. მიღმა გამოყო ქმედების ორი ტიპი: უმნიშვნელო ჟესტები, რომელიც წარმოადგენს ავტომატურ რეფლექსს, როგორიცაა თვალის ჩაკვრა, და

მნიშვნელობის ჟესტი, როცა ადამიანები ავტომატურად არ რეაგირებენ გარე ქმედებებზე. ისინი ამოიცნობენ ქცევის მნიშვნელობას სანამ მასზე პასუხს გასცემენ, ეს რთული პროცესია, მაგრამ იგი ვლინდება სხვა ადამიანებთან თითქმის ყველა ურთიერთქმედებებში. ჩვენ ასეთ ქცევებს ამოვიცნობთ, რადგან ბავშვობიდან გვასწავლიან, რომ მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ საგნებს, ქმედებებს და მოვლენებს. როცა ჩვენ მნიშვნელობას ვანიჭებთ რაიმეს, იგი სიმბოლო ან ცნება. ქმედება ან საგანი არის სიმბოლო სხვა ცნებისა, ქმედებისა და საგნისა. გამოწვდილი ხელი არის მისალმების, მუდარის, ან თავდასხმის სიმბოლო. მას შემდეგ რაც ჟესტებს მივანიჭებთ მნიშვნელობას, ჩვენ შეგვიძლია მასზე რეაგირება (ჟესტი იმდენად მნიშვნელოვანია ვერბალურ კომუნიკაციაში რამდენადაც მას დიდი მნიშვნელობა ენიჭება და ხშირად იყენებენ მეტყველებისას) (გვენცაძე 1986:29).

ურთიერთობის დროს ხშირად წარმოიქმნებიან შემდეგი სახის ჟესტები:

- შეფასების ჟესტები – ნიკაპის მოფხანა, საჩვენებელი თითის გაშვერა ლოყის გასვრივ, ფეხზე ადგომა და ბოლთას ცვმა და სხვა (ადამიანი ავსებს ინფორმაციას);
- დარწმუნებულობის ჟესტები – პირამიდის გუმბათისმსგაბსად თითების შეერთება, სკამზე ქანაობა;
- ოვითკონტროლის ჯესტები – ხელები ზურგს უქან, ამ დროს ერთხელს უჭირავსმეორე; სკამის საზურგებეზე ხელებით ჩაფრენილი ადამიანის პოზა და სხვა;
- კეთილგანწყობის ჟესტები – მკერდზე ხელების დადება, თანამოსაუბრესთან იმპულსური შეხება და სხვა;
- არაგულწრფელი ჟესტები – “პირზე ხელის დაფარება”, “ცხვირთან შეხება”, თანამოსაუბრესაგან კორპუსით შემოტრიალება, “თვალების ცეცება” და სხვა.
- უარყოფის ჟესტები – მკერდზე დაკრეფილი ხელები, უქან გადაწეული კორპუსი, ცხვირის წვერთან შეხება, გადაჯვარედინებული ხელები და სხვა;
- დომინანტური ჟესტები – პირზე ხელის აფარება, ცხვირთან შეხება, თანამოსაუბრესაგან კორპუსით შემოტრიალება, თვალების ცეცება და სხვა;

- ნერვოზულობისა და დაურწმუნებლობის ჟესტები – გადაფსკვნილი თითები, ხელისგულების ჩქმეტა, მაგიდაზე თითების კაკუნი, სკამის საზურგესთან შეხება, მასზე დაჯდომის წინ და სხვა.

ასევე არსებობს სიცრუის გამომხატველი ჟესტები. სიცრუის დროსადამიანები ხშირად ხელებს ჯიბეებში იწყობენ არაცნობიერად, ასე ადამიანი ინფორმაციის დამალვას ცრდილობს. პირზე ხელის აფარებაც არაცნობიერი მოქმედებაა, ასევე ტყუილს აღნიშნავს ყურზე ხელის მოსმა, ამ დროს, თითქოს საკუთარ თავს ყურს უწევს, რომ ის არ თქვას, რის თქმასაც აპირებს. ნიკაპზე ხელის მოკიდებაც ტყუილის ნიშანია, როცა ადამიანი ცრუობს პირდაპირ ვერ იყურებაა, ცდილობს თვალები დახაროს. ადამიანს ტყუილი და პოზის ხშირი ცვლა მღელვარების ნიშანია, ამ დროს მას რაღაცის დამალვა სურს, ერთ ადგილზე ვერ ისვენებს. მატყუარა ყოველთვის დაძაბულია და დახურულ პოზაში დგება, ფეხები შეიძლება რამდენჯერმე ჰქონდეს ერთმანეთზე შემოტარებული, ხელები – გულზე გადაჯვარედინებული, ხელისგულები კი – შიგ ჩამალული. სიცრუის თქმისას ხელ-ფეხი დაჭიმულია. როცა პირდაპირ საუბრისას ვხედავთ, რომ ჩვენი თანამოსაუბრე გულხელდაკრეფილია, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ რაღაცას ჩვენს ნათქვამში იგი არ ეთანხმება, მიუხედავად იმისა, რომ სიტყვიერ თანხმობას გვიცხადებს. სანამ ადამიანს გულზე ხელები აქვს დაკრეფილი, ის ინარჩუნებს უარყოფით განწყობას. საუბრის დროს სახეზე შეხება, განსაკუთრებით ცხვირზე, სიცრუის ფართოდ აღიარებული გამოხატულებაა. ასევე, პირზე ხელის აფარების დროს, მოსაუბრე ყველაზე ხშირად ტყუის. თუკი ადამიანს საგნები სხეულის პირდაპირ უჭირავს, მაგალითად, ხელჩანთა, ყავის ფინჯანი, ე.ი. მორცხვი და თავშეკავებულია, ანუ რჩება შთაბეჭდილება, რომ იმალება. თუ მოსაუბრემ საუბრისას ნიკაპი მოისრისა, ფიქრობს, რა გიპასუხოთ. ანალოგიურია სათვალის გასწორება: რესპოდენტი ტყუილის თქმას აპირებს, მაგრამ იწყებს ფიქრს, როგორ თქვას ის დამაჯერებლად. დიმილი მხოლოდ ტუჩების და პირის არეში – ხელოვნური დიმილი ტყუილის ნიშანია, ფეხის ფეხზე გადადება ინფორმაციის დამალვას ნიშნავს.

საკომუნიკაციო აქტი კომუნიკაციის მინიმალურ ერთეულს წარმოადგენს, რომელიც შეიძლება წარიმართოს როგორც ლინგვისტური საშუალებების გამოყენებით, ისე ჟესტიკულაციით, სხეულის მოძრაობით, სახის გამომეტყველებით და სხვა (Горелов 1980:89-90).

ეს იმას ნიშნავს, რომ საკომუნიკაციო პროცესში ჩვენ ვიყენებთ არამარტო სიტყვებს ანუ ვერბალურ ნიშნებს, არამედ სხეულის პოზას, ჟესტებს, სახის გამომეტყველებას, თვალების მოძრაობას და ა.შ. უველა ეს ნიშანი, ვერბალური თუ არავერბალური, მჭიდროდ არის დაკაგშირებული ერთმანეთთან და ისინი უდიდეს როლს თამაშობენ კომუნიკაციური პროცესის წარმართვაში. მათი საშუალებით შესაძლებელი ხდება ინფორმაციის შევსება, დაზუსტება, ჩანაცვლება და განსაზღვრა კომუნიკაციის პროცესში. იმისათვის რომ სუბიექტმა თავისი კომუნიკაციური ინტენცია გამოხატოს, მან ჯერ უნდა შეარჩიოს სასურველი ვერბალური ნიშნები, ანუ უნდა მოახდინოს საჭირო სიტყვათა სელექცია, შემდეგ უნდა გადაწყვიტოს როგორი ინტონაციით წარმოთქას გამონათქვამი, სახის როგორი გამომეტყველება მიიღოს სამეტყველო ქმედების დროს და ა.შ.

ამდენად, კომუნიკაცია შეიძლება წარიმართოს როგორც ვერბალურად, ისე არავერბალურადაც. საკომუნიკაციო პროცესის დროს, ინფორმაციის უმეტესი ნაწილი გადაიცემა იმ შემთხვევაში, თუ ვერბალურ ანუ სიტყვიურ გამონათქვამს თან ახლავს შესაბამისი არავერბალური მახასიათებლები. მეტყველების თანმხლებ არავერბალურ ნიშნებს შეგვიძლია ”პარალინგვიზმები” ვუწოდოთ. პარალინგვიზმებზე საუბრისას თ. გამყრელიძე აღნიშნავს: ”სამეტყველო კომუნიკაციის არავერბალური საშუალებები – ე.წ. პარალინგვიზმები – უშუალო ან ტელეკომუნიკაციის აუცილებელი თანმხლები კომპონენტებია; ისინი ავსებენ და აზუსტებენ ვერბალური საშუალებებით გადაცემულ ინფორმაციას და, ამდენად, ხელს უწყობენ კომუნიკაციის პროცესს” (გამყრელიძე 2003:448).

პარალინგვისტური ნიშნები უდიდეს როლს ასრულებს აზრისა და გრძნობების ნაირფეროვნების გამოსახატავად. მივედით დასკვნამდე, რომ სწორედ მათი საშუალებით ხდება შესაძლებელი დავაფიქსიროთ გამონათქვამის აქტუალური მნიშვნელობა და სწორი ინტერპრეტაცია გავუკეთოთ მას. მოვიყვანოთ მაგალითი ”მისტერ ფანიგ, – ვიდაცამ იდაყვზე შეახო ხელი. ჯერ კიდევ მათი თავხედობით ბრაზმორეული ფანიგი შეტრიალდა. სახეზე ისეთი სიმკაცრე ასახვოდა, რომ ახალგაზრდა ქალმა, რომელიც მიეახლა, უნებლიერ დაიხია. – თქ, ბოდიშს ვიხდი, თქვა ენის ბორძიკით და სახე, რომელიც თითქოს საგანგებოდ განათებოდა სწორედ ისეთი კადნიურებით, რომელსაც ფანიგი ეხება იყოს წყველიდა, შეუცდუნდა და თვითონაც ბაგშვივით დაიბნა, ხისხლი მტივნულად აუჩქროლდა ლოკებზე. – თქ, რა ხისულელება, – ფიქრობდა ის, –

რა სულელურ მდგომარეობაში ჩაიგდო თავი! ეს იდიოტური გაწითლება! მაგრამ ის ისე შემოტრიალდა მისკენ, თითქოს ცემას უპირებსო... თუმცა ეს არ იყო გაწითლებისთვის გამართლება, და ბოდიშსაც ისე იხდიდა, თითქოს ჯერ კიდევ სკოლის მოხაველე იყო, ის კი – მის პაში. იდიოტი! ან გულში თავის თავს შეუძახა და მშვენიერ შედეგსაც მიაღწია. ჯერ კიდევ ალისფერ სახეზე უზრუნველი ღიმილი აისახა, სული მოითქვა. – ბოდიშს ვიხდი, – ისეთი ხმით გაიმეორა, უბრალო და ირონიულ ბოდიშს რომ ნიშნავდა, მაგრამ რასაც თან ახლდა (ოჰ, იდიოტი, იდიოტი!) ნერვიული თრთოლა. – ვწუხვარ, რომ მყუდროება დაგირდვიეთ, მაგრამ ისე მინდოდა თქვენი გაცნობა... თქვენ რომ ჩამიარეთ... პაქსლიი 2011:14). დავაკვირდეთ იმ კინესიკურ პარალინგვიზმს, რომელიც თან ახლავს ადრესატის გამონათქვამს. დიალოგის დასაწყისშივე კარგად ჩანს, რომ პერსონაჟის ვერბალურ შეტობინებას არ ემთხვევა პარალინგვისტური მახასიათებლები, “ენის ბორბიკით”, სახე შეუცბუნდა”, “სისხლი აუჩქროლდა ლოკებზე”, “ნერვიული თრთოლა”. ყოველივე ეს ნათელი დადასტურებაა მდელვარებისა. ზემოთ მოყვანილი მაგალითის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პარალინგვისტური მახასიათებლების როლი ძალზე დიდია ვერბალური კომუნიკაციის დროს და მათ გარეშე წარმოუდგენელია კიდევ საკომუნიკაციო აქტის ეფექტურად წარმართვა.

ენათმეცნიერებაში ჩვეულებრივ გამოყოფენ ფონაციურ (“სამეტყველო”) და კინესიკურ (“მოძრაობით”) პარალინგვიზმებს. ფონაციურ პარალინგვიზმებად მიჩნეულია მეტყველების ისეთი მახასიათებლები, როგორიც არის, მაგალითად, ხმის ტემბრი, ინტენსივობა, მეტყველების ტემპი და სხვა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ფონაციური პარალინგვისტური კომპონენტები მეტყველების თანმხლები ელემენტები კი არ არის, არამედ მისი შემადგენელი და განუყოფელი მახასიათებლებია. სწორედ მათი საშუალებით ხორციელდება თითოეული სამეტყველო აქტი. აქვე აღვნიშნავთ, რომ ფონაციური პარალინგვიზმების უმრავლესობას უნივერსალური ხასიათი არ აქვს ყველა ენისათვის. არავერბალურ მახასიათებლებში ვგულისხმობთ პროსოდიულ და პარალინგვისტურ ნიშნებს. მეტყველების პროცესში შესაძლებელია გამოიყოს რომელიმე სიტყვა უკეთ წარმოსაჩინად, რაც ამ სიტყვის გაძლიერებულ ან ხმა მაღალ წარმოთქმაში გამოიხატება. მაგალითად, ინტონაციის მეშვეობით შესაძლებელია იმის განსაზღვრა, რას გამოხატავს მოქმედი: თხრობას, კითხვას,

ძახილს, გაკვირვებას, აღტაცებას, სასოწარკვეთილებას, გაჯავრებას, ალერსს და ა.შ. უფრო მეტიც, თითოეული მათგანის გამოსახატავად შესაძლებელია მრავალგვარი საშუალება გამოიყენებოდეს. ავიღოთ ნაწყვეტი “დიდოსტატის მარჯვენიდან” სწორედ ამით იდროვა სპასალარმა და ხელისგული ჩამოიხვა ნიკაპზე, მდელგვარება ძლიერ დაიოკა. სპასალარი უოველგვარ ენამზეობას მოკლებული იყო, უბრალო საუბარიც ძლიერ უჭირდა ბუნებით მდუმარებელაპარაკის დროს სახე ედრიჯებოდა, ცხვირის ნეხტოები ებერებოდა, მუშტებს იშველიებდა უნებლიერ, თითქოს ექადნებათ ვისმებს, წარამარა სიტყვას ეძებდა. მდელგვარების დროს წინადაღებას უმატებდა “არა”-ც. “თუ ძახილი კეისარი მართლაც უზენაესი მამა სრულიად საქრისტიანოსი, როგორც წელან ბრძანებ, უნეტარებო, რად აწამებინა მან სავსებით უბრალოდ ბერი ზაქარია?... იგი ხომ ჩვენს მიერ წარგ ზავნილი მხტოვარი არა ყოფილა?! არა? არც თუ წითელი წაღები გაუგ ზავნია მიხი მეშვეობით კომნინისთვის მევე გოირგის. იერუსალიმს მიდიოდა თურმე ბერი ზაქარია სულის საცხოვნებლად, არა?... (გამსახურდია 1979:141). სიტყვა “არა” გულისხმობს, რომ სპასალარი ხმის ტონის გაძლიერებით “გადადის იერიშზე” და კათალიკოსის პასუხების არც კი ელოდება. ხმის ტონის აწევით სპასალარი თავის გამონათქვამს უფრო მეტად დამაჯერებელს, ემოციურსა და ეფექტურს ხდის. ვაგრძელებთ ნაწყვეტს: კათალიკოსი სახტად დარჩა ამის გამგონება, მელქისედეკი აიმღვრა, დაწვისთავები შეუწითლდა, მხოლოდ ეს შეაგება სპასალარს: ზაქარია ბერი მართლმორწმუნე როდია, ხომებია იგი. ხომებიო? – იქვდნურად გაიღიმა ზვიადმა (გამსახურდია 1979:143). სიტყვა “სომებიაო”? სპასალარი გაკვირვებას გამოხატავს, რასაც თან სდევს ირონიული ღიმილი. როგორც ფონაციური, ისე კინესიკური პარალინგვიზმების გავლენა გამონათქვამზე ამ კონკრეტულ მაგალითში ძალზე დიდია. სწორედ მათი საშუალებით ეძლევა გამონათქვამს ემოციური, ეფექტური და დამაჯერებელი ტონი.

გამონათქვამი შესაძლებელია სხვადასხვა ინტონაციით წარმოითქას იმის მიხედვით, ვის მოვუთხრობთ (უმცროსს თუ უფროსს, დიდს თუ პატარას, შინაურს თუ ოფიციალურ პიროვნებას), დამარტინებლობის რა ძალა გვინდა მივცეთ ჩვენს თხრობას, ზღაპარს მოვუთხრობთ თუ ნამდვილს, დადებითია მსჯელობა თუ კრიტიკულ-უარყოფითი და ა.შ.

ცნობილი ენათმეცნიერი დევიდ კრისტალი აღნიშნავს, რომ ინგლისურის ფუნქციების მიხედვით არსებობს ექვსი სახის ინგლისური: ემოციური, გრამატიკული, საინფორმაციო-სტრუქტურული, ტექსტობრივი, ფსიქოლოგიური და ინდექსიკური. ის წერს, რომ: “გრამატიკული ინგლისურია მნიშვნელოვან როლს თამაშობს გრამატიკული კონტრასტების მარკირებაში. ისეთი მსხვილი ერთეულების იდენტიფიკაცია, როგორიცაა წინადადება და რთული წინადადების ნაწილი, ხშირად არის დამოკიდებული ინგლისივობის კონტრების მიერ გამონათქვამის დანაწევრებაზე. ზოგჯერ, ზეპირ მეტყველებაში ისეთი სპეციფიკური კონტრასტების, როგორიცაა თხრობითი და კითხვითი თუ მტკიცებითი და უარყოფითი წინადადებების გარჩევა ერთმანეთისაგან სწორედ ინგლისურიაზე დაყრდნობით ხდება. მაგალითად, წინადადებაში *She's here, isn't she?* აღმაგალი ტონი კითხვითი ნიშნის ვერბალური ეკვივალენტია, მაშინ როცა წინადადებაში *She's here, isn't she!* დამაგალი ტონი ძახილის ნიშნის ვერბალური გამოხატულებაა (Crystal 1987:171).

დ. კრისტალი მოკლედ ახასიათებს ინგლისურის თითოეულ სახეს და მიდის დასკვნამდე, რომ ნებისმიერი ფუნქციის მქონე ინგლისურია მნიშვნელოვან როლს თამაშობს დისკურსში. თითოეულ გამონათქვამს თავისებური მახვილი და მოდულაცია ახასიათებს. აზრის ნაირფეროვნების გამომხატველ მახვილთა ერთობლიობას ლოგიკურ მახვილს ვუწოდებთ, გრძნობათა ნაირფეროვნების გამომხატველ მახვილთა ერთობლიობას კი – ემოციურს, მაგრამ ხშირად ძნელია იმის განსაზღვრა, როდის არის მახვილი ლოგიკური, როდის კი ემოციური. ასეთ შემთხვევაში მახვილს ზოგადად ლოგიკურ-ემოციურს ვუწოდებთ. ლოგიკურ-ემოციური მახვილი, რომელიც მეტყველების ელემენტთა გაძლიერებაში ან ხმამაღლა წარმოთქმაში გამოიხატება, მეტ-ნაკლებად ყველა ენას აქვს. ინგლისურ ენაში თითოეული გამონათქვამი წარმოითქმის გარკვეული ინგლისურით, რომელიც განპირობებულია ნაწილობრივ მისი გრამატიკული სტრუქტურით და ნაწილობრივ მოსაუბრის დამოკიდებულებით გამონათქვამის მიმართ. აქედან გამომდინარე, თითოეული სიტყვა გარკვეული მახვილითა თუ ემფაზით წარმოითქმის, იმის მიხედვით, რა გრამატიკული ფუნქცია აკისრია სიტყვას და, რა ფაქტორები განაპირობებენ მას, კერძოდ, როგორია გამონათქვამის კონტექსტური პრესუპოზიციები, მოსაუბრის დამოკიდებულება გამონათქვამის მიმართ და ა.შ.

სწორედ ინტონაცია და მახვილია ის მთავარი პროსოდიული მახასიათებლები, რომლებიც ინგლისურ ენას მუდამ თან სდევს, მაგრამ ამასთანავე, ტრადიციულად ყოველ ენას აქვს მასში დამკვიდრებული მახვილის ტიპი, რომელიც კონკრეტულად ამ ენისათვისაა დამახასიათებელი.

ისეთი პროსოდიული მახასიათებლები, როგორიცაა მახვილი და ინტონაცია, გამონათქვამის არავერბალური კომპონენტის მნიშვნელოვან ნაწილს ქმნის.

კომუნიკაციის პროცესში ვერბალურ ნიშნებთან ერთად პარალინგვისტურ მახასიათებლებსაც არანაკლებ მნიშვნელოვანი აღგილი უჭირავს. პარალინგვისტიკა (ბერძნ. **para** “თან”, “ახლო”) შეისწავლის კომუნიკაციის პროცესში სამეტყველო შეტყობინების სწორედ იმ თანმხლებ არაენობრივ საშუალებებს, რომლებიც ერთგვარად აზუსტებენ და ავსებენ მეტყველების გზით გადაცემულ ინფორმაციას. აქვე აღვნიშნავთ, რომ პარალინგვისტიკა, როგორც ენათმეცნიერების მომიჯნავე სემიოტიკური დისციპლინა, არ არის საბოლოოდ ჩამოყალიბებული და დღესდღეობით კვლავ მიმდინარეობს ამ დარგის თეორიულ-მეთოდოლოგიური პრინციპების დამუშავება და ფორმირება. თუკი პარალინგვისტურ მახასიათებლებში ვოკალურ ნიშანთა გარკვეულ თვისებებთან ერთად ‘სხეულის ენას’, ანუ ჟესტებს, სახის გამომეტყველებას, თვალების მოძრაობას და ა.შ. ვიგულისხმებთ, ნათელი გახდება, რომ ამ ელემენტებსაც კომუნიკაციური პროცესის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ, რამეთუ სწორედ მათი საშუალებით არის შესაძლებელი დავაფიქსიროთ მოსაუბრის თუ მსმენელის დამოკიდებულება გამონათქვამისადმი. მაგალითად, ადამიანი, რომელიც რომელმაც დიდი შიში განიცადა, თავის გრძნობებსა და ემოციებს უფრო უფექტურად და დამაჯერებლებულად გადასცემს მსმენელს, თუ მის მიერ გადაცემულ გერბალურ ინფორმაციას თან ახლავს ისეთი პარალინგვისტური მახასიათებლები, როგორიცაა: კუნთების დაჭიმულობა, შეშლილი სახე, ფართოდ გახელილი თვალები, ნერვიული, აკანკალებული ხმა და სხვა.

კომუნიკაციის დროს, როცა გამონათქვამს თან არ ახლავს სათანადო პარალინგვისტური ელემენტები, სიტუაციის მონაწილეები შესაძლოა გაურკვეველ ან უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რის შედეგადაც ვეღარ გააკონტროლებენ საკუთარ ნათქვამს.

ხშირია შემთხვევები, როდესაც ადრესანტის ვერბალური გამონათქვამი და მისი თანმხლები პარალინგვისტური მახასიათებლები ეწინააღმდეგება ერთმანეთს. მაგალითად, წარმოვიდგინოთ, რომ მოსწავლე მიდის მასწავლებელთან და ეუბნება, რომ მას ძალიან მოსწონს გაკვეთილი და მოხიბლულია მისი პროფესიონალიზმით. ამავდროულად ის მოუსვენრად აცეცებს თვალებს ნიშნად იმისა, რომ რაც შეიძლება სწრაფად გაეცალოს იქაურობას და გარეთ გავიდეს. იქნება კი ამ შემთხვევაში პარალინგვისტური მახასიათებლის ადეკვატური ადრესანტის გამონათქვამი? რა თქმა უნდა, არა.

არავერბალური ნიშნების საშუალებით ჩვენ ვაფიქსირებთ ჩვენს დამოკიდებულებას თანამოსაუბრისა და ასევე გამონათქვამის მიმართ. აქვე აღვნიშნავთ იმ გარემოებასაც, რომ სხვადასხვა არავერბალურ ნიშანს შეუძლია შეავსოს, დააზუსტოს ან განსაზღვროს ერთი და იგივე გამონათქვამი. ამის ნათელ ილუსტრირებას გვაძლევს ბოლინჯერის მიერ მოყვანილი უმარტივესი წინადადების *I don't know* ინტერპრეტაციები:

“Lips pursed: “No comment.”

Eyebrows arched: “I’m wondering too.”

Shoulders raised: Same.

Head tilted sideways: “Evasion.”

Hands held slightly forward, palms up: “Empty, no information.” (Bolinge1989:211).

ამდენად, წარბის აწევამ და თავის უმნიშვნელო მოძრაობამაც კი შესაძლოა შეავსოს ან განსაზღვროს გამონათქვამი.

როგორც კოდშანსკი აღნიშნავს პარალინგვისტიკა დაფუძნებულია ენის ტონალურ და ტემბრულ განსაკუთრებულობასა და მათ სარგებლობაზე კულტურაში. ამაზე დაფუძნებით შეიძლება გამოვყოთ წყნარი და ხმამაღალი კულტურები (Кодшанский 1974:75). უკროპაში მაგალითად ამერიკელებს საყვედურობებს ხმამაღალი ლაპარაკის მანერის გამო. ეს მათი ხასიათი გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ძალიან ხშირად ამერიკელისათვის არა აქვს არავითარი მნიშვნელობა იმას, უსმენებ თუ არა მათ. მათოვის მნიშვნელოვანია აჩვენონ სხვებს საკუთარი კომპეტენტურობა და გულდიაობა. მათგან განსხვავებით, ინგლისელებს მიაჩნიათ, რომ არ უნდა ჩაერიო სხვის საქმეში.

პარალინგვისტიკის (პარავერბალური კომუნიკაციის) კულტურულ-სპეციფიკური განსაკუთრებულობა გამოიხატება სიტყვის სიჩქარეში. მაგალითად,

გერმანელები საუბრობენ შედარებით წყნარად და გრძელი პაუზებით, ეს ენობრივი უნარი უქმნის ხალხს იმიჯს, რომლებიც დიდხანს ფიქრობენ და აუჩქარებლად მოქმედებენ. სწრაფად მოლაპარაკე კულტურებს განეკუთვნებიან რომანული ენის წარმომადგენლები (ფრანგები, რუმინელები). ამ ჩვენებით გერმანელებს უკავიათ საშუალო მდგომარეობა, მიუხედავად ამისა, სიტყვის სიჩქარე ბერლინში მაღალია, ვიდრე ჩრდილო გერმანიაში)

პარავერბალური კომუნიკაციის შემდეგ საშუალებად ითვლება მანერა ერთის მხრივ, ილაპარაკო მრავალსიტყვიერად, მეორეს მხრივ ლაკონიურად, ბევრ კულტურაში ხშირად ნათქვამის შინაარსს გააჩნია მეორეხარისხოვანი ხასითი. მსგავსი მანერა ფასდება არაბებთან, რომელთა ენასა და ლიტერატურაში ნათქვამის მნიშვნელობა და შინაარი არ არის მთავარი, არაბულ კულტურაში მნიშვნელობა ენიჭება სიტყვის თამაშს, სხვადასხვა სიტყვა შეიძლება ერთი და იმავე მნიშვნელობით გამოიყენებოდეს, არაბებს ძალიან უყვართ გამოხატონ ერთი და იგივე აზრი სხვადასხვა სიტყვებით.

აქედან გამომდინარე კომუნიკაციის ეფექტურობა განისაზღვრება არა მარტო გამონათქვამის მნიშვნელობის გაგების ხარისხით, არამედ მოსაუბრის ქცევის სწორი შეფასების უნარით. კერძოდ, კინესიკური პარალინგვიზმები სწორედ ის ელემენტებია, რომელთა მეშვეობითაც გრძნობებს, განცდებს და ემოციებს უფრო სრულყოფილად გამოვხატავთ, ვავლენთ თუ რა დამოკიდებულება გვაქვს სინამდვილეში გამონათქვამისა და კომუნიკანტის მიმართ.

ჩვენ მიერ განხილული მაგალითების საფუძველზე შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ქართულ ენაში თითქმის ყველა გამონათქვამს თან სდევს ესა თუ ის პარალინგვისტური მახასიათებელი. მართალია, პარალინგვისტური მახასიათებლები ყველა კულტურისათვის არის დამახასიათებელი, მაგრამ მათი გამოყენების სპექტრი ქართულ ენაში გაცილებით უფრო ფართოა. რადგანაც ისინი ვერბალური კომუნიკაციის დროს ძალიან ხშირად გამოიყენება, ბუნებრივი ხდება, რომ ქართული ენა პარალინგვიზმების უფრო ფართო არჩევანს უნდა გვთავაზობდეს, ან მას პარალინგვიზმების გაცილებით უფრო დიდი ნაირფეროვნება ახასიათებს. ამ მრავალფეროვნების გამომწვევი მიზეზები განპირობებულია ქართული ბუნების ემოციურობით, ეროვნულობით და კულტურით.

თავი III. სოციალური იერარქია ეტიკეტურ ფორმულებში კულტურათშორისი კომუნიკაციის პროცესში

უძველესი დროიდან ადამიანთა საზოგადოებაში წარმოიქმნებოდა ბრძოლა და შეუთანხმებლობა ადამიანებს შორის საზოგადოებრივი შრომის გადანაწილებასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი შრომის. ეს პირველი გადანაწილება იქცა. ასევე პირველ სოციალურ დიფერენციაციად გვარის ან ტომის შიგნით, პირველყოფილი წყობის ჩარჩოებში. მუდმივმა ტენდენციამ შრომის გადანაწილებასთან დაკავშირებით, რომელიც დაფუძნებული იყო გვარის ორგანიზაციის ელემენტებზე და შესაბამისად, ადამიანის უფლებებმა და ვალდებულებებმა საზოგადოების წევრებს შორის ბარიერები წარმოიქმნა.

საზოგადოებაში შრომისუნარიანობის ზრდასთან ერთად შეიცვალა ხალხის სოციალური ორგანიზაცია. იცვლებოდა ოჯახისა და ქორწინების ფორმები, მორალური ნორმები, ყალიბდებოდა საზოგადოებრივი იდეები, ჩაისახა ქონებრივი და საზოგადოებრივი არათანასწორუფლებიანობა. წარმოიქმნა საზოგადოებრივი განსხვავება.

კერძო საკუთრება, არათანასწორუფლებიანობა, რელიგიური იდეოლოგიები მჟღავნდებოდა ენაში, შესაბამისად, ენაში აისახება სოციალური სტრუქტურების ცვლილებები. ენაში განხორციელებულ ცვლილებებზე დომინირებულ როლს ასრულებენ სოციალური ფაქტორები, საზოგადოების ზემოქმედება ენაზე, საზოგადოების განვითარება, ძირფესვიანი სოციალურ-ეკონომიკური, საზოგადოებრ - პოლიტიკური ცვლილებები. ენის ყველა ერთეული და მისი ვარიანტები, ყველა ფორმა, ფუნქცია და მნიშვნელობა ენაში წარმოადგენს სოციალურად განპირობებულ სოციალიზებულ ურთიერთობებს.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, იცვლება სოციალური ურთიერთობა იცვლება ენა. ტომების კოლექტივიზმის დაშლასთან და სახელმიწოდებრივი სტრუქტურების წარმოქმნასთან ერთად, ასევე შრომისუნარიანობის განვითარებასთან ერთად ხდება კულტურისა და ენის დიფერენციაცია, რადგან “ენა საზოგადოებრივი განვითარების თავისებური ბარომეტრია, მასში, როგორც სარკეში, აისახება ენის მატარებლების სოციალური ცხოვრება” (Дешериев 1977:8).

საზოგადოებრივ ფაქტორებს, რომლებმაც განაპირობეს ცვლილებები ენაში, წარმოადგენენ საზოგადოებრივი სფერო, სოციალური გარემო, სამეტყველო სიტუაცია, ხალხის სოციალური ჯგუფი, მოსახლეობის სოციალური ფენები. საზოგადოების არათანაბარ კლასებად დაყოფამ გამოიწვია ენის

სოციალური დიფერენციაცია ისტორიული განვითარების გარკვეულ ეტაპზე ენის სოციალურ დიფერენციასთან ერთად იგულისხმებოდა ასევე იდეოლოგიის ასახვაც ენაში.

ამგვარად, ენის სოციალურ დიფერენციაციას საფუძვლად უდევს საზოგადოებრივი ფაქტორები, რომლებიც განპირობებულია საზოგადოების ისტორიული განვითარებით და მოცემული ენის სოციალური და იდეოლოგიური დიფერენციით.

იდეოლოგიური ბრძოლის გამწვავებამ გამოიწვია საზოგადოებრივი აზრის მიზანმიმართული ფორმირების საჭიროება. გახდა საჭირო გარკვეული კრიტერიუმებისა და მეთოდების არგუმენტირება (დასაბუთება).

ადამიანები შეუცნობლად იზიარებენ შეხედულებებსა და პოზიციებს იმ სოციალური კლასისას, რომლის წარმომადგენლებიც თვითონ არიან “რთული შინაგანი მექანიზმების მოქმედების საფუძველზე ადამიანი უნებლივთ ხდება თავისი კლასის წარმომადგენელი და დამცველი” (ნადირაშვილი 1979: 116).

მოსაუბრე ტექსტის საშუალებით საგნებს, მოვლენებს ისე წარმოადგენს, რომ გარკვეული ზემოქმედება ადრესატზე იყოს მიღწეული და ამავე დროს გარკვეული კომუნიკაციური ამოცანებიც შესრულებული. ენა და საზოგადოება მჭიდროდაა დაკავშირებული ადამიანის ურთიერთობის ბუნებასთან, მის შესაძლებლობასთან არამარტო წარმოქმნას ტექსტი, არამედ დაამყაროს კონტაქტი, ურთიერთობა, და ასევე აირჩიოს კონკრეტული მიზნის მისაღწევად საკუთარი საშუალება. “სამეტყველო კულტურა განისაზღვრება არამხოლოდ ნორნების დაცვით, არამედ იმ საშუალებების მოძიებით, რომლებიც ზუსტად გამოხატავენ საკუთარ აზრს, საკმაოდ მარტივად (ანუ მხატვრულად), დროულად (ანუ ყველაზე მისაღები მოცემული შემთხვევისათვის) და, შესაბამისად, არის გამართლებული” (Ширяев 1991: 54).

ამ პრობლემების ასპექტში მნიშვნელოვანი როლი უკავია სოციალური ქცევის პრობლემებს, რომლებიც რ. ბელის აზრით, წარმოადგენს “ლინგვისტურ პრობლემებს” (Белл 1980: 42).

ამ მხრივ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეროვნულ-სპეციფიკური ქცევის წესები, რომლებიც წარმოადგენენ როგორც ვერბალურ, ისე არავერბალურ კომუნიკაციას. სოციალური ქცევის ასეთი განსაკუთრებული სისტემა და ურთიერთობის მდგრადი ფორმულა აღინიშნება ტერმინით “სამეტყველო ეტიკეტი”. ის დაკავშირებულია ეტიკეტის ცნებასთან, რომელიც ნ.ი.

ფორმანოვსკაიას აზრით, არის ‘ნიშნების რთული სისტემა, რომლებიც მიუთითებენ ურთიერთობის პროცესში (ვერბალური და არავერბალური) მეორე ადამიანის მიმართ დამოკიდებულებაზე, მის შეფასებაზე და ამავე დროს საკუთარი თავის “შეფასებაზე” (Формановская 1982: 4-5). არავერბალური საშუალებები წარმოადგენენ კულტურის სტატუსის მინიჭების აქტებს, როდესაც ასეთი მინიჭება არა მხოლოდ აკმაყოფილებს კონკრეტულ მოთხოვნილებებს, არამედ არის სიმბოლოც, წარმოადგენს კომუნიკაციურ საშუალებას, რომელსაც შეუძლია დაარეგულიროს ადამიანის ქცევა (Тарасов 1990:10).

მოსაუბრის მიმართ ნებისმიერი ურთიერთობის გამოხატვის საშუალება, ეს იქნება სიტყვები თუ მისალმება-დამშვიდობების ჟესტები, არსებობს არა დამოუკიდებლად, არამედ სხვა ადამიანებთან მიმართებაში, და მათი ყოველდღიური შესრულება ურთიერთობის აუცილებელი პირობაა.

სამეტყველო ეტიკეტი ვერბალურად ემსახურება ქცევის ეტიკეტს, არავერბალურთან ერთად კომუნიკაციის აქტში ის აღნიშნავს უამრავ სოციალურად მნიშვნელოვან პოზიციას, მათ შორის კომუნიკანტების გაცნობის-არგაცნობის ხარისხს, ურთიერთობის სიტუაციაში მათ თანასწორუფლებიანობა-არათანასწორუფლებიანობას.

სამეტყველო ეტიკეტი ვიწრო გაგებით არის მეტყველების ქცევის ეროვნული სპეციფიკური წესი, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა სოციალურ სიტუაციასა და კონტექსტში, ეროვნულ-სპეციფიკური წესების ცოდნა ისევე მნიშვნელოვანია ურთიერთობის განსახორციელებლად, რამდენადაც მნიშვნელოვანია ენის წესების ცოდნა საუბრის სწორად ასაგებად.

კონტაქტურ-ვიზუალურ დიალოგურ მეტყველებაში გამომჟავნდება ორმხრივი სოციალურობა: ერთის მხრივ, პირველი მოსაუბრის სამეტყველო სოციალურობა, მეორეს მხრივ – მეორე მოსაუბრის სამეტყველო სოციალურობა. თუ ორივე მოსაუბრე მიეკუთვნება ერთსა და იმავე სოციალურ ჯგუფს, არიან ერთი და იგივე თაობის წარმომადგენლები, არიან ერთი მენტალობის ან შეხედულებების, ერთი და იმავე კულტურული ან საგანმანათლებლო დონის, მაშინ პირველი მოსაუბრის დიალოგიურ-ვიზუალური სამეტყველო შინაარის სოციალურობა შეიძლება დაემთხვას მეორე მოსაუბრისას. ორმხრივ კონტაქტურ ვიზუალურ სოციალურობას შეიძლება ვუწოდოთ ეკვივალენტური. ასევე ორმხრივი სოციალურობა შეიძლება იყოს არაექვივალენტური, პირველი მოსაუბრის სოციალურობის პარამეტრები შეიძლება განსხვავდებოდეს მეორის

სოციალურობის პარამეტრებისგან, ანუ შეიძლება არ დაემთხვეს მათი საზოგადოებრივ-სოციალური სტატუსი, ზოგადსაგანმანათლებლო და კულტურული დონე, ისინი შეიძლება განეკუთვნებოდნენ სხვადასხვა სოციალურ ჯგუფს და ასევე განსხვავდებოდნენ ასაკით ან სქესით.

ესენი არიან სხვადასხვა სოციალურობის მოსაუბრები, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ორ მოსაუბრებს აქვს საერთო პარამეტრები, ხოლო მეორეს – განსხვავებული. ასეთ მოსაუბრებს შეიძლება ვუწოდოთ მოსაუბრები შერეული პარამეტრებით ან შერეული სოციალური ნიშნებით. პრაქტიკული და თეორიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ყვალა განმასხვავებელი ნიშანი, რომელიც შეიძლება გამოვლინდესკონტაქტურ ორმხრივ ვიზუალურ, დიალოგურ და მონოლოგურ სამეტყველო ურთიერთობაში.

მოსაუბრის სოციალური სტატუსი, უპირველეს ყოვლისა, ურთიერთობაში გამომჟღავნდება. სანამ ადამიანი მოსაუბრესთან დაამყარებს ურთიერთობას, მან როგორმე უნდა შეძლოს მიიპყროს მისი ყურადღება. კონტაქტი ჩართვის დიფერენციული მექანიზმი წარმოადგენს მიმართვას, რადგან ის აღნიშნავს კომუნიკაციის მონაწილეების სოციალურ როლს და სტატუსს. გარდა ამისა, მიმართვას შეუძლია ხაზი გაუსვას ასევე მოსაუბრის პროფესიულ როლს, მის საზოგადოებრივ მდგომარეობას, მის დაკავებულობას მოცემულ დროში, ასაკობრივ და სქესობრივ სხვაობას, კონკრეტული სოციალური კლასის წარმომადგენლობას.

ურთიერთობის პროცესში სამეტყველო ეტიკეტის გაგებისათვის კომუნიკანთა სოციალური როლის გაგება არსებითია. მნიშვნელოვანია განისაზღვროს მოსაუბრების სოციალური მდგომარეობა, ასაკი და თუ გათვალისწინებული იქნება ყველა ზემოაღნიშნული პარამეტრები, მაშინ სიტუაცია სიმეტრიულია, ხოლო ურთიერთობის პროცესში აღნიშნული პარამეტრების სხვაობა წარმოქმნის ასიმეტრიას.

ადამიანები ბავშვობიდან სწავლობენ ეტიკეტური ნიშნების გამოყენებას (მისალმება/დამშვიდობება) და ძალიან ნეგატიურად რეაგირებენ, თუ მოსაუბრე უხეშად არღვევს ასეთ წესებს. ენის მატარებელი გაერთიანებული არიან სოციუმში, რომელშიც გამოიყენება სამეტყველო ეტიკეტის საყოველთაო ან სტილისტიკურად შეზღუდული გამონათქვამები, ამიტომა, რომ ადამიანი მაშინაც კი როდესაც ხვდება მისთვის განსხვავვბული ურთიერთობის პირობებში, მაგალითად, შეუძლია იყოს მოსაუბრე ან პირი, რომელიც

ახორციელებს ზეგავლენას მოსაუბრებელს, ხოლო მეორე შემთხვევაში შეიძლება თვითონ იყოს მსმენელი, შესაბამისად ზემოქმედების ობიექტიც. აქედან გამომდინარე მას შეუძლია გქონდეს სხვადასხვა სტატუსი. მაგალითად, უფროსი – უმცროსი; მასწავლებელი – მოსწავლე (ასე სხვა ბევრ სიტუაციაში) მოსაუბრის სოციალური სტატუსიდან გამომდინარე, და ასევე სტატუსის გათვალისწინებით, მას შეუძლია შეარჩიოს სამეტყველო ეტიკეტი, რათა განახორციელოს ურთიერთობა. მოსაუბრე მზა ტექსტის რეპროდუცირების დროსაც კი არ მოქმედებს მექანიკურად, არამედ ახდენს სამეტყველო აქტის შერჩევის რთულ ოპერაციას იმ გამოთქმების გამოყენებით, რომელიც მოცემული ურთიერთობის გარემოსათვის შესაფერისი და მისაღებია.

როგორც ცნობილია, ენის მთავარი დანიშნულებაა ადამიანებს შორის კომუნიკაციის დამყარება. კომუნიკაცია მეტად რთული პროცესია. იგი წარმოადგენს ინფორმაციის, იდეების, აზრების გაცვლას ორ ან მეტ პიროვნებას შორის. კომუნიკაცია ხორციელდება ინფორმაციის გამგზავნის და ინფორმაციის მიმღების ანუ მოსაუბრის და მსმენლის ან მწერლის და მკითხველის საშუალებით. კომუნიკაცია არამარტო სხვადასხვა საშუალებით, არამედ სხვადასხვა ფორმითაც მყარდება. ინფორმაციის გაგზავნა და მიღება შეიძლება ზეპირი ან წერითი ფორმით და შესაბამისად, გვექნება მიმართება: მოსაუბრე – მსმენელი, მწერალი – მკითხველი. ბუნებრივია, კომუნიკანტთა რაოდენობა განსხვავდება სიტუაციისა და კომუნიკაციის ტიპის მიხედვით. წარმატებული კომუნიკაციის დასამყარებლად საჭიროა მოსაუბრემ საუბრისას გაითვალისწინოს არა მხოლოდ საკუთარი ინტერესები, არამედ მსმენლისაც.

კომუნიკაციისას ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს სამეტყველო ეტიკეტს, ვინაიდან ის თავაზიანობის განუყოფელი ნაწილია.

უნდა აღინიშნოს, რომ წარმატებული კომუნიკაციის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი არის კომუნიკანტების ფონური ანუ ზიარი ცოდნა. კომუნიკანტთა შორის გაუგებრობა უფრო მეტია განსხვავებული კულტურის წარმომადგენლებს შორის კომუნიკაციისას, ვიდრე მაშინ, როდესაც მოსაუბრები ერთსა და იმავე სამეტყველო კოლექტივს განეკუთვნებიან. თუ სამეტყველო ეტიკეტის ესა თუ ის ფორმა მიუღებელია ერთ-ერთი კომუნიკანტისათვის, მაშინ მათ შორის არსებული საკომუნიკაციო პროცესი ჩაიშლება. დაუშვებელია ერთი ენობრივი კოლექტივისათვის დამახასიათებელი სამეტყველო ეტიკეტის ნორმები მეორე ენობრივ კოლექტივში გადავიტანოთ, ვინაიდან ამგვარი ქმედება

უსიამოვნო შეგრძნებას, გაკვირვებას ან ყოფით შოკს გამოიწვევს კომუნიკანტებს შორის. წარმატებული კომუნიკაციისათვის საჭიროა საყოველთაოდ დადგენილი ეტიკეტის ნორმების ცოდნა და დაცვა. აქვე უნდა ითქვას რომ ხშირად წარუმატებელი კომუნიკაციის ან არასასიამოვნო ურთიერთობის მიზეზი სწორედ ეტიკეტის ნორმების უცოდინობა ან მათი არასწორად გამოყენებაა.

სიტყვა ეტიკეტი (*Etiquette*) ფრანგული ენის მეშვეობით მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გავრცელდა და დამკვიდრდა. ამ ცნებას არაერთი განმარტება მოეძებნება:

- ა) ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონში ეტიკეტი შემდეგნაირადაა განმარტებული: „თავის დაჭერისა და თავაზიანი მოპყრობის წესები მეფის კარზე, თავადაზნაურთა თუ ბურჟუაზიის მაღალ წრეებში დიპლომატთა შორის,” (ქეგლ, 123).
- ბ) ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს: „ეტიკეტი არის ქმედება ან ქმედებათა ერთობლიობა, რომელიც ადამიანთა ყოფით ურთიერთობაში ფიქსირდება, არის უადრესად დეტალიზებული, აქვს შესრულების საგალდებულო ხასიათი და მის შემადგენელ ელემენტებს ახასიათებს ზუსტი თანმიმდევრობა” (ჯავახიშვილი ივ., 126).
- გ) რუსული ენის განმარტებითი ლექსიკონი ეტიკეტს შემდეგნაირად განმარტავს:
 1. “საკანონმდებლო ტერმინი, რომელიც სასამართლო პროცესის ჩანაწერს აღნიშნავს, ე.ი. ოქმი ან ოქმების ჩასაწერი დაგთარი;
 2. წერილის ან თხოვნის დაწერის წესი;
 3. სამეცო კარის წეს-ჩვეულება, ცერემონიალური მიმართვის დაცვა”;
- დ) ოქსფორდის მაღალი საფეხურის შემსწავლელთა ლექსიკონის მიხედვით ეტიკეტი არის: „წეს-ჩვეულება, რომელიც ოფიციალურად გამყარებულ საურთიერთო მანერას წარმოადგენს”

(Oxford Advanced Learner's Dictionary of Current English,30);

ე) ვებსტერის ლექსიკონის მიხედვით:

„ეტიკეტი არის კარგი საზოგადოებრივი საურთიერთო ფორმების ერთობლიობა, შესაბამისი ტრადიციული წესები, რომლებიც ასეთ საურთიერთო ფორმებს აწესებენ” (Webster New World English Dictionary,73);

ვ) ეთიკის ლექსიკონის მიხედვით ეტიკეტი არის:

„ქცევის წესთა ერთობლიობა, რომელიც აწესრიგებს ადამიანურ ურთიერთობებს (გარშემომყოფებზე მოპყრობა, მიმართვისა და მისალმების ფორმები, ქცევა საზოგადოებრივ ადგილებში, მანერები, სამოსი). ეტიკეტი არის ადამიანისა და საზოგადოების შინაგანი კულტურის შემადგენელი ნაწილი. მასში შედის ის მოთხოვნები, რომლებიც იძენენ ცერემონიალის ასე თუ ისე მკაცრად რეგლამენტირებულ ხასიათს და რომელთა დაცვას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა ქცევის ფორმის განსაზღვრისათვის. ეტიკეტი გამოხატავს ზნეობრიობის პრინციპების ამა თუ იმ შინაარსს, ტრადიციულად, საზოგადოებაში იგი, როგორც წესი, იქცევა რიტუალად, აქვს თავისი ფორმა, მკაცრად ჩამოყალიბებული ხასიათი; გამოიხატება დეტალურად დამუშავებული თავაზიანობის წესების რთულ სისტემაში, ახდენს სხვადასხვა კლასისა და წოდების თანამდებობის პირთა მოპყრობის და სხვა წრეში ქცევის წესთა კლასიფიკაციას”.

ეტიკეტი ისტორიული კატეგორიაა, რადგან ადამიანთა ქცევის წესები წვენი ცხოვრების პირობათა კვალობაზე, კონკრეტული სოციალური გარემოს შესაბამისად იცვლება (ჯოლია 1998: 56).

ეტიკეტის ნორმების დაცვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანური ურთიერთობების შესანარჩუნებლად. როგორც უკვე ავღნიშნეთ, ადამიანებს კომუნიკაციისას ზიარი ცოდნა უნდა ჰქონდეთ ეტიკეტის ნორმების შესახებ, რათა მათ წარმატებით შეძლონ კომუნიკაციის დამყარება, წინააღმდეგ შემთხვევაში წარმატებული კომუნიკაცია არ შედგება არამარტო სხვადასხვა ყოფის წარმომადგენელთა შორის, არამედ ერთსა და იმავე ყოფის წარმომადგენელთა შორის ურთიერთობისასაც კი. ეტიკეტის დაცვა მეტად მნიშვნელოვანია ზეპირი თუ წერითი ურთიერთობისას, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საზოგადოებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ლინგვისტური ეტიკეტი. ლინგვისტური ეტიკეტი თავს იჩენს ზეპირი ან წერითი კომუნიკაციისას თავაზიანობის ნორმების სახით და მდგომარეობს მოსაუბრის მიერ ოფიციალური, ნეიტრალური თუ შინაურული სტილისათვის შესაფერისი ენობრივი ფორმების შერჩევაში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეტიკეტი თავაზიანი მანერების და სოციალურად მოწესრიგებული ქცევის ნორმების ერთობლიობაა და მოიცავს ადამიანთა ქცევის ნორმებს შინ, სამსახურში, ტრანსპორტში და საერთოდ საზოგადოებაში. ზოგი ფიქრობს, რომ ეტიკეტის ნორმები და წესები, უბრალო

ფორმალობაა, მაგრამ ეს ასე არ არის. თავაზიანი ადამიანისათვის რომელიც ეტიკეტის ნორმებს იცავს, ნებისმიერ საზოგადოებაში არსებობა, საზოგადოების წევრებთან ურთიერთობა იოლია. ეტიკეტი ადამიანის შინაგან ბუნებას და მის სულიერ სილამაზეს წარმოაჩენს.

ჩვეულებრივ ეტიკეტი განისაზღვრება, როგორც ადამიანთა თავაზიანი მანერების და ქცევის ნორმების ერთობლიობა შინ, სამსახურში, ტრანსპორტში და საერთოდ, საზოგადოებაში. ენობრივი ეტიკეტი არის ამა თუ იმ სიტუაციაში სწორი ფრაზებისა და ენობრივი ფორმების ხმარების ხელოვნება. თანამედროვე მსოფლიოში ხშირად მყარდება კონტაქტი სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს შორის. ამა თუ იმ ენაზე საუბრისას მნიშვნელოვანია სამეტყველო ეტიკეტის ნორმების ცოდნა და დაცვა. ნ. ი. ფონმანოვსკაია აღნიშნავს, რომ ურთიერთობის ეროვნული სპეციფიკა და სოციალურად განპირობებული სტერეოტიპები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს ავირჩიოთ და გამოვიყენოთ ურთიერთობის ესა თუ ის ფორმა, როგორიცაა ამა თუ იმ სიტუაციისათვის შესაფერისი მისალმება, დამშვიდობება, ბოდიშის მოხდა, მადლობის გადახდა, მიღოცვა, სურვილების გამოთქმა, სხვადასხვა სახის თავაზიანი გამოთქმა, ენობრივი საშუალებების კეთილგანწყობილი დამოკიდებულების გამოვლენა მოსაუბრესთან ან მსმენელთან არის ენობრივი ეტიკეტი (Формановская 1988: 96).

განასხვავებენ ეტიკეტის შემდეგ სახეობებს: დიპლომატიური, მაღალი საზოგადოების (სამეფო კარის), საქმიანი ურთიერთობის, სამსახურებრივი, სამხედრო, სპორტული, სუფრის, სამედიცინო, სამეცნიერო, სამოქალაქო და სხვ (ჯოლია 2006: 16-17).

დიპლომატიური ანუ საერთაშორისო ეტიკეტი დიპლომატთა ეტიკეტია. მისი მოთხოვნები ერთი რომელიმე ქვეყნის ფარგლებს სცილდება და მოცემულ ისტორიულ მომენტში რაიმე ნიშნის განურჩევლად (მაგ: ეროვნება, რასა, რელიგია) საზოგადო წესების, ჩვევებისა და ტრადიციების ერთობლიობაა. თანამედროვე დიპლომატთა და ბიზნესმენთა ყოველდღიურ ურთიერთობაში დიპლომატიურ ეტიკეტს, ანუ უცხოელებთან ქცევის მიღებული წესების დაცვას უდუდესი მნიშვნელობა აქვს.

მაღალი საზოგადოების ეტიკეტი – მონარქთა სასახლეში მტკიცედ დადგენილი ქცევისა და ურთიერთობის წესებია.

საქმიანი ეტიკეტი ბიზნესმენთა ეტიკეტია. იგი საქმიანი ურთიერთობის სპეციფიკური პულტურაა და თავის მხრივ გულისხმობს რიტუალსა და

სუბორდინაციას, სამსახურებრივ ეტიკეტს, ქცევის მანერას, წერისა და სატელეფონო საუბრის სტილს, საქმიანი დოკუმენტაციის გაფორმებას, მოლაპარაკების წარმართვის ხელოვნებას, პრეზენტაციიასა და რეკლამის კულტურას და სხვ.

სამსახურებრივი ეტიკეტი – სამუშაოზე ადამიანთა ქცევის წესია. ვინაიდან ყოველ მუშაკს კონკრეტული თანამდებობის შესაბამისი უფლება-მოვალეობა გააჩნია, მათი ქცევის სპეციფიკური ნორმებიც ამის მიხედვით დგინდება. სამსახურებრივი ეტიკეტი მოიცავს ხელმძღვანელობასთან, ხელქვეითებთან, კოლეგებთან და პარტნიორებთან ურთიერთობას.

სამხედრო ეტიკეტი – სამხედრო მოსამსახურეთა საქმიანობისა და მათი ცხოვრების ყველა სფეროში ზოგად მიღებული წესების ერთობლიობაა.

სპორტული ეტიკეტი სპორტულ შეჯიბრებებში სპორტსმენთა სავალდებულო ქცევის დადგენილი წესებია.

სუფრის ეტიკეტი სუფრასთან ადამიანთა ქცევას განსაზღვრავს. მასში იგულისხმება საკვებისა და სასმელის მიწოდება, სუფრასთან მონაწილეობა დასმა, მაგიდაზე დანა-ჩანგლის, თეფშებისა და სასმისების დაწყობა, მოხმარება და სხვა წესები.

მეცნიერული მოდვაწეობა, როგორც წესი, სამეცნიერო ნაშრომის (აღმოჩენა, გამოგონება, მონოგრაფია, დისერტაცია, რეფერატი და სხვ) სახით ვლინდება. მისი დაწერა, გაფორმება, აპრობაცია (მოწონება, დადასტურება) და დაცვა გარკვეულ მეთოდიკასა და ეტიკეტს ანუ მოთხოვნათა და აკრძალვათა სისტემას ითვალისწინებს, რომელიც მთლიანობაში სამეცნიერო ეტიკეტს გულისხმობს.

სამედიცინო ეტიკეტი მჭიდროდაა დაკავშირებული სამედიცინო მოძღვრებასთან მედიცინის მუშაკთა საქციელის, მოვალეობის მორალისა და ეთიკის შესახებ.

სამოქალაქო ეტიკეტი ყოველი ადამიანისაგან მოითხოვს საზოგადოებაში მიღებული ქცევის იმ ნორმების დაცვას, რაც გათვალისწინებულია ქუჩაში, პრანსპორტში, მაღაზიაში, რესტორანში, კინოთეატრში, გამოფენაზე თუ ა.შ.

ეტიკეტი უნივერსალური ცნებაა, მაგრამ ამავე დროს, მას ყველა ერისათვის განსაკუთრებული დამახასიათებელი ეროვნულ-კულტურილი თავისებურები აქვს და მისი ნორმები სხვადასხვა სახის კულტურაში განსხვავებულად გამოიხატება.

ეტიკეტს, რომელიც ვლინდება ადამიანის მეტყველებაში სამეტყველო ურთიერთობაში, ეტიკეტი ჰქვია. ადამიანი ყოველდღიურად მრავალჯერ მიმართავს სამეტყველო ეტიკეტით მიღებულ გამონათქვამებს სხვა ადამიანებთან ურთიერთობისას, მაგალითად: მისალმებისას, დამშვიდობებისას, მადლობის გადახდისას, მობოდიშების დროს და სხვ. როგორც ვხედავთ, სამეტყველო ეტიკეტი თავაზიანობის ვერბალური ფორმების გამოყენებას ითვალისწინებს და საზოგადოების მიერ შემუშავებულ იმ სამეტყველო ქცევით ნორმებს შეადგენს, რომელიც ამა თუ იმ საზოგადოებას ახასიათებს.

აშკარაა, რომ საუბრისას მოლაპარაკე ბევრ სამეტყველო ფორმას (მაგ: გამარჯობა, როგორ ხარ?) თითქმის ავტომატურად იყენებს, რაც გულისხმობს იმას, რომ ასეთი სახის კონსტრუქციები მოცემულია სტერეოტიპული გამოთქმების სახით, რომლის გამოყენება შესაფერი უნდა იყოს განსაზღვრულ მომენტსა და სიტუაციაში. ამგვარი დიდად მრავალფეროვანი სტერეოტიპული გამონათქვამები სამეტყველო ეტიკეტის შემადგენელი ნაწილებია და მათი გამოყენება დამოკიდებულია ბევრ სხვადასხვა ფაქტორზე, როგორიცაა: მოლაპარაკეთა ასაკი, სქესი, სიახლოვის ან ძალაუფლების დონე და სხვ. საგულისხმოა, რომ გოდარდი და ვაჟბიცა სტერეოტიპულ გამოთქმებს “ლინგვისტურ რეტინებს” უწოდებენ. მათი განმარტებით, “ლინგვისტური რეტინები” უცვლელი გამონათქვამები ან გამონათქვამების თანმიმდევრობაა, რომლებიც სტანდარტიზირებულ კომუნიკაციურ სიტუაციებში გამოიყენება (მაგ: მისალმება, დამშვიდობება, მადლობის გადახდა) (Goddard, Wierzbichka 1997:249-250). ლინგვისტური რეტინები განპირობებულია როგორც ფორმით, ასევე სოციოკულტურული კონტექსტით.

სამეტყველო ეტიკეტის სწორი გაგება არა მხოლოდ სიტყვების ცოდნას გულისხმობს, არამედ სოციოკულტურული თავისებურებების ცოდნას მოითხოვს (Ступин 1980:7). როგორც უკვე აღინიშნა, ურთიერთობისას ადამიანების ეროვნულ-კულტურული ნორმები და მათთვის დამახასიათებელი ფორმები სამეტყველო ეტიკეტით ვლინდება და მათი დარღვევა ადამიანს მეტად არასახარბიელო სიტუაციაში აგდებს. მოლაპარაკეებმა ყოველთვის უნდა სცადონ დაიცვან მიღებული ქცევის ნორმები (მათ შორის უქველად გერბალურიც). რასაკეირველია, ეს ადვილი არ არის და დიდ ცოდნასა და ძალისხმევას მოითხოვს, განსაკუთრებით იმათგან, ვისაც უცხო კულტურის წარმომადგენლებთან უხდება ურთიერთობა, რადგან ამ შემთხვევაში

აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, რომ ის ქცევითი ნორმები, რომლებიც მიღებულია ერთ კულტურაში და გერბალურ გამოხატულებას მის სამეტყველო ეტიკეტში პოულობს, შესაძლებელია სრულიად მიუღებელი და ზოგჯერ შეურაცმელოველიც კი იყოს სხვა კულტურის წარმომადგენლისათვის.

ბევრ შემთხვევაში შეიძლება სიტყვასიტყვით ითარგმნოს ერთ ენაში მიღებული სამეტყველო ეტიკეტის გამონათქვამები, მაგალითად, ისეთი სამეტყველო ფორმულის გამოყენება, როგორიცაა “Help yourself” ინგლისელებში სამეტყველო ეტიკეტის გავრცელებულ გამონათქვამს წარმოადგენს, რომელსაც მასპინძელი წარმოთქვამს სტუმრის მიმართ, რათა მან მიირთვას კერძი, მაგრამ მისი პირდაპირი თარგმნა ქართულად, როგორც “დაეხმარეთ თქვენს თავს” გაუგებრობას გამოიწვევს. ანალოგიურად ქართველ ახლობელ ადამიანებს შორის გამომშვიდობებისას წარმოთქმული სამეტყველო ეტიკეტის გამონათქვამის “არ დაიკარგო” პირდაპირი თარგმნა ინგლისურად როგორც “Don't lost!” გაუგებრობის საგანი შეიძლება გახდეს ინგლისელი მსმენელისათვის.

როგორც ვხედავთ, ყველა ერის სამეტყველო ეტიკეტში მისთვის დამახასიათებელი ეროვნული კოლორიტი არსებობს, რაც ამ სამეტყველო ეტიკეტის ნორმებს განსაკუთრებულს ხდის.

ცნობილია, რომ სამეტყველო ეტიკეტის ცოდნა დიდად ეხმარება ადამიანს ბევრი მიზნის მიღწევასა და დადებითი, მზრუნველი ადამიანის იმიჯის შექმნაში. ყურადღების გამოხატვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანებს შორის სტაბილური ურთიერთობის ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებაში. ესეც რომ არ იყოს, რატომ არის, რომ მისალმებისა და დამშვიდობების გაცვლა ასეთი მნიშვნელოვანია? ერთის მხრივ, ასეთი გამონათქვამები იმდენად სტერეოტიპული გახდა, რომ ადამიანი ხშირად ავტომატურად წარმოთქვამს მათ, მაგრამ საკმარისია ადამიანს გამორჩეს ან მიზანმიუმართავად არ წარმოთქვას ისინი, რომ უცებ იქმნება არასასიამოვნო განცდა მეორე ადამინში, რომელიც ასეთ საქციელს უპატივცემულობად აღიქვამს. ყურადღების გამოხატვის ისეთ ნიშნებს, როგორიცაა, მაგალითად, მისალმება, დამშვიდობებას “მოფემებს” უწოდებენ. (Формановская 1989:52), ხოლო მალინოვსკი ასეთი სახის კომუნიკაციებს “ფატიკურ კომუნიკაციას “Phatic Communion””) არქმევს (Malinovski 1923:44).

აღსანიშნავია, რომ ვერბალური თუ არავერბალური ეტიკეტის წესების დარღვევის შემთხვევების განხილვისას აუცილებელია განვასხვაოთ

წარუმატებელი საქციელის მიზეზები, კერძოდ, საქმე შეიძლება გვქონდეს “უნებურ დარღვევასთან,” რასაც ასევე “კაზუსს” უწოდებენ (Камычек 1981:112). ასეთი დარღვევები განსაკუთრებით ხშირია სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებს შორის ურთიერთობისას, რაც აიხსნება მათ შორის “ზიარი ცოდნის” არარსებობით, როგორც ფოქსი აცხადებს: “თქვენი ინგლისური შესაძლებელია უმნიკვლო იყოს, მაგრამ თქვენი ქცევითი “გრამატიკა” აღსავს იყოს აშკარა შეცდომებით” (Fox 2004:62). მეორე სახის დარღვევებს “აფრონტები” ჰქვია (Камычек 981:113). აქ საქმე გვაქვს სამეტყველო ეტიკეტის როგორც კერძალური, ისევე არავერბალური ნორმების მიზანმიმართულ დარღვევასთან, რაც, ბუნებრივია, ადამიანებს შორის ურთიერთობის გამწვავების მიზეზი ხდება. საბეჭნიეროდ, ასეთი სახის დარღვევები საკმაოდ იშვიათია და ზოგადად, ადამიანები კარგი ურთიერთობის დამყარებისაკენ მიისწრაფვიან.

ქნობრივი ეტიკეტის დაცვა აუცილებელია როგორც წერითი, ისე ზეპირი მეტყველებისას. ზეპირი მეტყველებისას ამა თუ იმ სტერეოტიპისა თუ ენობრივი მახასიათებლის არჩევანი, ტრადიციულად, განპირობებულია მოსაუბრისა და მისი მსმენლის სოციალური სტატუსით, სოციალური როლით და მათი მიმართებით სხვა ფაქტორებთან (დრო, გარემო). ენობრივი ეტიკეტი მუდავნდება მეტყველებისას, მოსაუბრის მიმართვისას მსმენლისადმი ზეპირი თუ წერილობითი კომუნიკაციის დამყარების დროს. შევნიშნავთ, რომ ენობრივი ეტიკეტი საუბრის დაწყებისთანავე იჩენს თავს და გასტანს მთლიანი საუბრის განმავლობაში. მისალმება, შესაფერისად ბოდიშის მოხდა, თხოვნა, მადლობის გადახდა, დამშვიდობება და და ა.შ. არის ენობრივი ეტიკეტის ის ელემენტები, რომელთაც პირველ რიგში უუფლებიან ენის შესწავლისას, ვინაიდან ენობრივი ეტიკეტი მოითხოვს მისი ნორმების ზედმიწევნით ზუსტად დაცვას. მას, ვინც საქმიანი ურთიერთობისას იყენებს ქცევის კარგ, დახვეწილ მანერებს, არის თავაზიანი, ეძლევა რეალური შესაძლებლობა, განიმტკიცოს პოზიცია და შედეგად დიდი სარგებელი მიიღოს.

საქმიანი საუბარი წარმატებით წარიმართება, როდესაც კომუნიკანტები იჩენენ კომპეტენტურობას, კეთილმოსურნეობას, ტაქტს და ცდილობებს საკითხის ორივე მხარისათვის მისაღებად მოგვარებას. ვინაიდან საქმიანი საუბრის მონაწილეები შეიძლება იყვნენ სხვადასხვა ასაკის, სხვადასხვა საზოგადოებრივი მდგომარეობისა და სხვადასხვა კულტურის (ყოფის) წარმომადგენლები, მათი საუბრისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ენობრივი ეტიკეტის დაცვას.

მაგალითად, ინგლისურ ენაში ქართულისაგან განსხვავებით არ არის ფორმალური სხვაობა “შენ” / “თქვენ” ნაცვალსახელებს შორის, ორივე ნაცვალსახელს ინგლისურში ერთი (*you*) შეესატყვისება, ხოლო განსხვავებას შინაურულ და ოფიციალურ მიმართვებს შორის ქმნის ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: ინტონაცია, შესაფერისი სიტყვებისა და კონსტრუქციების გამოყენება. მაგალითად:

1. Excuse me, could you tell me the time please?

2. Hay you! What's the time?

პირველ მაგალითში, ცხადია, მოსაუბრე გულისხმობს თავაზიანობის გამომხატველ ნაცვალსახელს “თქვენ” (*you*) რასაც ცხადყოფს ამავე სემანტიკის გამომხატველი ენობრივი ელემენტები: “excuse me”, “could” და “please”, ხოლო მეორე მაგალითში მიმართვა შინაურულია. ეს ორი მაგალითიც ცხადყოფს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია თავაზიანი ფორმების გამოყენება და ენობრივი ეტიკეტის ნორმების დაცვა მეტყველებისას, დაძაბული სიტუაციების და გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად.

საქმიანი საუბრისას თავაზიანი უნდა იყოს არამარტო საუბრის ტონი და ენობრივი ნორმები, არამედ ჟესტ-მიმიკაც თავაზიანობას უნდა გამოხატავდეს. თავაზიანობა შეხვედრისას, ინტერესი მოსმენისას, ყურადღება აზრთა გაცვლისას, თანაგრძობა და ტაქტი კრიტიკის და შენიშვნის მიცემისას – ყველა ეს ფაქტორი უმნიშვნელოვანესია საქმიანი ურთიერთობისას.

კულტურათშორისი კომუნიკაცია დიდ როლს თამაშობს ნებისმიერი კულტურის განვითარებაში. ყველა კულტურას გააჩნია ენობრივი სისტემა, რომლის მეშვეობითაც ეძლევათ კულტურის მატარებელთ ერთმანეთთან ურთიერთობის შესაძლებლობა. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ენის მეშვეობით ჩვენ გადავცემთ მოსაუბრეს ინფორმაციის 35%-ზე მეტს. ენასთან ერთად არსებობს ინფორმაციის გადაცემ ის უმრავი არავერბალური საშუალება, ურთიერთობის ასეთი ხერხები მეცნიერებმა გააერთიანეს არავერბალური კომუნიკაციის ცნებაში, ესენია: ჟესტები, მიმიკა, პოზა, ვარცხნილობა, ტანსაცმელი, ადამიანის გარემომცველი საგნები, ყველა მათგანი ურთიერთობის განსაზღვრული სახეობაა, რომლებიც უსიტყვოდ ხდება, მათზე ინფორმაციის დარჩენილი 65% მოდის, რომელიც კომუნიკაციის პროცესში ხორციელდება.

ვერბალური და არავერბალური ურთიერთობების ელემენტების შერწყმა სხვადასხვა კულტურაში სხვადასხვაა.

რაც შეეხება ვერბალური და არავერბალური ურთიერთობების ელემენტების შერწყმას, იგი სხვადასხვა კულტურაში განსცხვავებულია. არის კულტურები, სადაც მცირეა სიტყვიერი გამოთქმები, ეს რომ გავიგოთ, საჭიროა კარგად წარმოვიდგინოთ, როგორ სიტუაციაში წარმოითქვა, ვინ თქვა, ვის უთხრა და როგორი ფორმით, მაგრამ არის კულტურებიც, სადაც გასაგებად საკმარისია მხოლოდ სიტყვიერი გამონათქვამები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არსებობს კულტურები, რომლებშიც კონტექსტი ძალიან მნიშვნელოვანია, და კულტურები, სადაც კონტექსტის მნიშვნელობა არაა დიდი. კომუნიკაციისა და არავერბალური სემიოტიკის ურთიერთმიმართებაზე მსჯელობისას ყურადსაღებია სტეფანენკოს შეხედულება, რომელიც მიიჩნევს, რომ არსებობს მაღალკონტექსტური და დაბალკონტექსტური კულტურები (Степаненко 2000: 151-161). კრასნიხი ასე ხსნის ამ მოვლენას: ამ დროს მოიაზრება შემდეგი; რას ექვემდებარების კონტექსტის შინაარსს ანუ რა ითქვა, თუ შეტყობინების კონტექსტს, ანუ როგორ ითქვა, ვისთვის ითქვა და რა სიტუაციაში (Красных, 2002:225). უნდა აღინიშნოს, რომ მაღალკონტექსტური კულტურის წარმომადგენლები საუბრობენ შემოკლებულ ენაზე, ხოლო დაბალ კონტექსტური კულტურისა— გაფართოებულზე. მაღალკონტექსტური კულტურის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ჩინური ენა, აუცილებელია ვიცოდეთ ქართველი, ვიცნობდეთ ცნობილი პიროვნებებისა და ჩინეთის ისტორიას. აგრეთვე უნდა ვიცოდეთ წარმოთქმის სისტემა, რომელშიც 4 ტონია. თანაც ტონის შეცვლა ცვლის მნიშვნელობას. გამონათქვამის აზრის გაგება შეუძლებელია, თუ ჩვენთვის უცნობია ადრესატის სოციალური სტატუსი. საქმე ისაა, რომ ჩინურ ენაში (ისევე როგორც ბევრ სხვა აზიურ ენაში) მოსაუბრესთან დამოკიდებულება განისაზღვრება ადამიანის სოციალური მდგომარეობით. ეს ხდება კწ. საპატიო და შეურაცხმყოფელი სიტყვების მეშვეობით. ასე მაგალითად, ამერიკელები გაურბიან ქცევის ფორმალურ კოდებს, ტიტულებს, სხვებთან ურთიერთობისას თაყვანისცემასა და რიტუალებს. ისინი უპირატესობას ანიჭებენ იმას, რომ მოსაუბრეს სახელით მიმართონ, არ განასხვაონ სქესის გამო. იაპონელები კი ფორმალობას დიდ უპირატესობას ანიჭებენ. მაშ, ასე: კულტურები განსხვავდება ერთმანეთისგან. დასავლეთში მეტყველება საუბრის კონტექსტისაგან დამოუკიდებლად აღიქმება, ამიტომაც ის

შეიძლება განვიხილოთ ცალკე, სოციალური კონტექსტის გარეშე და პირიქით, აზიურ და აღმოსავლურ კულტურაში, რომელთათვისაც კონტექსტს დიდი მნიშვნელობა აქვს, სიტყვები ითვლება მთლიანად კომუნიკაციური კონტექსტის შემადგენელ ნაწილად, რომელშიც ჩართულია აგრეთვე ურთიერთობის მონაწილეთა პირადი ხასიათები და მათი პიროვნებათშორისი ურთიერთობანი, ამრიგად, ასეთ კულტურაში ვერბალური გამონათქვამები მჭიდროდ უკავშირდება ეთიკას, პოლიტიკასა და სოციალურ ურთიერთობებს.

აზიაში ხაზგასმულია ემოციებისა და საკუთარი თავის კონტროლი. ეს გამოხატულია შემდეგში: მოსაუბრემ მაშინ უნდა წამოიწყოს საუბარი, თუკი რაიმე მნიშვნელოვანი აქვს სათქმელი, აქვს კარგი გადმოცემის უნარი, ორატორის ნიჭი და საუბრისას არ გამოხატავს პირად ემოციებს, ამიტომაც ძირითადი აქცენტი აზიურ კულტურაში კეთდება ზეპირსიტყვიერების მოწყობის ტექნიკაზე, მათი წარმოქმნის მანერაზე დადგენილი საზოგადოებრივი ურთიერთობის შესაბამისად, რომლებშიც პიროვნებათა მიერ საზოგადოებაში განსაკუთრებული ადგილით განისაზღვრება. ამასთანაა დაკავშირებული აზიურ კულტურაში სიტყვისადმი ტრადიციული უნდობლობა, დასავლეთისაგან განსხვავებით, სადაც ყოველთვის სწამდათ სიტყვის ძალა.

აზიური და აღმოსავლური კულტურის ხალხები დიდ ყურადღებას აქცევენ მკაცრ მანერებსა და ეტიკებს. სიტყვისადმი ფრთხილი დამოკიდებულება აზიურ კულტურაში იმაში გამოიხატება, რომ აზიელები ნებისმიერ სიტუაციაში ცრდილობენ იყვნენ თავშეკავებულნი. წინდახედულება ხშირად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სიმართლე.

როგორც კრასნიხი წერს, სიტუაციურად განპირობებული და კონტექსტზე ორიენტირებული კულტურებისთვის დამახასიათებელია არაკონკრეტულობა კომუნიკაციის პროცესში, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსაუბრე თავს არიდებს მეტყველების პროცესში კატეგორიულობას. მას მაგალითისათვის მოჰყავს იაპონური კულტურა, რომლისთვისაც მიუღებელია პირდაპირი შეკითხვების და პასუხების გამოყენება კომუნიკაციის პროცესში.

ანალოგიური სიტუაცია გვაქვს ქართულ ენაშიც. ქართულ კულტურაში პირდაპირ გაცემული პასუხები გარკვეულ უხერხულობას ქმნის. მაგალითად, კომუნიკაციის პროცესში მოსაუბრე ყოველთვის ცდილობს თავი აარიდოს უარის გამომხატველ პირდაპირ ფორმას ”არა”, ამ დროს ის ეძებს გამოსავალს

შეცვალოს “არა” სხვა სიტყვებით, ანუ იწყებს მობოდიშებას, ახსნას, უარის თქმის გამომწვევი მიზეზების დაკონკრეტებას, არგუმენტების მოყვანას და ა.შ.

ხუთი თვე გავიდა. ზამთარი იყო. ქალაქიდან ბრუნდებოდა ფილიპე. არჩილის ჭიშკარზე უნდა ჩამოევლო. არჩილმა თვალი მოჰკრა აიგნიდან მიმაგალ ფილიპეს და დაუძახა:

— მობრძანდი, ხილი იხილე, ჩრდილი იჩრდილე, ბუხარზე გათბი და მერე წაბრძანდიო.

ფილიპებაც ცოტა გაიპატიქა თავი, მაგრამ უარ-უარობით ჩამოვიდა ეზოში, ჩამოხტა, ჯორი ბიას მიაბა და სახლში შევიდა... (ლორთქიფანიძე 2010:26).

მაშინ, როცა აშშ-ს მცხოვრები თავიანთ აზრს გამოხატავენ უფრო პირდაპირ, ნათლად და ზუსტად. პიროვნული ურთიერთობებისას ცდილობენ გვერდი აუარონ გაჩუმებას, ამბობენ იმას, რასაც ფიქრობენ. ევროპული კულტურების უმრავლესობას, რომელთათვის კონტექსტი არც ისე მთავარია (ფრანგული, ინგლისური, გერმანული), აქვს მსგავსი კულტურული ტრადიციები. ეს კულტურები უაღრესად იწონებენ მათ, ვინც აზრსა და გრძნობებს ზუსტად, ნათლად და უბრალოდ გადმოსცემენ.

რამდენადაც არავერბალური ნიშნები ატარებს ძალიან დიდ ემოციურ დატვირთვას, აღმოსავლეთში მათი ენა უფრო ნორმირებულია, რაც საშუალებას იძლევა, რომ ეს კულტურა განხილულ იქნეს, როგორც “არაკონტაქტური”. არაკონტაქტურ კულტურას შეიძლება მიეკუთვნონ სკანდინავიულები და ჩრდილოეთ ევროპაში მცხოვრები სხვა ხალხები, აგრეთვე ინდოეთის და პაკისტანის მოსახლეობა, სადაც ადამიანის, განსაკუთრებით უცნობის, ჯიქურ დათვალიერება ასევე მიუღებლად ითვლება.

დასავლური კულტურა, ისევე როგორც ქართული კულტურა პირიქით, გულისხმობს გახსნილობას, ფართო ქესტიკულაციას (სამხრული ფორმა უფრო მეტად, ვიდრე ჩრდილოური) და მიეკუთვნება მხედველობითი კონტაქტის კულტურებს. ესპანელებთან, პორტუგალიელებთან, იტალიელებთან, ლათინოამერიკელებთან ურთიერთობაში მზერას გაცილებით დიდი მნიშვნელობა აქვს. ქართული კულტურისათვისაც მხედველობით კონტაქტს ასევე აქვს მაღალი კომუნიკატორული და ეთიკური დატვირთვა, რაც წარმოადგენს ნდობის მაჩვენებელს (“თვალებში სიმართლის ძებნა”).

გარდა ამისა, კონტაქტურ კულტურათა წარმომადგენლების საუბრის დროს ერთმანეთთან ახლოს დგანან და ხშირად ეხებიან ერთმანეთს. ასე მაგალითად, შეა და ჩრდილოეთ ევროპის მცხოვრებთათვის საუბრის ნორმალურ დისტანციას შეადგენს საშუალოდ ერთი მეტრი, სამხრეთელებისათვის კი ნორმად ითვლება ნაკლები მანძილი. რესტორანში მაგიდასთან მჯდომი წყვილი პარიზში ერთი საათის განმავლობაში საშუალოდ 110- მდე ეხება, ლონდონში –არცერთჯერ, ჯეპსონვილში (აშშ) –დაახლოებით 8-მდე, რომში – 130-მდე. გავიხსენოთ იტალიური კონფილმები და დარწმუნდებით, რომ მათი ტემპერამენტიანი პერსონაჟები საუბრისას თითქმის მჭიდროდ ეხებიან ერთმანეთს და ამასთან არ დაუწევენ ხმას.

საერთოდ, ამერიკული კულტურის დიდი კონტაქტურობა, ჩვენი აზრით, შეიძლება აიხსნას აზროვნების პოზიტიურობით, თავისთავში დარწმუნებულობით, იმის წარმოდგენით, რომ შეუძლიათ მოიმოქმედონ რაიმე სოციალურად მოსაწონი. პირიქით, ქართველ ადამინს ხშირად აქვს რაიმე ცუდის მოლოდინი, წინასწარ განცდა. ასე, მაგალითად, ქართველებისათვის დამახასითებელ კითხვაზე როგორაა საქმეები? ამერიკელი პასუხობს *fine*, მშენებრად, ქართველი – ნორმალურად, არა უშავს, არც ისე ცუდად.

ცხადია, რომ იმ ადამიანებთან ჩვენი ურთიერთობა, რომლებიც სხვა ენაზე ლაპარაკობენ და გერბალური ქცევების განსხვავებულ სისტემებს იყენებენ, ადვილად შეიძლება მიგვიყვანოს გაუგებრობასთან ან მცდარ შეხედულებებთან, თუ ჩვენ ვიფიქრებთ, რომ მათი ურთიერთობის ვერბალური სისტემა ჩვენსას ემთხვევა.

არავერბალური კომუნიკაციის ზოგიერთ ნორმა საერთოეროვნული ან ეთნიკურია. ევროპაში მისაღმებისას ხელს ართმევენ, ინდოეთში კი ორივე ხელს მკერდთან მიიტანენ და ოდნავ იხრებიან, კორელაცია მისაღმებისას ორივე ხელს იქნევენ, ქალები კი მსუბუქად ხრიან თავს. ფილიპინელები ერთმანეთს თვალის ხამხამით ესაღმებიან. ამგვარი მისაღმების ფორმა მიუთვებელია დასავლური კულტურისათვის.

მრავალ სიტუაციაში სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთან კონტაქტისას ყალიბდება წარმოდგენა, თითქოს ადამიანები არაბუნებრივად იქცევიან. თუ ამერიკელი საკუთარ თავზე ლაპარაკობს საჩვენებელი თითოთ საკუთარ მკერდზე მიინიშნებს, ეს კი იაპონელებს უცნაურ უცხტად მიაჩნიათ, მაშინ როცა, ახეთ შემთხვევაში ისინი თავის ცხვირს ეხებიან. ჩინელები დღესაც

გაურბიან უცნობებთან კონტაქტს, მათთვის მაგრად ხელის ჩამორთმევა ისევე მიუღებელია, როგორც ეპროპელისა და ამერიკელისათვის მხარზე ხელის დარტყმა, რაც ნიშნავს - ჯანმრთელად იყავი.

როდესაც ფრანგი, გერმანელი ან იტალიელი რაიმე იდეას სისულედედ თვლის, ის გამომსახულები იკავუნებს თავზე, ხოლო თუ გერმანელი გაშლილ ხელისგულს მიირტყვამს შებლზე, ეს თავისი მნიშვნელობით ტოლია წამოძახილისა: შენ შეიშალე! გარდა ამისა, გერმანელებს, ისევე როგორც ფრანგებსა და იტალიელებს, ახასიათებთ საჩვენებელი თითოთ თავთან სპირალის მოხაზვა, რაც ნიშნავს უაზრო იდეა... პირიქით, როცა ინგლისელი ან ებანელი იკავუნებს შებლზე, ყველასთვის გასაგებია, რომ ის კმაყოფილია, და ამასთან, არა ვინმეთი, არამედ საქუთარი თავით. როდესაც პოლანდელი იკავუნებს შებლზე და ამ დროს საჩვენებელ თითს ზევით სწევს, ეს ნიშნავს, რომ მან დირსევულები შეაფასა თანამოსაუბრის გონება, როცა ფრანგს სურს რაიმეს დაზუსტება, ის აერთებს ხამი თითის დაბოლოებებს, მიიტანს ტუჩებთან, მაღლა ახწევს ნიკაპს, აგზავნის პაუროვან კოცნას. ამგვარი უეხტი ქართულ კულტურაში ნიშნავს შენ გენაცვალე, ან რაიმეს მოწონების შემთხვევაში კბმარობთ. მაგრამ როცა ფრანგი საჩვენებელი თითით იწმენდს ცხვირის ძირს, ის იძლევა გაფრთხილებას: აქ მოლად წმინდად არ არის საქმე, ფრთხილები, ვიღაცის ნდობა არ შეიძლება. ეს უეხტი ძალიან ახლოსაა იტალიელების საჩვენებელი თითით ცხვირზე დაკავუნებასთან და აღნიშნავს წინ საშიშროებაა, ფრთხილები. პოლანდიაში ამ უეხტს სხვა მნიშვნელობა აქვს – შენ მოვრადი ხარ, ინგლისში ნიშნავს კონფიდენციალობას, ხაიდუმლოს. გადაჯვარედინებული თითები ახალი წელთაღრიცხვის დახაწყისში პირველ ქრისტიანთა შორის წარმოიშვა. იგი ფარულად ჯვარსგამოხახვ და მორწმუნებისათვის ის ურთიერთშეცნობის ხაშუალებას წარმოადგენდა. დღეს ამ უეხტმა სხვა მნიშვნელობა შეიძინა, კერძოდ, ინგლისესა და აშშ-ში იგი აღნიშნავს: მისურვე წარმატება, საბურძნელში – მე შენი მეგობარი აღარ ვარ, თურქეთში – ურთიერთობის გაწყვეტის მოახლოებას, ხოლო პარაგვაიში – შეურაცხოფას. ეს უეხტი, ოდნავ მოდიფიცირებული ფორმით, სახელდობრ, საჩვენებელი და შეა თითების შეერთებით, ეგვიპტეში გულისხმობს ასეთ შეკითხვას: ხომ არ გსურთ ჩემთან დაწოლა? თითების მოძრაობას აქეთ-იქეთ აქვს ბეჭრი განსხვავებული მნიშვნელობა, იტალიაში, საფრანგეთსა და ფინეთში ის შეიძლება ნიშნავდეს მსუბუქ განსჯას, მუქარას ან მოწოდებას ნათქვამის

მოსმენისაკენ. პოლანდიასა და საფრანგეთში ასეთი უქციები უბრალოდ უარს ნიშნავს. თუ უქციებს აზრის გამოთქმას ახლავს, მაშინ საჩვენებელ თითს იქნებენ აქტო-იქით თავთან ახლოს.

თითების მოძრაობას აქტო-იქით აქვს ბევრი განსხვავებული მნიშვნელობა. იტალიაში, საფრანგეთში და ფინეთში ის შეიძლება ნიშნავდეს მსუბუქ განსჯას, მუქარას, ან მოწონებას ნათქვამის მოსმენისაკენ. პოლანდიასა და საფრანგეთში ასეთი უქციები უბრალოდ უარს ნიშნავს. თუ უქციებს აზრის გამოთქმაც ახლავს, მაშინ საჩვენებელ თითს იქნებენ აქტო-იქით თავთან ახლოს.

ადამიანურ თვისებებსა და ცხოვრებისუჟღლი მოვლენებზე სხვადასხვა კულტურის განსხვავებული, ზოგჯერ რადიკალური შეხედულებები, მათ ურთიერთობაში მნიშვნელოვან წინააღმდეგობებს ქმნის, რაც ინდივიდების ქცევაზე, და ბუნებრივია, ეტიკეტზეც გარკვეულ გავლენას ახდენს.

ეტიკეტის უპირველესი წესია მისალმება, თუმცა სხვადასხვა ხალხი განსხვავებულად ესალმება ერთმანეთს. ქართველები ჩვეულებრივ ესალმებიან როგორც წესი, გამოთქმებით: დილა მშვიდობისა, გამარჯობა, საღამო მშვიდობისა და ა.შ. ძველ დროში ჩინელები, მონდოლები და ეგვიპტელები შემხვედრს ასე ეპითხებოდნენ: დღეს ჭამეთ? ან თქვენი საქონელი ჯანმრთელია?

მისალმების დროს მოძრაობა და უქციები კიდევ უფრო მრავალფეროვანია.

მაგალითად: ქართველები, ამერიკელები, ინგლისელები, ზოგადად უკროკელები, მისალმების უქციელ ხელის ჩამორთმებას იყენებენ, ლათინოამერიკელები ერთმანეთს ეხვევიან, ფრანგები ლოფაზე კოცნიან, სამოქლები ენოხავენ, პილიპინელები თვალის ხამხამით ესალმებიან, იაპონელები თავს ხრიან. ინდოელთა მრავალ ტომში უცნობის ხილვისას დღემდე შენარჩუნებულია ჩაცუცქული ჯდომა, ხანამ ის არ მიუახლოვდება და არ შეამჩნევს ამ “მშვიდობისმოყვარე” პოზას, ამ დროს ფეხსაცმელსაც იხდიან. ტიბუტელები მისალმებისას მარჯვენა ხელით იხდიან თავსაბურავს, მარცხენა ხელით ყურს იფარავენ და კიდევ, უნა გამოყოფენ.

მიუხედავად ასეთი მრავალფეროვნებისა, ყოველი მისალმება, როგორც წესი, თავის მსუბუქი დახრით, მოდიმარი სახით, სასიამოვნო გამოხედვით, ხელის ჩამორთმევითა და სხვათა თანხლებით სრულდება. ყველაფერი სიტუაციასა და ადამიანთა შორის ურთიერთობის დონეზეა დამოკიდებული.

საუბრის დაწყებამდე მისალმების ყველაზე გავრცელებული ფორმაა ხელის ჩამორთმევა. მიღებულია, რომ მამაკაცმა ხელის ჩამოსართმელად აუცილებლად უნდა წაიძროს ხელთათმანი თუ შეხვედრა ხდება ზამთარში ქუჩაში. ამ ქესტის წარმოქმნა დაკავშირებულია იმის ჩვენებასთან, რომ ხელი უიარადოა. მასთან ხელის ჩამორთმევის დროს ჯერ კაცს ართმევენ ხელს შემდეგ კი - ქალს.

- გადმოვიდა ჩექმებიანი მძღოლი, ჯერ გიას გაუწოდა ხმელი, ციკი ხელი, მერე თინას (ინანიშვილი 2010:30).

ამრიგად, მისალმების სხვადასხვა ვარიანტის ფსიქოლოგური მნიშვნელობის გათვალისწინებით შეიძლება ურთიერთობის პირველსავე წუთებში განვჭრიტოთ მისი შემდგომი განვითარება და, შესაბამისად, საპასუხო მოქმედების იმ ვარიანტი შერჩევა, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება თანამოსაუბრის განზრახვებს ურთიერთობის კონკრეტულ სიტუაციაში.

დასავლურ ცივილიზაციათა უმეტესობაში, როცა დგას მარჯვენა და მარცხენა ხელის როლის საკითხი, არცერთ მათგანს არ ეძლევა უპირატესობა (გარდა, რა თქმა უნდა, ტრადიციული ხელის ჩამორთმევისა მარჯვენა ხელით). მხოლოდ ახლო აღმოსავლეთში, ისევე როგორც სხვა ისლამურ სახელმწიფოებში, როგორიცაა ქავეიტი, სირია ან მალაიზია, არ შეიძლება ვინმესთვის საკვების, ფულის ან საჩუქრის მიწოდება მარცხენა ხელით. იქ მას უსუფთაო ხელად მიჩნევენ.

თუკი მაგალითად, ქართველი ისევე როგორც ამერიკელი მაღაზიაში რაიმეზე ხელით მიუთითებს, ფილიპინებში—ხელის მითითების ნაცვლად თვალით უთითებენ, ხოლო ტაივანსა და ჩინეთში მისალმებისას გამოიყენება გაშლილი ხელი. ტაივანში არ სწევენ ზევით საჩვენებელ თითს—ის მხოლოდ ცხოველების დასახმობად (ცხოველებთან) იხმარება.

აზიურ და აღმოსავლურ კულტურაში ჩვეულებრივი მოვლენაა, როცა ქუჩაში ორი მამაკაცი ხელისელჩაკიდებული დასეირნობს, ეს უბრალო მეგობრობის გამოხატულებაა, რაც მიუდებელია ამერიკელებისთვის, ამერიკაში ის ნეგატიურად ითვლება: ასეთ ადამიანებს ჰომოსექსუალებად აღიქვამეს.

ამასთან ერთად, ყველა ხალხისა და კულტურების წარმომადგენლებში შეიმჩნევა საერთო ნიშნებიც. საერთოა — მიმიკური გამოხატულება ემოციისა: სიხარულის და გაოცების, ნაღველისა და რისხვის, დაინტერესებულობისა და შიშის. მას ყურადღება მიაქციეს მეზღვაურებმა, შორეული მიწების

აღმომჩენებმა. ყველა მხარეში აბორიგენები, რომლებიც არ იცნობდნენ თეთრკანიანთა მიმიკებს, მომხვდურებს ხვდებოდნენ დიმილით ან აგრესიული გრიმასებით – თავიანთი დამოკიდებულების შესაბამისად, და ეს დამოკიდებულება პირველი შეხედვისთანავე, უსიტყვოდ იყო გასაგები.

რა თქმა უნდა, მიმიკურ გამოხატულებებშიც არსებობს გარკვეული კულტურული განსხვავებები. მაგალითად, ჩინელებს ამერიკელ ტურისტებთან პირველი შეხვედრისას უჩნდებოდათ გაუკირვების გრძნობა, თუ რის გამო პრაზობდნენ განუწყვეტლივ მათი სტუმრები. საქმე ისაა, რომ ჩინეთში აწეული წარბები რისხეის ნიშანია, მაშინ, როცა ამერიკელები აღგილობრივი ღირსშესანიშნაობების ნახვისას აღფრთოვანებას გამოხატავენ მათვის ჩვეული მანერით წარბების ზევით აწევით. გერმანელები ზევით სწევენ წარბებს ვინწებს იდეით გამოწვეული აღრფთოვანების ნიშანი. ქართულ კულტურაში წარბების აწევა გაოცების, გაუკირვების, ხშირად გაბრაზების გამომხატველიც კი არის. მოვიყვანოთ ნაწყვეტი ქართული მოთხოვნიდან “ბუკინისტების სამმო”:

ვიტრინაზე ვიდაც მიკაკუნებს. მაისაძეა, აფერისტი, მანიშნებს გარეთ გამოდიო. ცალი წარბი მაღლა აუქაჩავს, – რაღაცაშია საქმე! როგორ გავიდვ, თენცო არ არის.

შენ შემოდი-ძეთქი.

გამოდი, გამოდიო! – იმ წარბს კიდევ უფრო მაღლა ქაჩავს (შატაიძე 2010:182). ასეთნაირ ქცევას ინგლისში გაიგებენ სკეპტიციზმად. თავის მხრივ, დასავლელი ვიზიტორები აღმოსავლეთის ხალხს ორპირებად აღიქვამენ, რამდენადაც მათი სახიდან არასოდეს არ ქრება დიმილი მაშინაც კი, როცა ურთიერთობა არაფერ სასიამოვნოს არ გულისხმობს.

ამრიგად, ჟესტების გამოყენებისას დიდი სიფრთხილეა საჭირო, რამეთუ ერთი და იგივე ჟესტი შესაძლოა სხვადასხვა ინტეპრეტაციის მქონე იყოს კულტურათა გამსხვავებულ ტიპებში. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არაგერბალურ სემიოტიკაში ე.წ. ჟესტების უნივერსალიზმის პრობლემასთან. ბოლო წლებში დიდი ყურადღება ექცევა ჟესტების მრავალფეროვნებისა და მათი დანიშნულების შესწავლას, რამეთუ ჟესტების ინტეპრეტაცია ცვალებადია კულტურიდან კულტურაში. მართალია, არსებობს ჟესტები, რომლებიც უნივერსალურ ხასიათს ატარებენ ყველა კულტურაში, მაგრამ არსებობს ისეთებიც, რომლებიც უნიკალურია მხოლოდ რომელიმე კონკრეტული ენისათვის.

კულტურის განსხვავებულ ტიპებში ჟესტების როლისა და განსაზღვრის მიზნით ჩვენ გავეცანით საკმაოდ საინტერესო და მრავალფეროვან ლიტერატურას.

“O.K”-ის მნიშვნელობა კარგადაა ცნობილი ყველა ინგლისურენოვან ქვეყანაში. აგრეთვე ევროპასა და აზიაში. ზოგიერთ ქვეყანაში კი მას სრულიად განსხვავებული წარმოშობა და მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, საფრანგეთში იგი აღნიშნავს “ნულს”, “არაფერს”, იაპონიაში – “ფულს”, ხოლო ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში ეს ჟესტი გამოიყენება მამაკაცთა პომოსექსუალობის აღსანიშნავად, ამიტომ სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობა უნდა დაექვამდებაროს წესს “სადაც წახვალ, იქაური ქუდი დაიხურე” (“Когда вы в Риме, делайте то же, что и все Римляне” – საკუთარი წესებით სხვის მონასტერში არ დადიან) რათა თავიდან ავიცილოთ შესაძლო უხერხული სიტუაციები. მაგალითად, ამერიკაში, ინგლისში, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში მაღლა აწეულ დიდ თითო სამი მნიშვნელობა აქვს: ჩვეულებრივ იგი გზაში “მანქანის გასაჩერებლად” გამოიყენება. მეორე მნიშვნელობა – ყველაფერი რიგ ზეა”, ხოლო როცა დიდი თითო მკვეთრად ამოვარდება ზევით, ეს უცებზურო, გინების აღმნიშვნელი, შეურაცხეოფის ნიშანი ხდება. ზოგიერთ ქვეყნებში, მაგალითად, საბერძნები ეს ჟესტი აღნიშნავს “ხმა ჩაიგდე, ჩაიკმინდე”. ამიტომაც წარმოვიდგინოთ ამერიკელის მდგომარება, რომელიც ამ ჟესტით მანქანის გაჩერებას ცდილობს.

როცა იტალიულები ერთიდან ხუთმდე ითვლიან ეს ჟესტი ციფრ “1”-ს აღნიშნავს, ხოლო საჩვენებელი თითო “2”. ასეთ შემთხვევაში როცა ამერიკელები და ინგლისელები ითვლიან საჩვენებელი თითო “1” აღნიშნავს, შეათითო “2”, ხოლო დიდი თითო – “5”-ს.

ეს ნიშან-თვისებები მიგვითითებენ იმაზე, თუ რა გაუგებრობამდე შეიძლება მიგვიყვანოს ჟესტების არასწორმა განმარტებებმა, მოსაუბრეთა ეროვნული თავისებურებების გაუთვალისწინებლობამ, ამიტომ სანამ რაიმე დასკვნებს გავაკეთებდეთ ჟესტებისა და სხეულის ენის მნიშვნელობაზე, აუცილებელია ადამიანის ეროვნული კუთვნილება გავითვალისწინოთ, ან თუნდაც “თვალების ქცევა” რომელიც სხვადასხვა კულტურაში სხვადასხვაა, რომელთა უცოდინრობამ შეიძლება გაუგებრობა გამოიწვიოს. ასე მაგალითად, თუ აშშ-ში თეთრკანიანი მასწავლებელი შენიშვნას აძლევს შაგიანიან სტუდენტს, რომელიც საპასუხოდ თვალებს დაბლა ხრის, მასწავლებელი

შეიძლება განრისხდეს. საქმე ისაა, რომ შავკანიანები ასეთ უკატით პატივისცემას გამოხატავენ, ხოლო თეთრკანიანებისათვის პატივისცემის გამოხატულება პირდაპირ გამოხდვაა.

ჩრდილო ამერიკელებისათვის თვალის ჩაკვრა ნიშნავს ფლირტს, მსუბუქ გაარშიყებას. თუ ნიგერიელი თვალს ჩაუკრავს თავის შეიძლებს, ეს იმას ნიშნავს, რომ მათ ოთახი უნდა დატოვონ, ხოლო ინდოეთში და ტაილანდში თვალის ჩაკვრა შეურაცხყოფაა. ასევე ტაილანდში მიუღებელია ფეხის ფეხზე გადადება, საქმე ისაა, რომ ტაილანდელი ფეხს სხეულის ყველაზე არასასიამოვნო და მდაბალ ნაწილად მიიჩნევს. თუ ჩრდილოამერიკელი სტუდენტი ასე დაჯდება პროფესორის წინ, იმიტომ რომ მიხოვთ ასეა მოხერხებული, აფრიკულ და აზიურ კულტურაში უზრდელობად და უპატივცემულობად ჩათვლიდა.

ცნობილია ათასზე მეტი სხვადასხვა სახის გამომეტყველება, რომლის მიღება ადამიანს შეუძლია. როგორც კინესიკის სხვა ელემენტები, პოზაც განსხვავებულია, სხვადასხვა კულტურაში, მაგალითად: ყველა დახავლელი ზის სკამზე ფეხი ფეხზე გადადებული, მაგრამ თუ ამერიკელი ტაილანდშია და ასე დაჯდება და ფეხებს ტაილანდელისაკენ მიწვევს, ტაილანდელი თავს შეურაცხყოფილად და დამკირებულად იგრძნობს. საქმე ისაა, რომ ტაილანდელი, იაპონელი, ჩინელი ფეხს სხეულის ყველაზე არასასიამოვნო და მდაბალ ნაწილად მიიჩნევს. ამერიკელისათვის ეს ჩვეულებრივი უების. თუმც, მაგალითად, ამერიკელი მაღაზიაში რაიმეზე ხელით მიუჰითებს, ფილიპინებში—ხელის მითითების ნაცვლად თვალით უთითებენ, ხოლო ტაივანისა და ჩინეთში მისალმებისას გამოიყენება გაშლილი ხელი. ტაივანში არ სწევენ ზევით საჩვენებელ თითხ, ის მხოლოდ ცხოველების დასახმობად (ცხოველებთან) იხმარება.

ყოველივე ზემოთქმული შემდეგი ცხრილის სახით შეიძლება წარმოვადგინოთ:

არავერბალური კომუნიკაცია	დასავლეთი	აღმოსავლეთი	ქართული
მისალმება	ამერიკაში მისალმებისას ხელს ართმევენ	აზიაში მისალმება თავის დაკვრით გამოიხატება.	ქართულ კულტურაში ხელის ჩამორთმევით და თავის დაკვრით

	ერთიმეორებს.		
პირადი სიგრცე/ შეხება	დასავლელები ჩვეულებრივ საუბრისას არ ეხებიან ერთიმეორებს. დასავლეთში საუბრისას უპირატესობას ანიჭებენ დისტანციის დაცვას.	აღმოსავლელი ხალხი შეხებაზეა ორიენტირებული. ჩინქოში სახალხო ადგილების სიმცირის გამო, ერთმანეთთან დგანან ახლოს, ვიდრე დასავლეთში	ქართული კულტურაც შეხებით ორიენტირებულია, საუბრის დროს ქარ თველები ეხებიან ერთიმეორებს.
თვალებით კონტაქტი	დასავლურ ქვეყნებში თვალებით კონტაქტს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ამერიკელები არ ენდობიან მათ ვინც თვალებში არ უცქერის	აღმოსავლურ კულტურაში უპატივცემულობად ითვლება ადამიანზე დაჟინებული ცქერა, ინდოეთსა და ტაილანდში თვალის ჩაკვრა შეურაცხყოფაა.	ისევე როგორც დასავლეთში თვალებით კონტაქტს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება
ზოგადად უსტიკულაცია	დასავლელები გამოირჩევიან უსტიკულაციით, ხშირად საუბრის ნაცვლად მიმართავენ უსტიკულაციას. განსაკუთრებით ხელის, თავის მოძრაობებს.	უსტიკულაცია აღმოსავლურ კულტურაში არ არის მიღებული, ისინი ცდილობენ აკონტროლონ უსტები, თავს არიდებენ ხელის მოძრაობებს.	მსგავსად დასავლელებისა ქართული კულტურაც გამოირჩევა მაღალი უსტიკულაციით.
ხელების მოძრაობა	ამერიკაში გოლის გატანის დროს,	აღმოსავლეთში, კერძოდ, პაკისტანში მარცხენა	ქართულ კულტურაში ხელის

	გამარჯვების, მოგებისას ხელებს ზემოთ სწევენ.	ხელის დემონსტრირებისგან თავს იკავებენ.	შესტების გამოყენებას საქმაოდ ფართო სპექტრი აქვს.
საჩვენებელი თითი	თუ ორ საჩვენებლ თითს ერთმანეთს გავუხახუნებთ, ეს ნიშნავს, რომ ორი ადამიანი ერთმანეთთან კარგად შეწყობილი წყვილია. როცა ამერიკელი საკუთარ თავზე საუბრობს, საჩვენებელ თითს მკერდთან მიიტანს ამერიკაში რაიმეზე მითითების მიზნით იყენებენ საჩვენებელ თითს	1.იგივე უსტი იაპონიაში ნიშნავს რომ თქვენ გადაუჭრელ პრობლემას შეეჯახეთ და მის შესახებ თანამოსაუბრეს უყვებით. 2 როცა იაპონელი საკუთარ თავზე საუბრობს საჩვენებელი თითი ცხვირთან მიაქვს. 3.აღმოსავლეთში შეურაცხმყოფელია ხელით ადამიანზე მითითება. ფილიპინელები ხელის ნაცვლად რაიმე საჭირო ნივთზე თვალების ხამხამით მიანიშნებენ.	დასავლელების მსგავსად ქართულ კულტურაში უსტებს ანიჭებენ უპირატესობას
ok ჟესტი	ნიშნავს ყველაფერი რიგზეა,	იაპონიაში - ფულს.	ნიშნავს ყველაფერი რიგზეა
ზეაწეული ცერა თითი	ევროპაში ძლიერი მოწონების ნიშანია.	მუსლიმანურ ქვეყნებში კი ეს ჟესტი უხამსობად ითვლება. ზეაწეული ცერა თითის ბრუნვითი მოძრაობა საუდის არაბეთში ნიშნავს აქედან დაიკარგვა.	მოწონებას, კარგად ყოფნას გამოხატავს.

ფეხის ფეხზე გადადება	ამერიკაში ჩვეულებრივ მიღებულია ფეხის ფეხზე გადადება	ტაილანდში მსგავსი ჟესტი მიუღებელია, საქმე იმაშია, რომ ტაილანდელისათვის, ისევე როგორც ბევრი სხვა აღმოსავლური კულტივცემულობასთან ერთად წარმოდგენლისათვის ფეხი, სხეულის ყველაზე მდაბალი ნაწილია	ქართულ კულტურაში კი ფეხის ფეხზე გადადება ასოცირდება უპატივცემულობასთან და უზრდელობასთან
სტვენა	ამერიკაში ლამაზი ქალის დანახვისას, მატჩის მსვლელობის დროს, და წარმოდგენის დაწყების წინ სტვენენ. სტვენა ასევე ყურადღების მისაჭრევადაც გამოიყენება.	მსგავსი მოქცევა აღმოსავლეთში ყოვლად მიუღებელია.	მსგავსად დასავლური კულტურისა
სიცილი	ყველა დასავლურ ქვეყანაში ასოცირდება სიხარულთან და ხუმრობასთან	იაპონიაში სიცილი მორცხვობისა და მერყეობის მანიშნებელია	ისევე როგორც დასავლურ კულტურაში, სიცილი დადებითი ემოციის მატარებელია

ე.მ ვერეშაგინისა და გბ.კოსტომაროვის წიგნში “ენა და კულტურა” მთელი თავი ეძღვნება “მუნჯ” ენებს. მასში ჟესტურ-მიმიკური კომუნიკაციური ნიშნები აღწერილია უცხოელებისთვის რუსული ენის სწავლების მეთოდიებს თვალსაზრისიდან, რომლებმაც სიტყვიერ ენასთან ერთად უნდა შეისწავლონ ჟესტების ენაც. ჟესტების ეროვნული თავისებურებების უცოდინრობის გამო შეიძლება აღმოვჩნდეთ ისეთ მდგომარეობაში, როგორიც აღწერილია ავტორების მიერ:

რუსული ენის კურსების შვედ ხტაუიორს სურდა მანქანით გამგზავრება აბრამცევიდან მოსკოვში და დაღვა გზადკუცილზე მუშად შეკრული ხელის ზემოთ აწეული დიდი თითით. თუ დასავლეთ კუროპის ქვეყნებში ამ უსტით ითხოვენ დამგზავრებას, რუსულ კულტურაში იგი აღნიშნავს მოწონებას, ამიტომ მძღოლები გაკვირვებით შეათვალიერებდნენ “შერეკილს” და მიღიოდნენ.

იმისთვის, რათა თავიდან ავიცილოთ მსგავსი კურიოზები, ამა თუ იმ უცხო ენის შესწავლისას ყურადღება უნდა მივაქციოთ არა მხოლოდ ფრაზების სწორ გრამატიკულ აგებას და წარმოთქმას, არამედ ქვეყნის არავერბალური კულტურისა და ისტორიის შესწავლას.

ამრიგად, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩვენ თვით ცხოვრების წესით, ჩვეულებებით, რიტუალებით მუდმივად “ვესაუბრებით” ერთმანეთს.

როგორც ვხედავთ, არავერბალური კომუნიკაციის ურთიერთმიმართების საკითხში მთავარი ფაქტორი კულტუროლოგიური ფენომენია.

აქედან გამომდინარე, კინესიკური ელემენტების სტრუქტურის, სემანტიკისა და პრაგმატიკის თავისებურებათა განმაპირობებელ ფაქტორად უპირველეს ყოვლისა, უნდა მივიჩნიოთ ეროვნული ხასიათი, ერის კულტურის სპეციფიკა, ისტორიულად გამომუშავებული სოციოკულტურული დირებულებანი, ეტიკეტის ნორმები და სხვა.

ამიტომ, სანამ რაიმე დასკვნებს გავაკეთებდეთ, ჟესტებისა და სხეულის ენის მნიშვნელობაზე, აუცილებელია ადამიანის ეროვნული კუთვნილება გავითვალისწინოთ.

აქედან გამომდინარე, ჩვენი შეხედულებით, მართებულია მოცემულ კულტურაში მიღებული ჟესტების დანიშნულების წინასწარ შესწავლა. თუ არა ვართ დარწმუნებული, თუ როგორ აღიქმება ჩვენ მიერ გამოყენებული ჟესტი სხვა კულტურაში, მაშინ უმჯობესია თავი ავარიდოთ მის გამოყენებას.

ენათმეცნიერებაში არავერბალურ კომუნიკაციას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მათი მეშვეობით შესაძლებელი ხდება ენის ლექსიკური ფონდის გამდიდრება. აგრეთვე ამ ენობრივ ერთეულებში აირეკლება ერის ეროვნული და სოციალური თავისებურებანი და ვლინდება ამ ერის კულტურაც, არავერბალური ნიშნებით გადმოიცემა ადამიანის რეალური განცდები.

არავერბალური კომუნიკაცია რთული ენობრივი ერთეულებით გამოიხატება. ენის გამომხატველ საშუალებათა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია არავერბალურ ერთეულებს, მასში შემჭიდროებული სახით

გადმოიცემა გრძნობების, ემოციებისა და აზრების რთული კომპლექსი, ამიტომ ისინი ვერბალური კომუნიკაციის განუყოფელ და უმთავრეს ნაწილად შეიძლება მივიჩნიოთ.

არავერბალური ნიშნები, რომლებიც ადამიანთა ყოველდღიური, ჩვეულებრივი ყოფის პირობებში იქმნება როგორც გარე სამყაროსთან დამახასიათებელ ნიშან-თვისებათა, მიმართებათა გადმოცემის შედეგი, ძალზე საინტერესო და მრავალფეროვანია. კომუნიკაციურ აქტში მათი სრულფასოვანი მონაწილეობისათვეს ადრესატი და ადრესანტიც უნდა ფლობდეს კულტურულ და ენობრივ კოდს, რაც იძლევა არავერბალური ნიშნების ამოცნობის, შემდეგ კი მისი მნიშვნელობის გაგების, სწორად გაშიფრის და ინტერპრეტაციის საშუალებას.

ენა არ შეიძლება წარმოვიდგინოთ ერთხელ და სამუდამოდ გამზადებულ მასალად, რომელიც არ შეიძლება შეიცვალოს თავისი არსის მიხედვით. ენა არის რაღაც მუდმივი, ამასთან ერთად ყოველ მოცემულ მომენტში გარდამავალი. ენა არის მოღვაწეობა, მოქმედება, ამიტომ მისი განსაზღვრა შეიძლება იყოს მხოლოდ გენეტიკური. „მშობლიური ენა მჭიდროდ და მრავალმხრივ არის დაკავშირებული საზოგადოებაში ადამიანის ცხოვრების მრავალ მხარესთან. ეს დებულება სამართლიანია ყველა ხალხისა და ყველა ენის მიმართ“ (გამყრელიძე 2003:461).

როგორც უკვე ავღნიშნეთ, მეცნიერების მიერ დადგენილია, რომ კომუნიკაციის პროცესში ინფორმაციის მხოლოდ 35% გადმოიცემა ენის მეშვეობით. ურთიერთობის სხვა არავერბალურ საშუალებებს წარმოადგენს გგრეთწოდებული სომატური ენა (სომა – ბერძნულად “სხეული) (ამინოვი, ერიაშვილი 2009: 141). ჟესტების, პოზების მიმიკის, სახის გამომხატველი ენა, რომელიც აქტიურად ერთვება ინფორმაციის გადმოცემაში.

კომუნიკაციის არავერბალურ საშუალებებს, რომლებიც ისტორიულად ვერბალურზე ადრე გააჩნდა, გააჩნიათ ადრესატზე ძლიერი ზემოქმედების უნარი მათი მეშვეობით შესაძლებელია ზოგჯერ ისეთი ინფორმაციის გადმოცემა, რომელთა გამოხატვაც ძნელია ან რაიმე მიზეზთა გამო უხერხულია სიტყვებით. ამიტომ არავერბალური ქცევა არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე წარმოთქმული სიტყვები. ჟესტების ენა ცალსახად ინტერნაციონალურია მხოლოდ აღწერითი ჟესტების (ასანთის ანთება, პირის გაპარსვა და ა.შ.) ფარგლებში, მაგრამ ძირითადად „კომუნიკაცია ჟესტების მეშვეობით ისეთივე

ნაციონალური ფენომენია, როგორც ვერბალური ენები“ (Верещагин, Костомаров 1983:196).

ამას განაპირობებს სომატური ენის ორმაგი ბუნება, ერთი მხრივ, ბიოლოგიური თანდაყოლილი (უნებლიერ, გაუცნობიერებული გამოვლინებები: გაფითრება, თვალის გუგის გაფართოება, და ა.შ.). და მეორე მხრივ, სოციალური, ადამიანის მიერ სოციალიზაციის პროცესში შეძენილი (გაცნობიერებული, გააზრებული გამოვლინებები, თავი (კეფი) მოიფხოვანა – პრობლემებზე დაფიქრებისას. ხელებს ისრესს –სიამოვნების, კმაყოფილების გამოხატვა).

არავერბალური კომუნიკაციის ასეთი ორმაგი ბუნება განსაზღვრავს როგორც უნივერსალურ, ყველასათვის გასაგები ნიშნების, ისე სპეციფიკური სიგნალების არსებობას, რომლებიც მხოლოდ ერთი კულტურის ფარგლებში გამოიყენება. ინფორმაციის გადმოცემის კულტურით განპირობებული არავერბალური საშუალებები, რომლებიც სიმბოლოებს წარმოადგენენ, ჩვენთვის საინტერესოა არამარტო იმიტომ, რომ მათი ცოდნა აუცილებელია კომუნიკაციაში წარმატებული მონაწილეობისათვის, არამედ პირველ რიგში იმიტომ, რომ არავერბალურ ენას გააჩნია მყარი ვერბალური აღწერა.

პრაგმატული თვალსაზრისით სომატური ერთეულები აღწერენ, მაგალითად მიმიკას ან სხეულის მოძრაობას, მაგრამ პროექციული თვალსაზრისით ისინი ასახავენ ემოციებისა და ფსიქიკური მდგომარეობის გარეგნულ გამოვლინებას, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მათ სემანტიკაში დავს ადამინის სულიერ მდგომარეობაზე მინიშნების ჩვეული ნორმები მისი გრძნობების, განზრახვათა, განცდების პროვოცირების გზით მათ გარეგნულ გამოვლინებებზე.

მაგალითად: შავადშეყრილი წარბები (გაბრაზება);

თვალი ჰკიდა (შეხედა);

ჭრუტა თვალები (ცბიერი მზერა);

იქედნური ღიმილი (დამცინავი, ირონიული).

ჩვენ მიერ შესწავლილი არავერბალური ნიშნები აღწერენ ადამიანის მრავალფეროვან გრძნობებს, ფსიქიკურ მდგომარეობებს, აზრებს, ქცევას, მისი გარეგნობისა და ხასიათის თავისებურებებს და ა.შ.

ჩვენი პალეოის შედეგად და ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით გამოვლინდა, რომ არავერბალური ნიშნები ქართულ ენაში მრავალრიცხოვან

ჯგუფს შეადგენს. განსაკუთრებული სიხშირით ხასიათდება თვალებით კონტაქტი, მას აქტიურობის მიხედვით მოსდევს ხელის, თავის ჟესტები, წარბების, ტუჩების მოძრაობა, ღიმილი, მიმიკა.

განვიხილოთ არავერბალურ კომუნიკაციაში განსაკუთრებული სიხშირის მქონე სხეულის აღმნიშვნელი ზოგიერთი ერთეულის კონტაციები.

თვალები სიმბოლურად იძენენ ინფორმაციის მიღების, მათი უტყუარობის მნიშვნელობას, ამიტომაცაა ქართულ რეალობაში თვალებს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ, მათი მეშვეობით შეიცნობა სიმართლე, ადამიანის ზრახვები და მისწრაფებები, ამიტომაც ხშირად გვსმენია შემდეგი ფრაზა: „თვალებში ამოვიკითხეო“

მახვილი თვალი – თვალები აუხილა რაღაცაზე.

თვალები აგრეთვე ემოციისა და გრძნობის გამომხატველი მნიშვნელობის ორგანოა, ამიტომ ეს კომპონენტი გვხდება საკმაოდ დიდი რაოდენობით ქართულ ლიტერატურაში, რეალობაში, რომლებიც ადამიანის ემოციურ მდგომარეობას, მასში მომხდარ ცვლილებებს ასახავენ.

მაგალითად გაკვირვების გამომხატველი ჟესტები ჩანს გამოთქმებში:

თვალების გადმოკარგვლა; თვალებს უპრაწავს; თვალები აენთო; თვალები ზედ დარჩა; დაჭყებილი თვალები.

შურისა და არაკეთილმოსურნეობის: ჭრუტა თვალები; ბოროტი მზერა; თვალების ყალბი ციმციმი; მზაკვრობა ვერ დაიჭირა იმ თვალებში; დაძაბული მზერის სიმძაფრვა; თვალი გველივით ცივად გამოასრიალა.

სიმორცხის: თვალი არ გაუმართავს; შეფარვით მზერა; შერცხვა გარშემომყოფების და თვალებზე ხელი აიფარა; იდუმალი მზერა; იდუმალი ჭვრეტა, თვალები დახარა.

მუქარის: თვალებს მიკვესებს; ჯიქურ შეხედვა;

სიამოვნების: თვალების მოხუჭვა; მადლით სავსე თვალები გულს ხანჩალივით შემომაყარა.

ხელის ჟესტები

სინანულის გამომხატველი: ხელის ჩაქნევა; შუბლზე ხელის შემორტყმა.

უგუნებობის, მღელვარების: ხელისგული დაისვა წვერით გაჯაგრულ ნიკაპზე; აცახცახებული ხელი, ხელის კანკალი; მღელვარების დასაფარად საჩიხეს მარგილებს მოსჭიდა ხელები.

გაბრაზების: „მაისაძეს რო რამე მოუვიდეს იმის ბავშვებს რა ეშველება? მაგიდაზე ხელისგული დაარტყა გოგიამ (შატაიძე 2010:112).

გაოცების გამომხატველი: ხელისგლების შეტრიალება-შემოტრიალება;

გაჩუმების: ტუჩზე ხელის აფარება;

დასტურის ნიშანი: ხელის ჩარტყმა;

სიმორცხვის, შიშის: თვალებზე ხელის აფარება;

კმაყოფილების ჟესტი: კეფაზე ხელის შემოწყობა;

მინიშნების: თითის გაშვერა;

მისალმების: ხელის აწევა;

მუქარის: მუშტი დაარაკუნა ტაბლაზე;

სიამოგნების: ხელების ფშვნეტა.

სახის გამომეტყველება

გამტკნარებული სახე; სახე აუმეტყველდა; მიკიტნური გამომეტყველება; ჩაფიქრებული სახე; მოღუშელი, მდუმარე სახე; უსიამოდ დაეჯრიჯა სახის ნაკვთები; სახეზე მგლისფერი ედო – (გაბრაზდა). კმაყოფილი სახე; სახტიკი გამომეტყველება; საცოდავი გამომეტყველება; სახე აელეწა.

თანამედროვე ლინგვისტიკის ერთ-ერთ წამყვან დარგად ენის მეშვეობით კულტურის შესწავლა იქცა. ლ. ელმსლევი აღნიშნავს: “ენა, როგორც ნიშანთა სისტემა და ყვარი წარმონაქმნი, წარმოადგენს ადამიანის გონიერ და ფსიქიკურ ბუნებაში ჩაწვდომის გასაღებს. ენა, როგორც ზეინდივიდუალური სოციალური ინსტიტუტი, ერის ხასიათს წარმოაჩენს” (Ельмслев 1960:132), ამიტომ ლინგვოკულტუროლოგიაში ენა განხილულია კულტურასთან, ადამიანის აზროვნებასთან, ფსიქიკასთან და სულიერებასთან მჭიდრო კავშირში. ენისა და კულტურის ურთიერთმიმართებას უპირველეს ყოვლისა განსაზღვრავს ადამიანი თავისი მენტალობით, ემოციებით, რომელიც მუდმივად არის ფსიქოლოგთა შესწავლის საგანი. ადამიანი, რომელიც უკვე ფლობს ძირითად სააზროვნო პროცესებს, ნებისმიერი ახალი ენის შესწავლისას აზრის გამოთქმას მხოლოდ სხვა საშუალებებს, სიტყვებს, იდიომატურ გამოთქმებს ეუფლება. ადამიანის კონცეპტუალური მნიშვნელობა მრავალმხრივია და ბევრ ასპექტს მოიცავს: ემოციას, მოტივაციას, განცდებს.

აქედან გამომდინარე, ლინგვოკულტუროლოგიის ფსიქოლოგიურ ასპექტში განხილვა მეტად მნიშვნელოვანია. არავერბალური ნიშნების კვლევა მისი ფსიქოლოგიური ასპექტის გათვალისწინებით ძალზედ საინტერესოა.

ამრიგად, ყოველი კულტურის არავერბალური ნიშნების შესწავლისას გასათვალისწინებელია ფსიქოლოგიური ფაქტორი, ვინაიდან მათ სწორად გაგებასა და გააზრებისას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ფსიქოლოგის მონაცემთა გათვალისწინებას, რადგანაც ამ ფაქტორთა გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში ძალზედ ბუნდოვანი ხდება არავერბალური ნიშნები და ხშირად გაუგებარიც კი. უპირველეს ყოვლისა, პრიორიტეტი ენიჭება ემოციას, რომელიც ლინგვისტური მეთოდების საშუალებით შეიძლება განხილულ იქნეს ენის ლექსიკურ-ფრაზეოლოგიურ დონეზე, რომელშიც წინა პლანზე წამოწეულია ადამიანი, მისი სულიერი სამყარო, კულტურა.

ემოცია ფრანგული სიტყვაა emotion— ვაღელვებ, რომელიც ადამიანის ფსიქიკური მდგომარეობა, გარე სინამდვილესა და თავის თავისადმი ინდივიდის დამოკიდებულების განცდაა.

ემოცია მჭიდროდ უკავშირდება გამომსახველ მოძრაობებს. მათ გარეშე არ არსებობს სამყარო და თვით ადამიანი ამ სამყაროში. ემოციებია: შიში, რისხვა, სიხარული, სიყვარული, დარდი, სევდა, სიბრაზე და სხვ. თითოეული ემოცია ადამიანის შინაგან დამოკიდებულებას გამოხატავს ამა თუ იმ ობიექტის მიმართ – ანუ როგორ აღვიქვამთ და შეგიმეცნებთ. აქ უკავ ჩვენ საქმე გვაქს ემოციის კოგნიტურ მიდგომასთან, რომელიც პირველად ლაკოფისა და ჯონსონის შრომებში გამოჩნდა (Lacoff, Johnson 1980:67) ისინი აღნიშნავენ, რომ ადამიანის ეს ფსიქიკური მოვლენები, თითოეული ერის კულტურის გათვალისწინებით, კონკეპტურ სტრუქტურაში არიან გაერთიანებული, სადაც თითოეული ემოცია თითოეული ენის შესაბამისი იდიომებით გადმოიცემა.

დასავლური, აღმოსავლური და ქართული კულტურების არავერბალური კომუნიკაციის შესწავლისა გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ ერთი და იგივე ემოცია უმრავლეს შემთხვევაში ერთი და იმავე არავერბალური კომპონენტით არის გადმოცემული. განვიხილოთ ემოციათა რამოდენიმე ტიპი და მათი გამომსატველი არავერბალური ნიშნები.

ემოციები	დასაგლეთი	აღმოსავლეთი	ქართული
ბრაზი	<p>ბრაზიანად</p> <p>თვალების</p> <p>შენათება;</p> <p>ბრაზისგან</p> <p>გაცოფება;</p> <p>თვალების</p> <p>დაპვესება;</p> <p>თვალების</p> <p>სისხლით ავსება;</p> <p>შუბლის შეჭმუხვნა;</p> <p>კბილებით</p> <p>გამოსცრა სიბრაზე;</p> <p>სახის მოღრეცა;</p> <p>დაძარდვული</p> <p>მუშტით მოგერიება;</p>	<p>წარბების</p> <p>შეჭმუხვნა; სახე</p> <p>გაუხევდა;</p> <p>კბილები</p> <p>დააღჭრიალა.</p>	<p>შუბლი კუშტად</p> <p>შეიკრა; თვალების</p> <p>კვესა; მგლისფერი</p> <p>ედო სახეზე;</p> <p>ხელისგულის</p> <p>მაგიდაზე</p> <p>დარტყმა;</p> <p>მტრული მზერა,</p> <p>ქორული მზერა;</p> <p>წარბშეურილი და</p> <p>მოღუშული</p> <p>ჯდომა;</p> <p>ჭრუტა,</p> <p>თევზისებური</p> <p>თვალები;</p> <p>წარბების მაღლა</p> <p>აწევა;</p>
ნერვიულობა მღელვარება დაძაბულობა	<p>ტუჩების მოკვნეტა;</p> <p>შეშლილივით</p> <p>სიცილი;</p> <p>მოუსვენრად</p> <p>ბოლთის ცემა;</p> <p>სმის აცახცახება;</p> <p>ურჟოლამ აიტანა;</p> <p>ოფლის მოწმენდა;</p> <p>ტუჩების თრთოლა;</p> <p>ენის მოკვნეტა;</p> <p>სახე</p> <p>გადაუფითრდა;</p>	<p>ხელის კანკალი,</p> <p>ოფლის მოწმენდა;</p> <p>ტუჩების ცახცახი;</p> <p>ხელის კანკალი,</p> <p>ნერვული</p> <p>სიარული; ციფი</p> <p>ოფლის დავლა;</p> <p>მეტყველების</p> <p>უნარის დაკარგვა;</p> <p>გაურჟოლება;</p> <p>ხელისგულის</p> <p>ომაზე გადასობა.</p> <p>ტანში გაცრა.</p>	<p>ქვედა ტუჩის</p> <p>დაბრუცვა.</p> <p>თითების წვალება.</p> <p>ხმის აკანკალება.</p> <p>სახის ალეწვა.</p> <p>თავის დაბლა</p> <p>დახრა. ხელის</p> <p>კანკალი.</p> <p>მოკუმული</p> <p>ტუჩები, ქვედა</p> <p>ყბის კანკალი/</p> <p>დაბრუცვა;</p> <p>უსიამოდ</p>

			დაღრეჯილი სახის ნაკვები. ხმის ათროლება.
სიამოგნება/ქმაყოფი ლება	ლიმილით ცქერა; თვალები სიხარულით აუკიაფდა; თითების მუცელზე შემოჭდობა; სახე გაუნათდა; სახე აენთო; თვალები მინაბა;	სიხარულის ცრემლები, თავაზიანად გადიმება; მოელვარე თვალები; სახე გაუნათდა;	თვალების მოხუჭვა, ტუჩების გახსნა, ხელების ფშვნება; წვერზე ხელის ჩამოხმა; ხელების კეფაზე შემოწყობა. ქმაყოფილი სახე;
სირცხვილი	ლაწვები შეუწიოთლდა, სახე აუწიოთლდა.	ლოყების აწითლება; თავის დახრა; მორცხვად აწითლებული; სახე ხელებში ჩარგო; ასლუკუნდა; მორცხვად ჩაიბუტებუტა.	ჟურებამდე გაწითლება; თვალებზე ხელის აფარება; თავჩაღუნული სიარული; ფეხის წაბორძიკება.

ამრიგად, ჩვენ მიერ განხილული მაგალითები ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ დასავლურ, აღმოსავლურ და ქართულ კულტურებში ემოციები თითქმის ერთნაირი უნივერსალიით ვლინდება ანუ ისეთ ენობრივ მოვლენათა არსებობა, რომლებიც მსოფლიოს ყველა ან უმეტესი ენისთვის არის დამახასიათებელი. ენაში, ისევე როგორც ზოგადად ბუნებაში, არსებობს შინაგანი წესრიგი, მოწყობა, რომელიც შემეცნებადია, მაგრამ იმისთვის, რომ მოხდეს რაიმე საგნის, მოვლენის სიღრმისეული და გააზრებული შემეცნება, საჭიროა მისი შედარება სხვა საგნებსა თუ მოვლენებთან.

დასკვნა

ნაშრომის ბოლოს, ჩვენს მიერ დასახული მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობითა და ემპირიული მასალის კვლევის საფუძველზე მივიღეთ შემდეგი დასკვნები:

1. ცნობილია, რომ საკომუნიკაციო პროცესის ეფექტურად წარმართვაში დიდ როლს თამაშობს როგორც ვერბალური, ისე არავერბალური ნიშნები. კვლევამ ცხადყო, რომ სწორედ გამონათქვამის ვერბალური ნაწილით გამოხატულ ინფორმაციასა და პარალინგვისტური თვისებით გამოხატულ ინფორმაციას შორის არსებული დაპირისპირება გვეხმარება გამონათქვამისადმი მოსაუბრე-მსმენელის დამოკიდებულების დაფიქსირებაში. არავერბალურ ენას ერთი უნიკალური თვისება აქვს: მას შეუძლია “გასცეს” კომუნიკანტი იმდენად, რამდენადაც მისი საშუალებით ვლინდება კომუნიკანტის ჭეშმარიტი, შეუნიდებავი სახე. სწორედ კინესიკა გვეხმარება იმაში, რომ ეჭვის ქვეშ დავაყენოთ მოსაუბრის გამონათქვამი და დავინახოთ მისი რეალური სახე.
2. კომუნიკაციაში არავერბალური საშუალებები სპონტანურად გამოიყენება. ეს გამოწვეულია ცენტრალური ნერვული სისტემის როგორც დაბალი, ასევე უმაღლესი მაჩვენებლებით, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან კომუნიკაციაზე. რა თქმა უნდა, რაღაც ხარისხში არავერბალური ელემენტები კონტროლს ექვემდებარებიან, თუმცა ძალიან ძლიერი თვითკონტროლის შემთხვევაშიც კი შეიძლება მოხდეს ინფორმაციის “გაურნვა”.
3. კომუნიკაციის ეფექტურობა განისაზღვრება არა მარტო გამონათქვამის მნიშვნელობის გაგების ხარისხით, არამედ მოსაუბრის ქცევის სწორი შეფასების უნარით. კერძოდ, კინესიკური პარალინგვიზმები სწორედ ის ელემენტებია, რომელთა მეშვეობითაც გრძნობებს, განცდებს და ემოციებს უფრო სრულყოფილად გამოგხატავთ, ვაკლენთ, თუ რა დამოკიდებულება გვაქვს სინამდვილეში გამონათქვამისა და კომუნიკანტის მიმართ.

4. არავერბალური კომუნიკაციის ურთიერთმიმართების საკითხში მთავარი ფაქტორი კულტუროლოგიური ფენომენია. ერთი და იმავე ქესტის აღქმა შესაძლებელია განსხვავებული იყოს კულტურის სხვადასხვა ტიპში. ჩვენი თვალსაზრისით, სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებთან ურთიერთობის პროცესში ვერბალური თუ არავერბალური ნიშნების გამოყენების დროს სიფრთხილე და დიდი ყურადღება გვმართებს. ამიტომ, სანამ რაიმე დასკვნებს გავაკეთებდეთ ჟესტებისა და სხეულის ენის მნიშვნელობაზე, აუცილებელია ადამიანის ეროვნული კუთვნილება გავითვალისწინოთ. აქედან გამომდინარე, ჩვენი შეხედულებით, მართებულია მოცემულ კულტურაში მიღებული ჟესტების დანიშნულების წინასწარი შესწავლა. თუ არა ვართ დარწმუნებული, თუ როგორ აღიქმება ჩვენ მიერ გამოყენებული ჟესტი სხვა კულტურაში, მაშინ უმჯობესია თავი ავარიდოთ მის გამოყენებას.
5. ქართულ ენაში თითქმის ყველა გამონათქვამს თან სდევს ესა თუ ის პარალინგვისტური მახასიათებელი. მართალია, პარალინგვისტური მახასიათებლები ყველა კულტურას გააჩნია, მაგრამ მათი გამოყენების სპექტრი ქართულ ენაში გაცილებით უფრო ფართოა. რადგანაც ისინი ვერბალური კომუნიკაციის დროს საკმაოდ ხშირად გამოიყენება, ბუნებრივი ხდება, რომ ქართული ენა პარალინგვიზმების უფრო ფართო არჩევანს უნდა გვთავაზობდეს, ან მას პარალინგვიზმების გაცილებით უფრო დიდი ნაირგვარობა, ნაირფეროვნება ახასიათებს. ამ მრავალფეროვნების გამომწვევი მიზეზები განპირობებულია ქართული ბუნების ემოციურობით, ეროვნულობითა და კულტურით. კვლევამ გვიჩვენა, რომ
- ა) ქართული კულტურა ვიზუალურ-კინესთეტიკურია;
- ბ) არავერბალური ნიშნების ზოგადი ბუნება ერთნაირია ქართულ, დასავლურ და ადმოსავლურ კულტურებში, თუმცა, ამ ერების კულტურებიდან გამომდინარე მათ შორის არის მსგავსი და განსხვავებული არავერბალური ნიშნები.

გამოყენებული ლიტერატურა

- 1 აკუტაგავა 2011:** აკუტაგავა რ. “ამბავი ერთი შურისძიებისა” გამომცემლობა ”პალიტრა L”, თბილისი.
- 2 ამინოვი... 2009:** ამინოვი ი.ი. ერიაშვილი ნ.დ “საქმიანი ურთიერთობის ფსიქოლოგია”, თბილისი.
- 3 გამსახურდია 1979:** ამსახურდია პ. “დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა” გამომცემლობა “საბჭოთა საქართველო”, თბილისი.
- 4 გამყრელიძე...2003:** გამყრელიძე თ; კიკნაძე ზ; შადური ი; შენგელაია ნ. “თეორიული ენათმეცნიერების კურსი”. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი
- 5 გგენცაძე 1986:** გგენცაძე გ. “კომუნიკაციური ლინგვისტიკა და ტექსტის ტიპოლოგია” გამომცემლობა “განათლება,” თბილისი.
- 6 დოლიკაშვილი... 2008:** დოლიკაშვილი ლ. დანელია ლ. ჯოლია გ. შტაძე ხ. “ეტიკეტი და კორესპონდენცია”, გამომცემლობა “ლეგა,” თბილისი.
- 7 ინანიშვილი 2010:** ინანიშვილი რ. “ლამაზი ცრემლები”, გამომცემლობა ”პალიტრა L”, თბილისი.
- 8 კინგი 2011:** კინგი ს. “კორპორაცია ნუ მოსწევთ”, გამომცემლობა ”პალიტრა L”, თბილისი.
- 9 კიპლინგი 2011:** კიპლინგი რ. “იმრეის დაბრუნება,” გამომცემლობა ”პალიტრა L”, თბილისი.
- 10 ლონდონი 2011:** ლონდონი ჯ. “ალისფერი ჭირი,” გამომცემლობა ”პალიტრა L”, თბილისი.
- 11 მერიმე 2011:** მერიმე ჟ. “სულნი სალხინებელისანი,”

- გამომცემლობა ”პალიტრა L”, თბილისი.
- 12 ნადირაშვილი 1978:** ნადირაშვილი შ. ”ფსიქოლოგიის პროპაგანდა,” თბილისი.
- 13 რამპო 2011:** რამპო ე. ”ფსიქოლოგიური ტესტი”, გამომცემლობა” პალიტრა L”, თბილისი.
- 14 რამპო 2011** რამპო ე ”მთვარით მონუსეულნი”, გამომცემლობა” პალიტრა L”, თბილისი.
- 15 რამპო 2011:** რამპო ე ”მოგზაურო ნახატთან ერთად”, გამომცემლობა” პალიტრა L”, თბილისი.
- 16 რჩეულიშვილი 2010:** რჩეულიშვილი გ. ”სიყვარული მარტის თვეში”, გამომცემლობა ”პალიტრა L”, თბილისი.
- 17 რჩეულიშვილი 2010:** რჩეულიშვილი გ. ”ასვლა”, გამომცემლობა ”პალიტრა L”, თბილისი.
- 18 სელინჯერი 2011:** სელინჯერი ჯ. ”ჭერი ასწიეთ, დურგლებო!” გამომცემლობა ”პალიტრა L”, თბილისი.
- 19 სოსიური: 2002:** სოსიური ფერდინანდ დე ”ზოგადი ენათმეცნიერების კურსი”, თბილისი
- 20 ტურაშვილი 2010:** ტურაშვილი დ. ”ამერიკული ზღაპრები,” ბაგურ სულაკავრის გამომცემლობა”, თბილისი.
- 21 ქართული 1989:** უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი.
- 22 ქართული 1990:** ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ნაკვეთი I,II, თბილისი.
- 23 ყიფიანი 2010:** ყიფიანი ე. ”მუსიკალური მომენტი”, გამომცემლობა ”პალიტრა L”, თბილისი.
- 24 ყიფიანი 2010:** ყიფიანი ე. ”ცაში ასროლილი ქუდები,” გამომცემლობა ”პალიტრა L”, თბილისი.
- 25 ყიფიანი 2010:** ყიფიანი ე. ”მწვანე ფარად,” გამომცემლობა ”პალიტრა L”, თბილისი.
- 26 შატაიძე: 2010:** შატაიძე გ. ”მოლხინო”, გამომცემლობა

- ”პალიტრა L”, თბილისი.
- 27 შატაიძე 2010:** შატაიძე ნ. “ბუკინისტების სამთ”, გამომცემლობა ”პალიტრა L”, თბილისი.
- 28 შენგელაია 2010:** შენგელაია დ. „ბათა ქექია”, გამომცემლობა ”პალიტრა L”, თბილისი.
- 29 ჯავახიშვილი 1997:** ჯავახიშვილი ივ. “ქართული ეტიკეტის ისტორიის ზოგადი საკითხები”, თსუ, თბილისი.
- 30 ჯოლია 2006:** ჯოლია გ. “ბიზნეს-ეტიკეტი და მოლაპარაკების ხელოვნება”, თბილისი.
- 31 ჰაქსლი 2011:** ჰაქსლი ო. “ფეიერვერკის შემდეგ”, გამომცემლობა ”პალიტრა L”, თბილისი.
- 32 ჰოაი 2011:** ჰოაი ტო. “ცხოვრება, თავგადასავალი და გმირობა სახელოვანი კუტკალია მენისა, მის მიერვე აღწერილი”, გამომცემლობა” პალიტრა L”, თბილისი.
- 33 ჰოაი: 2011** ჰოაი ტო “ცოლ-ქმარი ა ფუ”, “გამომცემლობა პალიტრა L”, თბილისი.
- 34 Adelman... 1993:** Adelman, Mara B and Levine Deena R. “Beyond Language: Cross-Cultural Communication”, Prentice Hall Regents, New Jersey.
- 35 Bolinger 1989:** Bolinger, D. “Intonation and its Uses”, Stanford University Press. Stanford.
- 36 Burgoon 1994:** Burgoon J. “Nonverbal signals. Handbook of Interpersonal Communication”, Beverly Hills.
- 37 Ekman... 1969:** Ekman, P., & Friesen, W. V. “The repertoire of nonverbal behavior: Categories, origins, usage, and coding”, London.
- 38 Femandez 1990:** Femandez . J.W. “Tolerance in a Repugnant world and other Dilemmas in the Cultural Relativism”, New York.
- 39 Fox 2004:** Fox, K. “Watching the English”, Hodder
- 40 Goddard...1997:** Goddard, C, and Wierzbicka, A., “Discourse and Culture, Discourse and Social Interaction, Discourse Studies”, Volume 2, Sage Publication. New York.
- 41 Grice1975:** Grice, H.P. “Topic and Conversation”. Academic Press, New York .
- 42 Grice 1999:** Grice, H.P “Logic and conversation”, New York.

- 43 Hall 1997:** Hall, E.T. "Beyond Culture". Inc Garden City
- 44 Leech 1975:** 1975: Leech, G. Semantics. England
- 45 Leech 1983:** 1983: Leech, G. Principles on Pragmatics. London
- 46 Malinovski 1923:** Malinovski, V. The problem of Meaning in primitive Languages". London
- 47 Samovar... 1991:** Samovar, H. A. and Porter R.E.: "Basic Principles of Intercultural Communication". USA.
- 48 Smith 1966:** Smith A.G. "Communication and culture". New York
- 49 Scollon...1983:** Scollon R., Scollon S.W. "Face in Interethnic Communication", Longman, New York
- 50 Scollon...1994:** Scollon R., Scollon S.W., "Intercultural Communication", Blackwell.
- 51 Tyler 1987:** Tyler. V."Intercultural Interacting", USA.
- 52 Webster New World English Dictionary 1984:** "Webster New World English Dictionary" ,Prentice Hall Press,
- 53 Апресян 1966:** Апресян Ю.Д. "Идеи и методы структурной лингвистики" М
- 54 Белл 1980:** Белл Р. Т. "Социолингвистика. Цель, методы и проблемы", Москва.
- 55 Верещагин...1983:** Верещагин Е.М., Костомаров В. Г. " Язык и культура", Москва.
- 56 Гойхман... 2005:** Гойхман О.Я. Надейни Г.М. "Речевая коммуникация", Москва,
- 57 Горелов 1980:** Горелов И.Н. "Невербальные компоненты коммуникаций", Москва.
- 58 Гумбольдт 1984:** Гумбольдт В. "Избранные труды по языкоznанию", Москва.
- 59 Гумбольдт 1985:** Гумбольдт В. "Язык и философия культуры", Москва.
- 60 Дешериев 1977:** Дешериев Ю. Д. "Социальная лингвистика", Москва.
- 61 Ельмслев 1960:** Ельмслев Л. "Пролегомены к теории языка," Москва.
- 62 Ионин 1999:** Ионин Л.Г. "Социология культур", Москва.

- 63 Камычек 1981:** Камычек Я. “Вежливость на каждый ден”, Москва.
- 64 Карасик 2004:** Карасик В.И., “Языковой круг. Личность, концепты, дискурс”, Москва.
- 65 Караулов 1987:** Караулов Ю. Н. “Русский язык и языковая личность”, Москва.
- 66 Кодшанский 1974:** Кодшанский Г.В. “Паралингвистика”, Москва.
- 67 Колесов 1999:** Колесов В.В. “Концепт культуры: образ - понятие – символ” // Вестник Санкт-Петербургского университета Сер. 2. Вып. 3. № 16, Санкт-Петербург.
- 68 Колшанский 1984:** Колшанский Г.В., “Коммуникативная функция и структура языка”, Москва.
- 69 Красных 2002:** Красных В.В., “Этнопсихолингвистика и лингвокультурология”, Москва.
- 70 Крейдлин 2002:** Крейдлин Г.Е., “Невербальная семиотика”. Новое литературное обозрение, Москва.
- 71 Кузнецова 2007:** Кузнецова Н. С. “Культурного пространства художественного текста” Киров.
- 72 Куприянов В.В 1988:** Куприянов В.В., Стовичек Г.В “Лицо, анатомия, мимика человека”, Москва.
- 73 Лабунская 1986:** Лабунская В.А. “Невербальное поведение” (социально-перцептивный подход) Ростов.
- 74 Макаров: 2003:** Макаров. М. “Основы теории дискурса”, Москва.
- 75 Маслова 2004:** Маслова В.А., “Лингвокультурология”, Москва.
- 76 Пиз 1992:** Пиз А. “Язык жестов”. Увлекательное пособие для деловых людей, Москва.
- 77 Пиз 2006:** Пиз А. “Язык теледвижения” (как читать мысли окружающих по их жестам), Москва.
- 78 Почепцов 1998:** Почепцов Г.Г. “Теория и практика коммуникации”, Москва.
- 79 Почепцов 1999:** Почепцов Г.Г. “Этика теории коммуникации”, Ровно.
- 80 Почепцов 2003:** Почепцов Г.Г “Семиотика”, Москва.
- 81 Сепир 1993:** Сепир Э. “Избранные труды по языкоznанию и

- культурологии”, Москва.
- 82 Соколов 1994:** Соколов Э. В. “Культурология, теория культур”, Москва.
- 83 Сорокин 1992:** Сорокин П. “Человек, цивилизация, личность”, Москва.
- 84 Степанов 1985:** Степанов Ю.С. “В трехмерном пространстве языка” (семиотические проблемы лингвистики, философии, искусства), Москва.
- 85 Степанов 1998:** Степанов Ю.С. “Язык и метод: К современной философии языка”, Москва.
- 86 Стефаненко 2000:** Стефаненко Т.Г., “Этнопсихология”, Москва.
- 87 Ступин 1980:** Ступин А. П. “Современный Английский речевой этикет”, Ленинград.
- 88 Тер-Минасова 2002:** Тер-Минасова С. “Язык и межкультурная коммуникация”, Москва.
- 89 Уорф 1960:** Уорф Бенджамин Л. “Отношение норм поведения и мышления к языку, Новое в лингвистике”, Москва.
- 90 Формановская 1982:** Формановская Н.И. “Употребление русского речевого этикета”, Москва.
- 91 Формановская 1987:** Формановская Н.И. – “Речевой этикет русско-английские соответствия”, Москва.
- 92 Формановская 1988:** Формановская Н.И. Речевой этикет и культура общения”, Москва.
- 93 Формановская 1989:** Формановская Н.И. Вы сказали: “Здравствуйте”, Москва.
- 94 Хайдеггер 1991:** ВХайдеггер М. “Искусство и пространство” (Самосознание европейской культуры XX века. Мыслители и писатели Запада о месте культуры в современном обществе), Москва.
- 95 Холл 1997:** Холл Э. “Как понять иностранца без слов”. Дж. Фаст Язык тела, Москва.
- 96 Ширяев 1991:** Ширяев Е. Н. “Что такое культура речи”. В журнале: Русская речь №5, Москва.
- 97 Якобсон 1985:** Якобсон Р. “Язык в отношении к другим системам коммуникации”, Москва.
- 98 Якобсон 1998:** Якобсон Р. “Язык и бессознательное”, Москва.

